



ციბეხანი

№ 46 / 4 - 10 ოქტომბერი / 2010

არსებობს თუ არა სამოქალაქო საზოგადოება? გვ. 08

ახალი კონსტიტუცია გვ. 14 / 23 / 26

ლედი ჰეილინის სმაური და მკვინვალება გვ. 15

ორი გერმანია გვ. 17

ჰამარბერგის ბანაჩენი გვ. 21

„ქართული წყლის“ ოფორმული საიდუმლო გვ. 28

ყალბი ყალიბი – ქარხნული განათლება გვ. 33

„ისტორიული სივარტლის კომისია“ გვ. 36

ტელევიზიანა – რეკეტი უფლის სახელით გვ. 39

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



9 771987 752008

WANTED

**სად არის
ოპოზიციონა?**

გვ. 10

FM
სენობი
98.0





სახალხო კრების მონაწილეები, თბილისი, 29 სექტემბერი 2010

ფოტო: ლეანა ხაჩიკიანი

ნომარში:

- 02 ფოსტა
- 04 მოკლედ
- 06 ვრცლად
- 08 **ორი აზრი**
არსებობს თუ არა დღეს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება? *ქეთი ხუციშვილი VS გიგა ზედანია*
- 10 **მთავარი თემა**
სად არის ოპოზიცია?
- 14 **თვალსაზრისი**
რატომ ვჩქარობთ? *მარკ მალენი*
- მსოფლიო**
- 15 ჩრდილოეთის ვარსკვლავი: ლედი პეილინის ხმაური და მძვინვარება
- 20 წლის წინ**
- 17 ორი გერმანია

- კავკასია**
- 19 კავკასიური პროექტი
- კონფლიქტები**
- 21 ჰამარბერგის განაჩენი
- პოლიტიკა**
- 23 საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან „საპრემიერო რესპუბლიკამდე“
- თვალსაზრისი**
- 26 რატომ არ ჰქონდა აზრი „კონსტიტუციურ პროცესში“ ჩართვას *დავით უსუფაშვილი*
- ჟურნალისტური გამოძიება**
- 28 „ქართული წყლის“ ოფშორული საიდუმლო **რეგიონული მაუწყებლები**
- 31 დავა ტერიტორიის გამო
- საზოგადოება**
- 33 ყალბი ყალბი - ქარხნული

- განათლება
- „ისტორიული სიმაღლის კომისია“**
- 36 ისტორიის გაკვეთილები
- მედიაკრიტიკა**
- 39 ტელევიზიანა - რეკეტი უფლის სახელით
- კულტურა**
- 41 თეატროთერაპია
- თვალსაზრისი**
- 43 ფიქრები მტკვრის პირას
- სპორტი**
- 45 „შემოდგომის აზნაურთა“ - უმაღლესი ლიგა
- 47 წერეთ ნიგნები! *გიო ახვლედიანი*
- ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები**
- 48 კონსუმერული გულისრევის სუტრა

ბარეკანზე:

სად არის ოპოზიცია?



ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდის „ლია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას, შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

„მისი ზღვა და მინა დააბრუნე, ლმობიო!“

აფხაზეთთან მიმართებაში, მართლაც მცდარ იდეოლოგიურ პოზიციზე ვდგავართ...არ ვიცი ოსეთის შემთხვევაში როგორი უნდა იყოს ჩვენი პოზიცია – ამას აფხაზეთსა და ოსეთზე მოგახსენებთ და არა აფხაზეტსა და ოსებზე, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის სრულყოფილებიან მოქალაქეებად მოვიზარებთ...მართლაც, თუ ჩვენ, ქართველები ვართ რუსული პროვოკაციის მსხვერპლნი, ასეთებად უნდა მივიჩნიოთ აფხაზეტს და ოსებიც... და საერთოდ, დროა ჟურნალისტებმა ერთხელ და სამუდამოდ უარი თქვან ტერმინებზე – „ეთნოკონფლიქტი“, „ქართულ-აფხაზური დაპირისპირება“, „ოსებმა ჩაიღინეს“ და სხვა მსგავს კლიშეებზე და უფრო ადეკვატური ტერმინები ვიხმაროთ... მომდერლები ამ შემთხვევაში არაფერ შუაში არიან, ისინი დაკვეთას ასრულებენ, რათა ისევ გაგრძელდეს ჩვენი დაბნეულობა....

ნენე, www.liberali.ge

მგონია, რომ ნინიას ეჭვი ეპარება იმაში, რომ ეს მომდერლები ამ ყველაფერს აცნობიერებდნენ. ამიტომაც ის მათ არ ლანძღავს, არამედ აფიქრებს ამ საკითხზე. ეს მომდერლები ამ ერის შვილები არიან და სწორედ ისეთივე ყბადალებით მისტირიან დაკარგულ მიწას, როგორც ჩვეულებრივი რიგითი ბირჟავიკი ქართველი. სწორედაც, რომ ქართველი, ვინაიდან ეს დანარჩენების ომი არ ყოფილა (არ ვთვლი კონფლიქტურ რეგიონებში ყველა ეთნიკური ჯგუფის ქართველების წინააღმდეგ გაერთიანებას). არც არასოდეს უთქვამთ ქართველებს, მოქალაქეები დაკვარგეთ

და მათი გულები უნდა დავიბრუნოთ. რომც წამოსცდენოდა ვინმეს, საქმით ეს არ განუზტყიცებია. ტერიტორიული მთლიანობაა ჩვენი მთავარი. ამ დროს ვუპირისპირდებით რუსეთს, რომელიც ერთი ანაქრონული სახმელეთო-ტერიტორიული დერჟავაა. ამავდროულად ვბაძავთ დასავლეთს, რომლისთვისაც ტერიტორია მთავარია სხვათაგან და პეგემონის თავისუფალი ბაზრისა და კანონის უზენაესობის მეშვეობით აღწევს. ჩვენ კი რა? აფხაზეთთან მიმართებაში რუსეთისვე სტანდარტს და ფასეულობებს



ვიყენებთ. ჩვენ ვერაფრით დავაჯერებთ მათ, რომ საქართველოს სახელმწიფოში მათი უფლება დაცული იქნება, რომ მათი ქონება ხელშეუხებელია, რომ მათ არავინ შეზღუდავს. როგორ გინდა, რომ დააჯერო?!

პაკო, www.liberali.ge

ახალი აფხაზეთი

აშკარად არაობიექტური სტატიაა, ამ თემას შეეხო და არ ახსენო ათასობით ქართველი ლტოლვილი, არ ახსენო

რუსეთის მრავალწლიანი პროპაგანდა, რომელიც გამიზნული იყო ქართველებსა და აფხაზეტს შორის ეთნიკური კონფლიქტის გასაღვივებლად, რომელიც რუსეთმა წარმატებით განახორციელა. თუ ავტორს უნდოდა აფხაზეტის თვალთ დაენახებინა არსებული მდგომარეობა, აუცილებლად უნდა მიეთითებინა, რა ფაქტორი განსაზღვრავს მათ პოლიტიკურ შეხედულებებს. არაობიექტურია ის აზრი, რომ აფხაზეტი დადებითად შეხვდნენ რუსეთის ბაზეტის განლაგებას თავიანთ ქვეყანაში, ეს მე აფხაზეტში მცხოვრები ადამიანებისგან ვიცი. ძალიან მიყვარს თქვენი ჟურნალი, მაგრამ ასეთი ცალმხრივი და უნიჭო სტატიები არ უნდა იწერებოდეს. შთაბეჭდილება რჩება, რომ სტატიის ავტორმა არა თუ წერა არამედ ქართულიც კი არ იცის.

უცნობი, www.liberali.ge

დაკარგული დროის საზოგადოება

ვილაცამ, ბოლოს და ბოლოს, დანერა ის, რისი თქმაც მინდოდა. საერთოდ, მგონი ქართულ მედიაში ნელ-ნელა ჩნდება აფხაზეტის კონფლიქტისადმი მიდგომის ორთოდოქსალური ხედვიდან განსხვავებული ხედვა – რასაც, მხოლოდ და მხოლოდ, მივესალმები. თუმცა, საინტერესოა, რამდენად აღწევს ეს განსხვავებული აზრი ენგურის მეორე მხარეს. და რამდენად თვლიან აფხაზეტი, რომ ეს აზრი „genuine“ არის და არა საქართველოს ხელისუფლების „ჩართულობის სტრატეგიის“ ნაწილი, რომელსაც ისინი ასე სასტიკად ეწინააღმდეგებიან.

თამარკა, www.liberali.ge

რედაქციის მთავარი რედაქტორი შორენა შვერდიაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ჭავჭავაძე / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუკია / ჟურნალისტური გამოძიება ბესო კურტანიძე / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნათია ახალაშვილი, ნანა საჯავია შპრენაღისტიკა: მია ნიკოლაური, ნინო გოგუა, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, ანიტა თვაური, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი ქონტრინუმი: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, კახა კობერიძე, ლევან იზორია, ბაკურ სულაკაური, ნანა საჯავია, რატი ამალბოხი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორაძე რედაქციის რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / ვრცელყოფილი დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია / კორექტორი თამარ ლონღაძე გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბიტიძე / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელა ბამონცემლი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge სსპ ბამონცემლი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლობერალი“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია. ბამონცემლი: სტამბა „ფავორიტი“. მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50. ტელ.: (995 32) 95 19 52. www.phfavorite.ge გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი. www.liberali.ge

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის
რეგიონალური ბიურო რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის
ფარგლებში აცხადებს კონკურსს
სოციალურ მეცნიერებებში**

რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი:

სასტიპენდიო პროგრამის მიზანია მხარი დაუჭიროს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში აკადემიური კვლევების ჩატარებას.

პროგრამის ამოცანებია:

- ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერების მიერ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სოციალურ მეცნიერებათა განვითარების ხელშეწყობი ინდივიდუალური და ინტერდისციპლინარული კვლევების ჩატარებას;
- ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სოციალურ მეცნიერებათა სფეროში მოღვაწე პროფესიონალების რეგიონალური ქსელის განვითარებას.

კონკურსის პირობები

განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1975–1987 წლებში დაბადებულ ახალგაზრდა მკვლევარებს, რომლებსაც გააჩნიათ სრული უმაღლესი განათლება და ამავე დროს მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ინგლისური და რუსული ენების მაღალ დონეზე ფლობა. პრიორიტეტი მიენიჭება განაცხადებს, რომლებიც თემატურ სიახლეს, სოციოლოგიური და თვისობრივი კვლევის ინოვაციური მეთოდებს გვთავაზობენ.

ფონდი აფინანსებს აკადემიურ კვლევებს შემდეგი მიმართულებებით:

1. სამხრეთ კავკასიის ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტების შესახებ ახლებური ხედვის შემუშავება.
2. ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები სამხრეთ კავკასიაში: გადარჩენის სტრატეგიები.
3. საბჭოთა რეჟიმისათვის გაწეული წინააღმდეგობისა და რეპრესიების ისტორია.
4. უთანასწორობასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული პრობლემები სამხრეთ კავკასიაში.
5. გენდერული როლების ტრანსფორმაცია.

სტიპენდიის ხანგრძლივობა და მოცულობა

სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება თორმეტი თვით (01.01.2011–31.12.2011). სტიპენდიის მოცულობა ყოველთვიურად 250.00 ევროს შეადგენს. ასევე შესაძლებელია ფონდის მიერ ორგანიზებული თანმდევი პროგრამა-სემინარებით, საზაფხულო სკოლითა და პუბლიკაციებით მხარდაჭერა.

სრული ინფორმაცია კონკურსის შესახებ მოიძიეთ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდზე:



ფოტო: თომო პარკინაპაილი

ქართველი ჯარისკაცების ავღანეთში გამგზავრება, 2010

ავღანეთში ოთხი ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა

ავღანეთის სამშვიდობო მისიაში მონაწილე ოთხი ქართველი სამხედრო ნაღმზე აფეთქდა. პოლკოვნიკი რამაზ გოგიაშვილი, სერჟანტი დავით ცეცხლაძე, კაპრალი გიორგი კოლხიძე და კაპრალი ნუგზარ კალანდაძე მისიის შესრულების დროს დაიღუპნენ. პირველი ქართველი ჯარისკაცი ავღანეთში სექტემბრის დასაწყისში დაიღუპა. უფროსი ლეიტენანტი მუხრან შუკუანი ჰელმანდის პროვინციაში სამშვიდობო მისიის შესრულების დროს თვითნაკეთ ნაღმზე აფეთქდა. ქართველი სამხედროების დაღუპვის გამო მწუხარება გამოთქვა საქართველოში ვიზიტით მყოფმა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, ანდერს ფოგ რასმუსენმა: „დღეს სევდიანი დღეა ყველა ჩვენგანისთვის, რადგან თქვენი თანამებრძოლები გუშინ დაიღუპნენ ავღანეთში. მე მინდა, თანაგრძნობა გამოვუცხადო მთელ ქართველ ხალხს და იმ ოჯახებს, რომლებმაც ოჯახის წევრები დაკარგეს.“ რასმუსენმა ნატო-ს მისიაში ქართული შეიარაღებული ჯარების მონაწილეობის მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

„ქართული დანაყოფები ნატო-ს ძალებთან ერთად მხარდამხარ იბრძვიან ჩვენი უსაფრთხოებისთვის. ისინი ეხმარებიან ავღანურ მხარეს, რათა ავღანეთმა მიაღწიოს იმ დონეს, რომ თავად შეძლოს საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნვა. მინდა, მაგლობა გადაგიხადოთ იმ წვლილისთვის, რომელიც შეგაქვთ სამშვიდობო მისიაში. ეს მისია არის ნათელი მანიფესტაცია საქართველოს და ნატო-ს მჭიდრო თანამშრომლობისა, რისთვისაც კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას“, – განაცხადა რასმუსენმა.

ქართველი სამხედროები ნატო-ს ძალებს სამშვიდობო მისიის შესრულებაში ერთ-ერთ ყველაზე რთულ ზონაში – ჰელმანდის პროვინციაში ეხმარებიან.

საქართველოს ავღანეთში 925 ჯარისკაცი ჰყავს გაგზავნილი, მათგან 750 ჰელმანდის პროვინციაში მსახურობს.

ავღანეთში ამჟამად 150 000 ჯარისკაცი ასრულებს მისიას, გასულ კვირას შეერთებული შტატების პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამერიკა ავღანეთიდან ჯარების გაყვანას მომავალი წლის ივლისიდან დაიწყებს.

**ხონსიტუსია -
ბოიჩა მოხანა**
საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუცია, 125 ხმით 4-ის წინააღმდეგ, მეორე მოსმენით დაამტკიცა. პირველი მოსმენის შემდეგ უმრავლესობა და უმცირესობა 4 საკითხზე შეთანხმდა: პრეზიდენტს არ ექნება უფლება, რომელიმე პარტიული თანამდებობა დაიკავოს. ასევე, არ ექნება უფლება, პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივით შევიდეს, ან რიგგარეშე სხდომის დანიშვნა მოითხოვოს. შემცირდა მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურა, რომელიც 3 თვის ნაცვლად 2 თვესა და 10 დღეს გაგრძელდება. ცვლილება შევიდა ახალი კონსტიტუციის ამოქმედების ვადებშიც. 2012 წელს, ახალი პარლამენტის არჩევისთანავე, ავტომატურად დადგება მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი და პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრობის ახალ კანდიდატურას წამოაყენებს. რის შემდეგაც მთავრობა ხელახლა დაკომპლექტდება. პარლამენტარები ვერ შეთანხმდნენ საგამოძიებო კომისიის შექმნაზე. ოპოზიცია ითხოვდა, რომ ასეთი კომისიის შექმნის ბერეკეტი უმცირესობას გადასცემოდა. კონსტიტუციას პარლამენტი მესამე მოსმენით, მაქსიმუმ – 2 კვირაში, დაამტკიცებს.

ჩისხვები

7 მილიარდი ლარით განისაზღვრა საქართველოს მომავალი წლის ბიუჯეტი.

8 მილიონ ლარამდე დაჯდება მესტიიაში აეროპორტის მშენებლობა.

მოსკოვის მეჩი მოხსნას

მოსკოვის 18-წლიანი მერობის შემდეგ იური ლუჟკოვი თანამდებობიდან რუსეთის პრეზიდენტმა გაათავისუფლა. საპასუხოდ, ლუჟკოვმა პრეზიდენტ მედვედევს ღია წერილი მისწერა, სადაც მას „სტალინისტი“ უწოდა. მისი თქმით, კრემლს სურს, იყოს ლიდერი, „რომლის სიტყვებიც გრანტიზე იქნება ამოტიფრული და რომელსაც უსიტყვოდ უნდა მიჰყვნენ.“ ლუჟკოვის მერობისას მოსკოვი ნაცრისფერი ქალაქიდან ეკონომიკური ბუმის მაგალითად იქცა. მოსკოვის ეკონომიკა მთელი რუსეთის მშპ-ს მეოთხედს, 200 მილიარდ ევროს შეადგენს. ოპონენტები იური ლუჟკოვს მოსკოვის ფეოდალური სტილით მართვაში ადანაშაულებდნენ და ამბობდნენ, რომ მისი მერობით ყველაზე მეტად მისმა ცოლმა იხიერა, რომელიც რუსეთის ყველაზე მდიდარი ქალი გახდა. ლუჟკოვი მოსკოვის მერად 1992 წელს ბორის ელცინმა დანიშნა. ოთხწლიანი ვადით ქალაქის მერად ის 2007 წელს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა – ვლადიმერ პუტინმა დანიშნა.



საზღვრის დემახიასია შიდა ქაჩიძეში

ქართული მხარე რუს ოკუპანტებს შიდა ქართლში „საზღვრის უკანონო დემარკაციაში“ ადანაშაულებს. შსს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის – შოთა უტიაშვილის – განცხადებით, „ოკუპანტების ეს ქმედება აშკარად პროვოკაციულ ხასიათს ატარებს და კიდევ უფრო ზღუდავს რეგიონში საქართველოს მოქალაქეებისთვის თავისუფალი გადაადგილების საშუალებას.“ რუსეთისგან „პროვოკაციის შეწყვეტას“ და საერთაშორისო თანამეგობრობისგან „უკანონო ქმედებაზე სათანადო რეაგირებას“ ითხოვს საგარეო საქმეთა სამინისტრო. „რუსეთის აღნიშნული ქმედება „ცეცხლის შეწყვეტის“ შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს ხელშეკრულებას არღვევს და წარმოადგენს მორიგ პროვოკაციას, რომლის შედეგად ოკუპირებულ რეგიონებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების თავისუფალი გადაადგილების უფლება კიდევ უფრო იზღუდება და მათი საკუთრების უფლება ირღვევა“ – ნათქვამია საგარეო სამინისტროს განცხადებაში. ქართული მხარე საზღვრის დემარკაციის საკითხს ჟენევის მოლაპარაკებებზე დააყენებს.

297 მილიონი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა საქართველოში პირველ-მეორე კვარტლის შედეგებით.

სიტატები



„მიხეილ სააკაშვილი ყველაზე მაღალ ხეზე დაკიდებისგან ვიხსენით“.

სილვიო ბერლუსკონი 2008 წლის აგვისტოს ომში მისი და ნიკოლა სარკოზის როლის შესახებ.

„ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩვენი რეფორმატორთა ჯგუფი, ის იდეოლოგია და პროგრამა, რომელმაც საქართველოს წინსვლა უნდა უზრუნველყოს, დარჩეს. თუ რა ფორმით შევძლებ გუნდის დახმარებას, ამას დრო გვაჩვენებს. ახლა ჩემს მომავალ პროფესიებზე ნაკლებს ვფიქრობ, ისე კი, რა თქმა უნდა, დიდი გეგმები მაქვს.“

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ალ-ჯაზირასთან ინტერვიუში

„საქართველოს ნატო-ში განწევრიანების კუთხით მხოლოდ ტექნიკური საკითხები რჩება გადასანყვეტი.“

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე რასმუსენთან შეხვედრის შემდეგ

„რუსეთი ნატო-ში საქართველოზე ადრე გაერთიანდება.“

რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის დირექტორი ალექსანდრე შარავინი

50 ლარი იქნება პარკირების წლიური საფასური თბილისში პირველი ოქტომბრიდან.

ტრამპი თბილისის უძრავი ქონების ბაზრით ინტეგრირდება

მოლი კორსო, „ევრაზიანეტი“



განცხადებამ, რომ ამერიკის უძრავი ქონების ბაზრის მაგნატი დონალდ ტრამპი თბილისში მშენებლობის წამოწყებას აპირებს, ბევრ ქართველს იმედი ჩაუსახა, რომ ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კრიზისი დასრულდა.

22 სექტემბერს ტრამპმა „სილქ როუდ ჯგუფთან“ თანამშრომლობის წერილს მოაწერა ხელი. ქართველების მიერ დაფუძნებული ეს საერთაშორისო დეველოპერული კომპანია თბილისში საცხოვრებელი სახლების მშენებლობით არის დაკავებული.

ევრაზიანეტიკისთვის მიცემულ ინტერვიუში ტრამპის წარმომადგენელმა, მაიკლ კოენმა ინვესტიციის რაოდენობა, დაფინანსების სახე და დაგეგმილი მშენებლობის მოცულობა არ დააკონკრეტა. თუმცა მან პრეზიდენტ სააკაშვილს და „სილქ როუდ ჯგუფს“ ბიზნესპარტნიორად ტრამპის არჩევა „პირადად მიულოცა.“

„თუ მაიკლ ჯექსონი პოპის მეფეა, ტრამპი – უძრავი ქონების“, – განაცხადა კოენმა, რომელიც ორგანიზაცია „ტრამპის“ აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტია.

ერთი შეხედვით, ნიუ იორკთან ან ლას ვეგასთან შედარებით, თბილისი თავისი 1.1. მილიონი მოსახლეობით, „უძრავი ქონების მეფის“-თვის უჩვეულო არჩევანს წარმოადგენს. ქართველთა ყოველწლიური შემოსავალი სულზე სამხრეთ კავკასიის მასშტაბით ყველაზე მცირეა – ის მხოლოდ 4,400 აშშ დოლარს შეადგენს. ეს კი ტრამპის ტიპური მომხმარებლის შემოსავალს მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

თუმცა, კოენის მტკიცებით, „საქართველოშიც, როგორც ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში, არის ხალხი, ვინც აცნობიერებს, რომ სტატუსი მნიშვნელოვანია.“ პერსონალურმა ინტერვიუებმა და გამოკითხვებმა ეს დაადასტურა, – დასძენს იგი. ტრამპის წამოწყება მისი პოსტსაბჭოთა სივრცეში შემოსვლის პირველი მცდელობა გახდება. ეს რეგიონი კი მწვავე კონკურენციით, ბუნდოვანი საგადასახადო სისტემითა და საკუთრების უფლების არამყარი დაცვით არის ცნობილი.

საკაშვილმა ცდა არ დააკლო, რომ ეს შეთანხმება შემდგარიყო – სანამ ეს გადაწყვეტილება ცნობილი გახდებოდა, იგი ორჯერ სტუმრობდა ტრამპის შტაბ-ბინას ნიუ იორკში. საქართველოს ბოლოდროინდელი გამოცდილების ფონზე პრეზიდენტის ძალისხმევა გასაგებია. ბოლო ორი წლის განმავლობაში ქვეყანაში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მნიშვნელოვნად იკლო: 2009 წელს ინვესტიციები თითქმის 58%-ით შემცირდა, ხოლო წელს ინვესტიციების საერთო მოცულობა – 272 მილიონი აშშ დოლარი – 6%-ით ჩამოუვარდება შარშანდელ მაჩვენებელს. ამ კლების ძირითად მიზეზად 2008 წლის მეორე ნახევარში დაწყებული მსოფლიო ფინანსური კრიზისი და რუსეთთან ავადსახსენებელი 2008 წლის აგვისტოს ომი სახელდება.

საქართველომ სახელი სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისაგან გამოჯენის მცდელობით გაითქვა, და ამისათვის თბილისმა დასავლეთის ინვესტორებისათვის ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შესაქმნელად არაერთი ნაბიჯი გადადგა. მაგალითად, მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების 2010 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს მხრივ მსოფლიოში მე-11 ადგილზეა – და ეს მაჩვენებელი ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის მაჩვენებელს აღემატება.

სტატია გამოქვეყნდა ვებგვერდზე www.eurasianet.org



ერთად აღვნიშნოთ პალიატიური მზრუნველობისა და ჰოსპისების საერთაშორისო დღე

ყოველ წელს, განუკურნებელი სენით დაავადებული მილიონობით ადამიანი გაუსაძლის ტკივილს და სულიერ ტანჯვას განიცდის, რაც მათ სრულფასოვანი და ღირსეული ცხოვრების გაგრძელების საშუალებას არ აძლევს. ასეთი დაავადებების რიცხვს მიუკუთვნება შიდსი, კიბო IV სტადიაში, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები... ეს ადამიანები პალიატიური პაციენტები არიან, რომელთაც პალიატიური მზრუნველობა ესაჭიროებათ.

პალიატიური მზრუნველობა მრავალპროფილური მზრუნველობაა, რომლის უპირველესი ამოცანაა განუკურნებელი სენით დაავადებული პირებისათვის ტკივილის მოხსნა, მათი სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარება და სულიერი თანადგომის გაწევა. ჰოსპისები კი ის დაწესებულებებია, სადაც ამ ადამიანებს ცხოვრების უკანასკნელი დღეებში, როგორც ფიზიკურ, ასევე სულიერ თანადგომას უწევენ. დღესდღეობით საქართველოში ორი ჰოსპისი ფუნქციონირებს. ერთი – ონკოპრევენციის ცენტრთან არსებული, მეორე კი ფერიცვალების დედათა მონასტერში.

9 ოქტომბერს პალიატიური მზრუნველობისა და ჰოსპისების დღე მთელ მსოფლიოში აღინიშნება. ამ დღესთან დაკავშირებული წლებანდელი სლოგანია *Sharing the Care* (საერთო საზრუნავი). წელს სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოც ერთვება ამ საერთაშორისო ინიციატივაში, იმისათვის, რომ ჩვენი მზრუნველობა და პატივისცემა გამოვხატოთ უკურნებელი სენით დაავადებული ადამიანებისა და მათი ოჯახების მიმართ.

საქართველოში ეს დღე ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“, პირველი ლედისა და მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრის ერთობლივი ძალისხმევით აღინიშნება. საქველმოქმედო საღამო მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრში 9 ოქტომბერს, 18:00 საათზე ცნობილი ქართველი მხატვრების ნამუშევრების აუქციონით გაიხსნება და კლასიკური/ჯაზური მუსიკის კონცერტით დასრულდება.

ლონისძიებაზე მონვეულ სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ, შემოწირულობის სახით დაეხმარონ საქართველოში არსებული ჰოსპისების განვითარებას და რაც შეიძლება მეტ ადამიანს შეუმსუბუქონ დარჩენილი დღეები.

შოლ დევიდ ჰიუსონ (ზონო) ირლანდიური როკ ჯგუფი, U2

სიცოცხლეში ყველაფერს აკეთებ იმისათვის, რომ ღირსება შეინარჩუნო. სიკვდილის შემდეგ კი ამას შენთვის უკვე სხვა ადამიანები აკეთებენ. პალიატიური მზრუნველობის დანიშნულება ძალიან ახლოს დგას ღირსების შენარჩუნების არსთან. ჰოსპისთან პირველად შეხება მაშინ მომინია, სანამ მამა კიბოსგან გარდაიცვლებოდა.

ჰოსპისში მომუშავე ადამიანები ანგელოზებივით არიან. ისინი ადამიანებს სიცოცხლის უკანასკნელ კარამდე აცილებენ. ისინი თითქოს მომაკვდავის მომავალ ცხოვრებაში გადაწყვენები არიან. ის სიმყუდროვე და შვება, რასაც ეს ადამიანები პაციენტებს აძლევენ, იმდენად ძლიერია, რომ მთელ ოჯახზე, მეგობრებზე, კოლეგებზე ახდენს გავლენას. სიცოცხლის უკანასკნელი, უმძიმესი დღეების ჰოსპისში გატარება ადამიანისთვის დალოცვაა.

ყველაზე ღარიბ ქვეყნებში, სადაც უამრავი ადამიანი სიცოცხლისათვის იბრძვის, სიკვდილის კონდიცია ძალიან რთული გადასატანია. ის, თუ როგორ ვზრუნავთ ავადმყოფ და მომაკვდავ ადამიანზე, ჩვენი ადამიანურობისა და ჰუმანურობის უტყუარი მაჩვენებელია (ლაკმუსის ტესტი). ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ თანასწორი სიკვდილისათვის, როგორც ვიბრძვით თანასწორობისათვის სიცოცხლეში.

ელტონ ჯონი

საუკეთესო ხარისხიანი მკურნალობის მიღება მაშინ, როდესაც ადამიანი ავადმყოფობის ტერმინალურ სტადიაზე იმყოფება, ყოველი ადამიანის უფლებაა, თუმცა ამ უფლებას, ბევრ ქვეყანაში, ბევრი ადამიანი მოკლებულია. ჩვენ უნდა გავაგებინოთ ყველა ქვეყნის ხელისუფლებას, რომ ეს დაუშვებელია. გთხოვთ, შემომიერთდეთ ამ წამოწყებაში და მივანდინოთ ჩვენი ხმა, მათ, ვისაც ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლიათ.



მომხრე

ქეთი ხუციშვილი

„ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო“,
აღმასრულებელი დირექტორი

ტერმინი „სამოქალაქო საზოგადოება“, რომელიც XVIII საუკუნის ევროპელი ფილოსოფოსების ნაშრომებში გამოჩნდა და შემდეგ ალექსის დე ტოკვილის წიგნში „ამერიკის დემოკრატია“ კრისტალიზდა, დღემდე სხვადასხვაგვარად აღიქმება. თავად ტოკვილი მას განმარტავდა, როგორც მოქალაქეთა თავისუფალი ასოციაციების მონაწილეობას დემოკრატიის განვითარებაში და როგორც ინდივიდისა და სახელმწიფოს დამაკავშირებელ სივრცეს. XX საუკუნის 80-იან წლებში, აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ მოძრაობის დასაწყისში, სამოქალაქო საზოგადოება ესმოდათ, როგორც სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი გაერთიანებების ერთობლიობა და ტოტალიტარულ სახელმწიფოსთან დაპირისპირებული სფერო.

საქართველოში სამოქალაქო ორგანიზაციების ჩამოყალიბება 80-იანი წლების დასასრულს დაიწყო, როცა შეიქმნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, სახალხო ფრონტი და სხვანი. საზოგადოებაში გაზრდილმა დაპირისპირებამ და სამოქალაქო ომმა ამ ჯგუფებს ბუნებრივი განვითარების საშუალება არ მისცა, ზოგი მათგანი ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალასთან ასოცირდა, ზოგი კი გაუჩინარდა.

მეორე ტალღა 90-იანი წლების შუიდან დაიწყო; ქვეყანაში შემოსული საერთაშორისო დონორები მზად იყვნენ, დახმარებოდნენ სამოქალაქო აქტივობას, არჩევნებზე დაკვირვების პროცესს, ადამიანის უფლებათა დაცვას. ამ პერიოდში მრავალი ინტელექტუალისთვის „ენ-ჯი-ო“ გახდა ერთგვარი ნიშა, სადაც იყო როგორც თავისუფალი აზროვნების, ასევე წესიერი და ანაზღაურებადი შრომის საშუალება. მათ გარდა, ამ ჯგუფებში ჩაერთო მრავალი ისეთიც, ვისთვისაც სამოქალაქო და ლიბერალურ ღირებულებებზე უფრო მნიშვნელოვანი ნორმალური ცხოვრების პირობები იყო.

2000-2003 წლებში სახელმწიფოს და ხელისუფლების დასუსტების ფონზე, მოხდა სამოქალაქო სექტორის არაბუნებრივი გაფართოება და, ფაქტობრივად, გადატვირთვა არარეალიზებული ენერგიით. ნაწილმა (როგორც მალევე აღმოჩნდა) უკვე ხელისუფლებაში მოსვლაზე და ქვეყნის მართვის ხელში აღებაზე დაიწყო ფიქრი.

2003 წლის რევოლუციის შემდეგ მოხდა ერთი ნაწილის ხელისუფლებაში „გადინება“, მეორე (უფრო მცირე) ნაწილისა კი – ოპოზიციურ პარტიებში. ეს, ალბათ, ბუნებრივი პროცესი იყო, მაგრამ მისმა სისწრაფემ დარჩენილი ორგანიზაციები დასუსტებულად წარმოაჩინა. დასუსტებას ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, ხელისუფლებამ, რომელმაც ალტერნატიული აზრის იგნორირების და საჯარო სივრცის შეზღუდვის პარალელურად დაიწყო საზოგადოების დაყოფა „მომხრე“ და „ოპოზიციურ“ ჯგუფებად, მეორე მხრივ კი - დონორებმა, რომლებმაც ყურადღება სახელ-



ახსებობს თუ ახა და სამოქალაქო ს

მნიფოს დახმარებაზე გადაიტანეს და სამოქალაქო სექტორი დაივიწყეს.

ბოლო წლების მოვლენებმა აჩვენა, რომ სამოქალაქო საზოგადოება არ მომკვდარა. იგი ტრანსფორმაციის მტკივნეულ პროცესს გადის და ხელახლა ყალიბდება, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყნის განვითარებაში. აგვისტოს ომის დღეებში კი მოქალაქეების აქტიურმა დახმარებამ დევნილებისადმი ცხადყო, რომ ქვეყანაში არსებობს მოხალისეობის დიდი პოტენციალიც. დღეს აქ არიან მოქალაქეთა ჯგუფები, რომლებიც იბრძვიან ადამიანის უფლებათა და სიტყვის თავისუფლების დასაცავად, ცდილობენ გარემოს გადარჩენას ან სოციალურად დაუცველების დახმარებას (გრანტით თუ გრანტის გარეშე). შესაძლოა, ამ სექტორში სწორედ ის ხალხი დარჩა, რომელთაც არც ჰქონიათ ხელისუფლებაში მოსვლის პრეტენზია და რომელთა უმეტესობაც მზადაა, საზოგადოების განვითარებას მოახმაროს თავისი ენერგია.

სამოქალაქო სექტორში წლების მანძილზე დაგროვებული კომპეტენცია, გამოცდილება და საჯარო სივრცეში კომუნიკაციების ახალი შესაძლებლობების გამოჩენა აუცილებლად მოიტანს სამოქალაქო აქტივობის სივრცის გაფართოებას და ახალი ინიციატივების შესაძლებლობას. **■**



დღეს საქართველოში საზოგადოება?



მონინალმიდევე

გიგა ზედანია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

დღეს სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში იმდენად სუსტია, რომ არის ცდუნება, ის არარსებულად ჩათვალო.

საქართველოში არ არსებობს ნევროზაზე დაფუძნებული ორგანიზაციები. ენ-ჯი-ოები, რომელთა ერთობლიობასაც სამოქალაქო საზოგადოებას ვუწოდებთ, მასების მიერ აღიქმება, როგორც უცხო ფენომენი, რომელიც არ გამოხატავს უმრავლესობის ინტერესებს. მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა არაა განვრვიანებული არცერთ ნებაყოფლობით ორგანიზაციაში (ხოლო ის ორგანიზაციები, რომლებიც დაკავშირებულია მართლმადიდებელ აღმსარებლობასთან (მაგ., მმკ) ვერ ჩაითვლება სამოქალაქო საზოგადოების ნაწილად, რადგან ისინი ავრცელებენ ღირებულებებს, რომლებიც უარყოფს განსხვავებული აზრის შემწყნარებლობას და პლურალიზმს; მათ ერთობლიობას უფრო არაცივილური საზოგადოება შეიძლება, ვუწოდოთ).

ამ ვითარებას ორი ძირითადი მიზეზი აქვს:

ა) სამოქალაქო კულტურის არარსებობა. ისტორიული სპეცი-

ფიკის გამო ადამიანებს ჩვენს ქვეყანაში არ აქვთ თვითორგანიზების გამოცდილება, ჩვევები და სურვილი (ერთადერთი გამო- ნაკლისი, ამ მხრივ, მიტინგია, რაც უფრო ერთჯერადი აქტია, ვიდრე ხანგრძლივი მუშაობა);

ბ) გავლენისათვის საჭირო რესურსების თითქმის მთლიანი კონცენტრაცია სახელმწიფოს ხელში. ამის მთავარი მიზეზი, ცხა- დია, სწორედ სამოქალაქო კულტურის არარსებობაა, მაგრამ ეს კონცენტრაცია, თავის მხრივ, ხელს უშლის სამოქალაქო კულ- ტურის ჩამოყალიბებასაც.

ამ ორი მიზეზის გამოა, რომ თითქმის მუდამ ერთადერთი გზა, რომლითაც ენ-ჯი-ოები რაღაც შედეგის მიღწევას ცდილობენ, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა ან სახელმწი- ფო სტრუქტურებზე ზენოლაა. ენ-ჯი-ოები დღეს სწორედ ამ პრინციპის მიხედვით არიან ორად გაყოფილნი: ისინი, რომლებიც თანამშრომლობენ და ისინი, რომლებიც ზენოლას ცდილობენ. ეფექტი ორივე შემთხვევაში ძალიან მცირეა: სახელმწიფოსა და ენ-ჯი-ოს თანამშრომლობაში გადამწყვეტ როლს ყოველთვის სა- ხელმწიფო ასრულებს, ხოლო ზენოლა თითქმის არასოდეს აღწე- ეს მიზანს, თუ მას საერთაშორისო ორგანიზაციების ან პარტ- ნიორი სახელმწიფოების წარმომადგენლების პირდაპირი ჩარევა არ მოჰყვება.

აქ მივედით ერთ საინტერესო დასკვნამდე: სამოქალაქო სა- ზოგადოების როლს ჩვენში დღეს, ძირითადად, სწორედ უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლები ან საერთაშორი- სო ორგანიზაციები ასრულებენ. სწორედ ისინი დგანან ლიბე- რალური ღირებულებების სადარაჯოზე და ახსენებენ როგორც სახელმწიფო, ისე – არასამთავრობო სუბიექტებს მათი დაცვის აუცილებლობას.

არსებული სიტუცია ნამდვილად არაა სახარბიელო. მაგრამ არსებობს თუ არა განვითარების პერსპექტივები?

ერთი ცვლილება, რომელიც ამ სფეროში უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ხდება, დაკავშირებულია ინტერნეტთან. ესაა სივრცე, სადაც ძალიან სწრაფად მოხდა პოლიტიკური პოზი- ციებისა და იდეოლოგიების არტიკულირება, ხდება პოზიტიური სოციალური კაპიტალის (ანუ ნდობის) დაგროვება მოქალაქეებს შორის და სადაც ვირუსული სისწრაფით ვრცელდება ახალი იდე- ები, სენტიმენტები, არგუმენტები და ინფორმაცია. ესაა სივრცე, სადაც ერთმანეთს ერწყმის ფეისბუქი, ტელევიზიები, რადიოები, ფორუმები, ჟურნალ-გაზეთები, ბლოგები, სხვადასხვაენოვანი საინფორმაციო საიტები. ცხადია, ამ სივრციდან არ უნდა ველო- დეთ სწრაფ, მყისიერ გავლენას საზოგადოებაზე, მაგრამ სწორედ ეს სივრცე იქნება გადაწყვეტი უფრო ნელი და ღრმა ცვლილე- ბების მომზადების პროცესში.

რაც შეეხება არსებული სამოქალაქო საზოგადოების (ანუ ენ- ჯი-ოების, ასევე ლიბერალური ჯგუფების) უფრო მყისიერ გავ- ლენას საზოგადოებრივ პროცესებზე, ეს დაკავშირებული იქნება 2012-2013 წლების ცვლილებებთან პოლიტიკურ სისტემაში. წა- მყვან როლს სამოქალაქო საზოგადოება ვერც აქ შეასრულებს, მაგრამ კრიზისულ მდგომარეობებში სამოქალაქო სექტორის წონა შეიძლება, მნიშვნელოვნად გაიზარდოს და კრიტიკულიც კი გახდეს. **■**



ნინო ბურჯანაძე სახალხო კრებაზე, თბილისი, 29 სექტემბერი 2010



ფოტოგრაფი: ლევან ხაჩიკაშვილი

პოლიტიკა

სად ხის ოპოზიცია?

როცა ოპოზიცია გადწყვეტს, რომ დროა, პოლიტიკას დაუბრუნდეს, მას ბევრი სიურპრიზი ელის.

სოფო ბუკია

„ქალბატონებო და ბატონებო, მოგესალმებით. სახალხო კრების მოსამზადებელ კონფერენცია-შეხვედრას გახსნილად ვაცხადებ!“ – გაისმა მსახიობ გოგი ქავთარაძის თეატრალური ხმა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

პარტერი და აივანი საესეა თბილისელი და რეგიონებიდან ჩამოსული აქტივისტებით, რომლებსაც სპეციალური მოსანვევები უჭირავთ ხელში.

„ამას წინათ ერთ შესანიშნავ დარბაისელ კაცს შევხვდი თბილისის ქუჩებში,“ – აგრძელებს გამოსვლას გოგი ქავთარაძე. „ძალიან თავდახრილი

მიდიოდა, ჩუმად, და რალაცა აწუხებდა. მივედი მოკრძალებით და ვკითხე – რამე ხომ არ გტკივთ-მეთქი. მოულოდნელი იყო პასუხი – გაჩერდა, თავისი ჭკვიანი თვალებით შემომხედა და მითხრა – საქართველო მტკივაო. ჩვენ ყველას საქართველო გტკივა. ამ ტკივილს დაამება უნდა. გავერთიანდეთ, წინ აღვუდგეთ უკეთურობას და გავიმარჯვებთ აუცილებლად! ჭკუით, ქართველებო!“

„მიშა, მიხეილ სააკაშვილი სატანისტურ მოვალეობას ასრულებს და მისი უმთავრესი განზრახვა არის მოსპოს და

გააჩანაგოს ქართველი ერი,“ – ამბობს მიკროფონთან ელიზბარ ჯაველიძე.

„გინდათ ამ ხელისუფლების მოშორება? მაშინ დადგეთ ერთად და სახალხო წინააღმდეგობის გზით დაეინყოთ სააკაშვილის ხელისუფლების დემონტაჟისთვის ბრძოლა!“ – მიმართავს დარბაზს ნონა გაფრინდაშვილი.

შეკრებაზე მისული 4 ათასი ადამიანი ტაშს უკრავს. ზოგი ფეხზე დგება და გულზე მჯილს იცემს: „თუ ბევრნი ვიქნებით, ამათ ბოლოს მოვუღებთ!“

რომ არა გარემონტებული ფილარმონია და პლაზმური ეკრანი, 2010 წლის 29



ნონა გაფრინდაშვილი სახალხო კრებაზე, თბილისი, 29 სექტემბერი 2010

■ „მმართველ პარტიას ყოველთვის მეტი რესურსი აქვს, ვიდრე ოპოზიციურს. ეს ყველგან ასეა. თუმცა, ოპოზიციას უნდა ახსოვდეს, რომ პოლიტიკურ სცენაზე ყველაფერი რესურსების ფლობით არ განისაზღვრება. პარტიის პოზიცია, პლატფორმა და მისი მთავარი კანდიდატები საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნებს და მოლოდინებს უნდა ეხმიანებოდეს.“



სახალხო კრებაზე იყო ნაჩვენები 2008 წლის აგვისტოს მოვლენების ამსახველი ვიდეო მასალა, თბილისი, 29 სექტემბერი 2010

სექტემბერს ჩატარებული ეს შეკრება გასული საუკუნის პარტიული ყრილობა გეგონებოდათ.

ამ კრების მთავარი მომხსენებლები პოლიტიკოსები არ ყოფილან. ისინი სცენაზე გამომსვლელებს პარტიერიდან უსმენდნენ. პოლიტიკური მიზნების მიღწევის გზებზე და დაფინანსების წყაროებზე ჟურნალისტების უხერხულ შეკითხვებსაც მათ ნაცვლად დამსახურებული მსახიობები, მწერლები და მოჭადრაკეები პასუხობდნენ. „შემონირულობებს ველოდებით. დაფინანსების წყარო არ ვიცი“, – განაცხადა „ლიბერალთან“ საუბარში საინიციატივო ჯგუფის წევრმა ნონა გაფრინდაშვილმა.

მიუხედავად იმისა, რომ სცენაზე არ გამოჩენილა, საყოველთაო ყურადღების ცენტრში მაინც წინო ბურჯანაძე იყო. იგი დარბაზში ხალხის მიერ მონვეული საპატიო სტატუსით იმყოფებოდა, თუმცა შეხვედრის ორგანიზებისთვის მა-

დლობებს მაინც მას უხდიდნენ და მხარდაჭერას მას ჰპირდებოდნენ.

კრება კონკრეტული შედეგით დასრულდა – გამოცხადდა შემდეგი კრების გამართვის თარიღი. იგი ნოემბერში ჩატარდება.

ეს ძველმოდური თავყრილობა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში თითქმის ერთადერთი მანიშნებელი იყო იმისა, რომ თურმე ამ ხელისუფლებას კრიტიკოსები კიდევ ჰყოლია.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მმართველი გუნდისა და მისი კანდიდატის გამარჯვების შემდეგ, პოლიტიკურ პროცესებში ყველაზე ნაკლებად ჩართულ ადამიანებსაც კი გაუჩნდათ კითხვა - სად არის ოპოზიცია?

ყველას თავისი არგუმენტი აქვს: „ის, რომ არ ვჩანდით, ზაფხულის ბრალია. სადმე კურორტზე კი არ ვიყავით, უბრალოდ ასე ხდება. ერთი პოლიტიკური სეზონი დამთავრდა და მიმდინარეობს ანალიზი – ხდება ძალთა გადანა-

ნილება, შიდა დისკუსია“, – განმარტავს კონსერვატორი კახა კუკავა.

„შეიძლება, ხშირად არ ვჩანვართ, მაგრამ ვაგროვებთ მასალას, რაც აუცილებელი იქნება ჩვენი სიტყვის თქმისთვის. ხატოვნად რომ ვთქვათ, ქვების შეგროვების პროცესში ვართ. მოვა დრო და ამ ქვებსაც ვისვრით“, – ამბობს კახა სეთურიძე სალომე ზურაბიშვილის „საქართველოს გზიდან“.

„აგვისტოს თვიდან გადართულები ვართ შიდაპარტიული სტრუქტურის განვითარებაზე. ჩვენი მიზანია, მომავალი წლის მაისის ბოლოს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ადგილობრივი ორგანიზაცია გვექონდეს“, – ამბობს თეა წულუკიანი ირაკლი ალასანიას პარტიიდან.

როცა ოპოზიცია გადაწყვეტს, რომ უკვე ყველაფერი გააანალიზა და დროა, პოლიტიკას დაუბრუნდეს, მას ბევრი სიურპრიზი ელის.

მაგალითად, ახალი კონსტიტუცია. მის

მიღებამდე სულ რაღაც ერთი საპარლამენტო მოსმენა დარჩა. ან კიდევ ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც უკვე პირველ ოქტომბერს შევიდა ძალაში და სასამართლო სისტემაში მნიშვნელოვან ცვლილებებს გულისხმობს. ამასობაში, შეიცვალა საგადასახადო კოდექსიც. განათლების სისტემაშიც სიახლეებია, რაც ასევე ოპოზიციის, როგორც პოლიტიკურ მოვლენებზე მთავარი დამკვირვებლის, მონაწილეობის გარეშე მოხდა.

როდესაც, მაისის არჩევნების შემდეგ, ირაკლი ალასანიამ თავის კონკურენტს გამარჯვება მიულოცა, ბევრი პოლიტიკური კომენტატორი ქართული ოპოზიციის ცხოვრებაში ახალ ერას წინასწარმეტყველებდა.

ისინი ვარაუდობდნენ, რომ ამ არჩევნებში კონსტრუქციულმა ოპოზიციამ სახელისუფლებო კანდიდატის დამარცხება თუ არა, ოპოზიციურ მოედანზე მთავარ მოთამაშედ გადაქცევა მოახერხა.

ხელისუფლების ბოლოდროინდელი ინიციატივებიც პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობისა და თავის გამოჩენის ყველაზე მეტ შანსს სწორედ კონსტრუქციულ ოპოზიციას აძლევდა.

საკონსტიტუციო ცვლილებებმა ქვეყნის სათავეში მინიმუმ 2018 წლამდე ამ ხელისუფლების დარჩენა უნდა უზრუნველყოს. ნებისმიერი ოპოზიციური ძალისთვის ეს არაჩვეულებრივი საბაბია იმისათვის, რომ საფუძვლიანი კრიტიკის მეშვეობით ქულები დააგროვოს და ამომრჩეველს საკუთარი ინტელექტუალური რესურსიც აჩვენოს.

ოპოზიციამ, რომელიც მთელი ზაფხულის განმავლობაში ისვენებდა, ამ პროცესში ვერანაირი დამატებითი ქულა ვერ დააგროვა. ოპონენტების პასიურობამ, საკონსტიტუციო ცვლილებები ხელისუფლების ექსკლუზიურ თემად აქცია და საზოგადოების ჩართულობაც მინიმუმამდე დაიყვანა.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილე კენტ ლოგსდონი საქართველოში პოლიტიკური პარტიების მთავარ პრობლემებზე საუბრისას ამბობს: „პარტიების მიზანი, პირველ რიგში, საზოგადოებასთან პირდაპირი ურთიერთობა და ხალხის იდეის გარშემო გა-



ზურაბ ნოლაიდელი



ერთიანება უნდა იყოს. საქართველოში პოლიტიკური პარტიების მთავარ პრობლემად რჩება ხალხისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ჩამოყალიბებული პოლიტიკური პლატფორმის შეთავაზება.“

პოლიტიკური ძალისთვის, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლას კონსტიტუციური გზით აპირებს, გადამწყვეტი თარიღი 2012 წლის ნოემბერია. პლატფორმას და იდეოლოგიას რომ თავი დავენებოთ, საპარლამენტო არჩევნებამდე 2 წლით ადრე ამომრჩეველმა, სულ მცირე, ის უნდა იცოდეს, რა ჰქვია პარტიას.

მცირე ექსპერიმენტი: ინტერნეტ-საძიებო სისტემების დახმარების გარეშე დააჯგუფეთ ლიდერები და პარტიები.

ძიებები	პაჩიძეები
ა) ნინო ბურჯანაძე <input type="checkbox"/>	1. „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“
ბ) ირაკლი ალასანია <input type="checkbox"/>	2. „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“
გ) ზურაბ ნოლაიდელი <input type="checkbox"/>	3. „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“

ახალი კონსტიტუცია, რომელიც საზაფხულო არდადეგებიდან დაბრუნებულ ოპოზიციას უკვე გამზადებული დახვდება, პარტიებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულიად ახალ როლს აკისრებს. შესაძლოა, ეს ერთგვარი ფანდია ხელისუფლების, რომელსაც წასვლა არ უნდა, მაგრამ ახალი კონსტიტუციის გადაკითხვა მანაც ღირს.

„ახლა უკვე საქართველოში პარტიები მათსავე შემადგენლობაში საარჩევნო კანდიდატებსა და კომისიის წევრებს უნდა არჩევდნენ და მათ ტრენინგებზე უნდა ზრუნავდნენ. რა თქმა უნდა, პარტიებს უკვე უნდა ჰქონდეთ ჩამოყალიბებული პლატფორმა, პრობლემების ჩამონათვალი და მათი მოგვარების გზები, რათა არჩევნებზე მყარი მესიჯით წარდგნენ. უნგრეთში, მაგალითად, პარტიები მაჟორიტარული კანდიდატების შერჩევას უკვე არჩევნებამდე ორი წლით ადრე იწყებენ“; – ამბობს ანრეა ქერბსი, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტიდან.

საკუთარ პასიურობაში ოპოზიციონერები ძირითადად მთავრობას ადანაშაულებენ. მათი პრეტენზიები ხშირად სამართლიანია – ისინი ხელისუფლებას არაჯანსაღი საარჩევნო გარემოს შე-



ირაკლი ალასანიძე



ზვიად ძიძიგური და ლევან გაჩეჩილაძე

ფოტო: ლევან ხარაილაძე

ქმნაში, ადმინისტრაციული რესურსის უკანონო გამოყენებასა და აბსოლუტურ მედია-კონტროლში დებენ ბრალს. ისინი აცხადებენ, რომ ხელისუფლების შიშით ოპოზიციას არც ბიზნესმენები აფინანსებენ.

ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დირექტორი ლუის ნავარო ოპოზიციის პასიურობაზე „ლიბერალთან“ საუბარში ამბობს: „რა თქმა უნდა, მმართველ პარტიას ყოველთვის მეტი რესურსი აქვს, ვიდრე ოპოზიციურს. ეს ყველგან ასეა. თუმცა, ოპოზიციას უნდა ახსოვდეს, რომ პოლიტიკურ სცენაზე ყველაფერი რესურსების ფლობით არ განისაზღვრება. პარტიის პოზიცია, პლატფორმა და მისი მთავარი კანდიდატები საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნებს და მოლოდინებს უნდა ეხმიანებოდეს. ამას კი მატერიალურ რესურსზე მეტად პარტიული მუშაობა სჭირდება.“

სწორედ ოპოზიციური პარტიების სტრუქტურული გაძლიერებისთვის უცხოური ორგანიზაციები და საელჩოები ყოველწლიურად მნიშვნელოვან თანხას გამოყოფენ.

„ჩვენ უზრუნველყოფთ მათ ტრენინგებით, სემინარებით და რჩევებით. ჩვენ ვერ მოვიძიებთ მათთვის ფინანსებს, მა-

გრამ ვურჩევთ, თუ როგორ უნდა მოიძიონ სპონსორები. ამას გარდა, პარტიებთან ინდივიდუალურადაც ვმუშაობთ და მათ წლიური გეგმების შედგენაში ვეხმარებით“, – ამბობს ანრეა ქერბსი.

ახალ პოლიტიკურ სეზონზე ნაციონალურ მედიაში ოპოზიცია პირველად 29 სექტემბერს გამოჩნდა. ფილარმონიის საკონცერტო დარბაზიდან ვრცელ რეპორტაჟში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ 90-იანი წლების პერსონაჟები, 90-იანი წლების ლოზუნგებითა და მუქარებით. ოპოზიციონერი პოლიტიკოსები კი ამავე რეპორტაჟში ერთმანეთს აკრიტიკებდნენ და ტრადიციულად, შესაძლო გადაჯგუფება-გადმოჯგუფებას უარყოფდნენ, ან ადასტურებდნენ.

„ოპოზიცია დიდ დროს ხარჯავს ერთმანეთში და ერთმანეთზე სუბარში, რაც მოსახლეობისთვის მოსაწყენი და მოსაბეზრებელია. ამას მთავრობაც უწყობს ხელს ტელე-მედიაზე გავლენის მეშვეობით, რომელიც ერთმანეთზე მოლაპარაკე დაქსაქსულ ოპოზიციას უჩვენებს“, – ამბობს ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი საქართველოში მარკ მალენი.

ოპოზიციის მარგინალიზაციის საფრთხე რეალურია – თუ ის ისევ გაემიჯნე-

ბა მნიშვნელოვან პროცესებს, გაექცევა მთავარ საკითხებზე საქმიან მსჯელობას და არ ექნება გამოკვეთილი პლატფორმა, რომელიც მხოლოდ შიდაპარტიულ დოკუმენტად დარჩება.

თუ ვერც ერთმა ოპოზიციურმა ძალამ ვერ მოახერხა ახალი რეალობის გათვალისწინება, ეს ნიშნავს, რომ 2012 წლის მონვევის პარლამენტში იგივე სურათი იქნება: მმართველი პარტია – კონსტიტუციური უმრავლესობით, „ოპოზიცია“ კი – იმდენი, რამდენიც ხელისუფლებას უნდა. დანარჩენებს „საკავშილის ხელისუფლების დემონტაჟისთვის“ ბრძოლა 2020 წელსაც საკონცერტო დარბაზებიდან მოუწევთ.

2007 წლის ოქტომბერში, მაშინ, როცა ოპოზიციური მოძრაობა ყველაზე აქტიური იყო, მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც თავისი პრეზიდენტობის ადრეულ წლებში მუდმივად ქილიკობდა ოპოზიციაზე, თქვა: „მე რომ დღეს ოპოზიციაში ვიყო, სერიოზულ პრობლემებს შევუქმნიდი ამ მთავრობას.“ კარგა ხანია, სააკაშვილს ოპოზიციაზე აუგი არ უთქვამს, იგი მათ მხოლოდ აქებს. **■**

სტატიაზე მუშაობდნენ ნანა საჯავია და ნინო გოგუა.

ხასომ ვჩაიხობთ?



მარკ მალენი

საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობას კონსტიტუციის საკითხი არ ანაღვლებს. განსხვავებები ორგანულ კანონს, ჩვეულებრივ კანონს, კონსტიტუციასა და სხვადასხვა რეგულაციას შორის ბევრისთვის ბუნდოვანია. კონსტიტუციის საუკეთესო განმარტება ასეთია: კონტრაქტი მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის. როგორც ყველა კარგი კონტრაქტი, ისიც არ უნდა იყოს ზედმეტად ვრცელი. დანერგული უნდა იყოს მარტივი ენით, ისე, რომ ყველამ გაიგოს.

დეტალები ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან მათი შევსება მოგვიანებით პარლამენტის მიერ მიღებული კანონებით შეიძლება. კონსტიტუციის მიზანია, დაანსოს, თუ როგორ იმუშავებს მთავრობა, რა უფლებები ექნება მას და რა უფლებები ექნება ხალხს.

ბიზნესის ერთ-ერთი უპირველესი კანონის მიხედვით, თუ ვინმესთან კონტრაქტს უნდა მოახერხო ხელი და მეორე მხარე უმიზეზოდ ჩქარობს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გააფორმო ეს კონტრაქტი. უბრალოდ, უარი უნდა თქვას. ამ დოკუმენტში აუცილებლად იქნება რაიმე დამალული დეტალი, რომელიც უახლოეს მომავალში დაგაზიანებს.

ამ სტატისას ხუთშაბათს, სექტემბრის ბოლო დღეს ვწერ. იურიდიული კომიტეტის სხდომიდან მოვდივარ და ყველაფერი ისე ჩანს, რომ კონსტიტუციაში ცვლილებებს პარლამენტი ხვალ, პლენარულ მეორე მოსმენაზე მიიღებს. ამით პარლამენტში მყოფი პოლიტიკური ლიდერები საშინელ შეცდომას უშვებენ. კონსტიტუციის მიღების პროცესი აუცილებლად უნდა შენელდეს.

ხელისუფლებაში ამბობენ, რომ ამის შესახებ უკვე წელიწადზე მეტია, რაც საუბრობენ. ეს ტექნიკურად სიმართლეა, მაგრამ რადგან დისკუსიას ფორმალური პროცედურები არ ჰქონია, ამგვარი დისკუსია, ფაქტობრივად, არც ითვლება. თუ ვინმე ოდესმე პარლამენტში, ან რომელიმე წარმომადგენლობით ორგანოში მუშაობდა ან დამკვირვებელი ყოფილა, ეცოდინება, რომ პროცედურა ყველაფერს განსაზღვრავს. თუ პროცედურა არ არსებობს, დისკუსია წრეზე ტრიალებს და მის ბედს ძალაუფლების მქონენი განსაზღვრავენ. კონსტიტუციური ან რამე სხვა სახის დისკუსიის გამართვის საუკეთესო გზა, პირველ რიგში, იმის განსაზღვრაა, თუ ვინ მიიღებს მონაწილეობას და როგორ შედგება განრიგი. განრიგი უნდა იყოს მკაცრი, ზოგადი დისკუსიით უნდა დაიწყოს და უფრო სპეციფიკური დეტალების განხილვაში გადაიზარდოს. განრიგისა და პროცედურის გარეშე, თავმჯდომარე იმას გააკეთებს, რაც უნდა.

ივლისამდე შესაძლო ცვლილებების პირველადი ვერსიაც კი არ არსებობდა. აზრი, რომ ქართველები ივლისს და აგვისტოს კონსტიტუციის ცვლილებების განხილვაში გაატარებდნენ, სულელურია.

არანაირი დანერგული განრიგი არ არსებულა. თუ საკონსტიტუციო კომისია გარკვევით იტყობდა, რომ 24 სექტემბერი პირველი მოსმენის თარიღი იქნებოდა, ხალხს უკვე ექნებოდა დრო საბოლოო ვადამდე სამუშაოდ. ასეთი დათქმული თარიღი არ ყოფილა.

მთავრობამ ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი იმისთვის შემოიღო, რომ ხალხის სასამართლოსთან დაახლოება სურს. ჩემი აზრით, ეს საუკეთესო გზაა და საქართველოში ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტს სრულიად ვუჭერ მხარს. კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროცესს კი ხალხი კონსტიტუციასთან ან მთავრობასთან ახლოს ნამდვილად არ მიჰყავს.

უცნაურია, რომ ამ დაჩქარებული ტემპების ფონზე, კონსტიტუცია ძალაში 2013 წლამდე არ შევა. რატომ? მნიშვნელოვანია, ეს კარგად გავიაზროთ. თუ ეს ცვლილებები სისტემური გაუმჯობესებაა, ახლავე რატომ არ შედის ძალაში? და თუ 2013 წლამდე არ არის საჭირო მისი ძალაში შესვლა, მაშინ რატომ არ ავიღებთ კიდევ რამდენიმე თვეს, რომ მშვიდად განვიხილოთ? ჩვეულებრივი კანონისთვისაც კი ორ მოსმენას შორის მხოლოდ ერთკვირიანი შუალედი, ძალიან ცოტაა. კონსტიტუციაზე ხომ საუბარიც ზედმეტია. მიუხედავად იმისა, ლეგალურია თუ არა თავად კონსტიტუციის მოდელი, ჩანს, რომ მის მიღებას ზედმეტად ვჩქარობთ. რატომ?

კონსტიტუცია 2001 წელს შეიცვალა და ეს მაშინ ცოტამ თუ შეამჩნია. 2003 წლის შემოდგომაზე კი უკვე ყველა მიხვდა, რომ შევარდნაძემ კონსტიტუცია იმისთვის შეცვალა, რომ 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ძალაუფლების რეალური გადაცემა არ დაეშვა. ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რის გამოც, ახლანდელმა ხელისუფლების წევრებმა 2003 წლის 22 ნოემბერს საპარლამენტო სესიის ჩატარება არ დაუშვეს და მე მოხარული ვარ, რომ სწორედ ასე მოიქცნენ.

2004 წლის 4 თებერვალს, სამი დღის დისკუსიის შემდეგ, ახალი ხელისუფლების ინტერესების დასაკმაყოფილებლად, კონსტიტუციაში ახალი ცვლილებები შევიდა. ამის შემდეგ კონსტიტუციაში კიდევ ბევრი ცვლილება შეიტანეს. დარწმუნებული ვარ, რომ ახალ ცვლილებებსაც მალე მიიღებენ.

მომავალ თვეში ჩვენი ყურადღება ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის დანერგვისკენ და სხვა ახალი ამბებისკენ იქნება მიპყრობილი. როდესაც 2013 წელი დადგება, კონსტიტუციას კვლავ შევხვდებით და, ალბათ, გავოცდებით, როცა აღმოვაჩინოთ, თუ რა შეცვალა მან სინამდვილეში.

კონტრაქტის სიჩქარეში გაფორმება ყოველთვის ცუდი იდეაა. **■**

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ.

ამერიკის შიდაპოლიტიკური მდგომარეობა

ჩილიანობის პრინციპები: ჩილიანობის სიღრმე და მნიშვნელობა

„სადაც უნდა მივყავდეთ გზას, ჩრდილოეთის ვარკვლავი ყოველთვის შინისკენ მიგვითითებს“, – სარა პეილინი, 2009 წელი

სემ დევისი



როდესაც „ვანიტი ფერის“ რეპორტიორმა მაიკლ იოსებ გროსმა ამქვეყნიური ამბოების სექტემბრის ნომერში სარა პეილინის ვრცელ პორტრეტს „ხმაური და მძინვარება“ დაარქვა, ძნელი სათქმელია, ფოლკნერზე ფიქრობდა თუ შექსპირზე. სარა პეილინის გულმხურვალე მომხრეებისთვის, გროსის სტატია უფრო მაკბეტიანაა: „იდიოტის სრულიად უმნიშვნელო მონაცემი სავსე ხმაურითა და მძინვარებით“; ლიბერალი ფემინისტებისთვის კიდევ ერთი თავდასხმაა, ზოგადად, ლიდერ ქალზე, თავად სარასთვის კი

საკმაოდ კონკრეტული შესაძლებლობა – არ მოაკლდეს ნაციონალური მედიის ყურადღება.

ყოფილი მის ვასილას და ალიასკას სილამაზის კონკურსის მესამე პრიზიორის სახელი პირველად ალიასკას გარეთ ამერიკელებმა 2008 წლის 29 აგვისტოს გაიგეს, როდესაც, ყველასთვის მოულოდნელად, ახალგაზრდა გუბერნატორი გამოცდილმა ჯონ მაქკეინმა ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა და თქვა: „პეილინი ზუსტად ისაა, ვინც ასე გვჭირდება, მეც და ქვეყანასაც, ძველი

ვაშინგტონის პოლიტიკის დასამარცხებლად.“ ბევრის აზრით, პეილინმა 2008 წელს მაქკეინი დაამარცხა და მისი საპრეზიდენტო ამბიციები დაასამარა, 2012-ში კი შეუძლია, პრეზიდენტობას მეორე ვადის თითქმის დასამარებული შანსები გააცოცხლოს.

ინტერნეტ გამოცემა „პოლიტიკოს“ და ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის გამოკითხვაში, რომელიც 26 სექტემბერს გამოქვეყნდა, 44 პროცენტი ამბობს რომ 2012 წელს ნებისმიერ შემთხვევაში ობამას წინააღმდეგ მისცემს ხმას და მხოლოდ 38

პროცენტი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტმა მეორე ვადით არჩევა დაიმსახურა.

თუმცა, არის მანსი, რომ ბარაკ ობამამ არჩევნები მოიგოს — მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მონინალმდევე კანდიდატი სარა პეილინი იქნება. დღეს ობამა პეილინს 8 პროცენტის სხვაობით უგებს.

ამ გამოკითხვის მიხედვით, სარა პეილინი განსაკუთრებით ქალებს არ მოსწონთ — 54 პროცენტი მისდამი უარყოფითად არის განწყობილი.

ამ ქალებს შესაძლოა, უკვე ნაკითხული ჰქონდათ ჟურნალ „ვინითი ფეარში“ დაბეჭდილი მისი პორტრეტი. „ხმაური და მივინვარება“ გამოკითხვამდე ერთი კვირით ადრე, 2 სექტემბერს გამოქვეყნდა. მაიკლ გროსის პეილინი გულგრილი დედა, მოძალადე ცოლი, დესპოტი უფროსი, მატყუარა პოლიტიკოსი და ჩაკეტილი, ეგოცენტრული, შურისმაძიებელი ქალია — თითქმის ლედი პეილინი.

■ დღეს ალიასკას ყოფილი გუბერნატორი, 5000-კაციანი ქალაქის, ვასილას ყოფილი მერი მულტიმილიონერია.

მცირედ სხვაგვარია პეილინი, რომელიც ყოველდღე ნაციონალური საკაბელო ახალი ამბების დადებითი და იმავდროულად, უარყოფითი პერსონაჟია: „ჩაის მსმელების მოძრაობის“ წევრების გულმხურვალე, ხშირად ბრმა თავყანისცემის ობიექტი; მგზნებარე ორატორი, რომლის ყოვლად უმნიშვნელო და ზოგჯერ ხშირი განმეორებებისგან გაცრეცილი, აზრდაკარგული ფრაზები მასების ყურებისა და გულებისკენ გზას ადვილად იკვლევს; პოლიტიკოსი, რომელმაც პრეზიდენტის ჯანდაცვის რეფორმის დებატებში დისკურსი ისე შეცვალა, რომ დღეს რეფორმის ხსენებისას ყველას მისი ფრაზა „სიკვდილის მსაჯულები“ ახსენდება და არა ის სიკეთეები, რასაც პრეზიდენტი ამ რეფორმით ჰპირდებოდა; 5 შვილის დედა, რომელიც სცენაზე ყოველთვის შვილებთან და მულტულსთან ერთად ჩნდება და ოჯახის ფასეულობებზე საუბრობს.

მის გამოსვლებზეც ოჯახებით დადიან. დასწრება ძვირი ღირს. ჰაერი პატრიო-

ტიზმიტაა გაჟღერებული: საბრძოლო ჰიმნები, სამხედრო ძლიერების ამსახველი და ჯარისკაცების პატივსაცემი ვიდეორგოლები, დროშები და საუბრები დიად ქვეყანაზე, რომელიც მათ უნდა დაიბრუნონ.

„არ მივცემთ საშუალებას, გაგვარჩუნონ! ნოემბერში ჩვენ დავიბრუნებთ ჩვენ ქვეყანას!“ — უუბნება პეილინი მომხრეებს. თითქოს არაფერი განსაკუთრებული...

ნოემბრის არჩევნებამდე ბოლო პრაიმერების დროს, კანდიდატთა უმეტესობამ, ვისაც პეილინმა დაუჭირა მხარი, მათ შორის, ისეთმა კანდიდატებმაც, რომელთაც მცირე შანსები და უფრო ნაკლები უნარები ჰქონდათ, გაიმარჯვეს.

„თქვენ ამასად ჩასჭიდებიხართ თქვენ იარაღს და რელიგიას“, — უუბნება პეილინი ხალხს ნითელ შტატებში, სადაც დღემდე ახსოვთ, ახალმა პრეზიდენტმა მათი ლტოლვა იარაღისა და რელიგიისადმი საყოველთაო ფრუსტრაციას რომ დაა-

ბრალა.

იარაღი და რელიგია თავადაც უყვარს. უმეტეს ფოტოზე იარაღითაა ხელში — ხან უძრავ სამიზნეებს ესერის და მოძრავ ცხენ-ირმებს.

მეინსტრიმ მედიას პეილინი არ უყვარს. კარგად ახსოვთ პეილინის 150 000 დოლარიანი პარტიული შოპინგი, აფრიკა ქვეყანა რომ ეგონა, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები რომ ვერ გაიხსენა და ისიც ვერ თქვა, დილით რომელ გაზეთს ეცნობა ჭიქა ყავასთან.

თავად პეილინი მეინსტრიმ მედიას „ლეიმსტრიმს“ — კოჭლს უწოდებს და ნოემბერში საკუთარი გადაცემის პრემიერას გეგმავს, მოსალოდნელი სათაურით და არცთუ მოულოდნელი ჰონორარით: „სარა პეილინის ალიასკა“-სთვის პეილინი 2 მილიონიან ანაზღაურებას მიიღებს.

დღეს ალიასკას ყოფილი გუბერნატორი, 5000-კაციანი ქალაქის, ვასილას ყოფილი მერი მულტიმილიონერია.

2008 წლის ნოემბრის დამარცხებიდან

რამდენიმე თვეც არ იყო გასული, ავტობიოგრაფიული წიგნისთვის დამინტრიგებელი და ინგლისურ ენაზე არაერთაზროვანი სათაურით „დინების წინააღმდეგ“ (Going Rogue) მხოლოდ ავანსად 7 მილიონი დოლარი აიღო. ნოემბერში პეილინის კიდევ ერთი წიგნი გამოვა, ამერიკა გულთი (ან ზეპირად) (America by Heart: Reflections on Family, Faith, and Flag) სადაც ისევ ოჯახის, რწმენისა და დროშების შესახებ ისაუბრებს.

მისი, როგორც ავტორის, საქმეებს ვაშინგტონის ყველაზე წარმატებული ლიტერატურული აგენტი, რობერტ ბენეტი განაგებს.

პეილინის ფაქტორი რესპუბლიკური პარტ-ელიტისთვის ორლესული მახვილივითაა: ერთი მხრივ, ის ენერგია, რომელიც პეილინის მომხრეებს მოაქვს წინასაარჩევნო ბრძოლებში, რესპუბლიკელებს ძლიერ სჭირდებათ, მეორე მხრივ, იგივე ენერგია ზედმეტად მარჯვნივ მიაქნებს პარტიას, და ზომიერ ამომრჩევლებს აუცხოვებს.

ბოლო დროს პეილინი იმეორებს, რომ მარგარეტ ტეტჩერის ნახვა უნდა. რკინის ლედი, რომლის მესხიერება დემენციამ დააფრაგმენტა, პოლიტიკურ მრჩეველად, ალბათ, ვეღარ გამოადგება, მაგრამ პეილინს გარშემო ამერიკელი კონსერვატორი მრჩეველების ყველაზე ძლიერი ჯგუფი ჰყავს შემოკრებილი. „ვიქლი სტანდარდის“ რედაქტორის უილიამ კრისტოლის და მისი გუნდის დახმარებით, საგარეო პოლიტიკაში უმეცარი გუბერნატორი ახლა ძლიერი ოპონენტი.

მისი ინტელექტუალური გარემოცვა ამბობს, რომ ამბიციური და ჭკვიანია და რაც მთავარია, გულგრილს არავის ტოვებს. რესპუბლიკური ოლიმპოს მკვიდრებს კი მისი განათლების და შესაძლებლობების ბოლომდე არ სწამთ, სერიოზული კამპანიის წარმოება ერთსულოვნად რომ მიანდონ.

დღეს ზუსტად ვერავინ ამბობს, ემზადება თუ არა თავად პეილინი 2012 წლისთვის. დღეს ის პოპ-სტარია, ჩრდილოეთის ვარსკვლავი, რომელსაც ბევრი სიამოვნებით მიუთითებდა გზას შინისაკენ — ისევე ალიასკაზე. სანამ იქ იყო, ყველანი ხომ ასე მშვიდად იყვნენ. არც ხმაური იყო და არც მივინვარება. ■

20 წლის წინ

ოხი ბეხმანია

აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის გაერთიანება პროცესია, რომელიც დღესაც გრძელდება.

თამარ ბაბუაძე



„1.378 კილომეტრი“ – ასე ჰქვია ახალ კომპიუტერულ თამაშს, რომლის პრეზენტაციაც დასავლეთ გერმანიის ქალაქ კარლსრუეში ხუთშაბათს გაიმართა.

დიზაინის, მედიისა და ხელოვნების უნივერსიტეტის 23 წლის სტუდენტმა იენს სტობერმა მძაფრსიუფეტიანი თამაშის არენად დასავლეთ-აღმოსავლეთ გერმანიის ყოფილი საზღვარი აიღო. მოთამაშე თვითონ ირჩევს როლს – იყოს გდრ-ს მოქალაქე, რომელსაც დასავლეთ გერმანიაში გაღწევა სურს, თუ იყოს საზღვრის მცველი, რომელიც დაიჭერს ან პირდაპირ დაცხრილავს მას.

სტუდენტი, რომლის იდეასაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციაც უჭერს მხარს, აცხადებს, რომ თამაშის მიზანია, ახალგაზრდებს უახლესი ისტორია შეახსენოს, კომპიუტერული თამაშები კი თინეიჯერებზე „გავსდის“ საუკეთესო გზაა.

მწვავე რეაქცია, რომელიც ამ თამაშის იდეას მოჰყვა, ერთს მოწმობს – გერმანელებისთვის წარსული დღესაც მგრძნობიარე თემაა, რომლის გადასალახად 20 წლის მანძილზე დახარჯული მილიარდობით ევრო საკმარისი არ აღმოჩნდა.



გერმანია აღნიშნავს ბერლინის კედლის დაწვრთვას 20 წლისთავს

კვირას, 3 ოქტომბერს, გერმანიაში ორი გერმანიის გაერთიანების თარიღი აღნიშნეს. ზუსტად 20 წლის წინ გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ნაწილად იქცა. მსოფლიოში არც ერთი სხვა ქვეყანა არ გამქრალა პოლიტიკური რუკიდან ისე უმტკივნეულოდ, როგორც გდრ-ი. ორი გერმანიის გაერთიანებისთვის ახალი

კონსტიტუციის მიღებაც კი არ იყო საჭირო.

რკინის ფარდის ქვეშ 45 წლიანი ცხოვრების შემდეგ, აღმოსავლეთმა 20 თავისუფალი წელი გაატარა ერთიანი გერმანიის საზღვრებში. თუმცა, კოლექტიური მეხსიერება მაინც ცოცხლობს.

სწორედ ეს მეხსიერება გააღიზიანა 23 წლის სტუდენტის მიერ მოგონილმა კომპიუტერულმა თამაშმა. შტაზის საი-

დუმლო პოლიციის მსხვერპლთა მემორიალის დირექტორმა სასამართლოში საქმეც კი აღძრა. რაინერ ვაგენერმა კი, რომელიც პატარა ბიჭი იყო, როდესაც აღმოსავლეთ გერმანიის მესაზღვრეებმა საზღვარზე დაიჭირეს, „შპიგელ ონლაინს“ განუცხადა: „ეს იყო სახეში გარტყმა. თითქოს ისევ მესროლეს ტყვია. ემოციურად ზუსტად იგივე განვიცადე“.

დღეს გერმანია ცდილობს, 21 წლის წინ დაწვრიული კედლის ემოციური კვალი წაშალოს.

იმ ადგილას, სადაც ოდესღაც 155 კილომეტრზე იყო ბერლინის კედელი გადაჭიმული, დღეს მხოლოდ ამ კედლის ფრაგმენტებია დარჩენილი, როგორც ტურისტული სანახაობა. საკონტროლო გამშვები პუნქტი „ჩარლი“-სგან პრიალა ბილბორდილა დარჩა, ქუჩა კი ერთ-ერთ ყველაზე მდიდრულ სავაჭრო რაიონად გადაკეთდა. ამიტომ თუ წარსულს არ იკვლევთ, ალბათ, ყურადღებას არც მიაქცევთ ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე, უნთერ დენ ლინდენზე, უზარმაზარი შენობის თავზე შემორჩენილ ნარწერას: აქ აღმოსავლეთ ბერლინი იწყება; არც ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში საბჭოთა არქიტექტურისთვის დამახასიათებელი მკაცრი შენობები მოგხვდებათ თვალში, რადგან ისინი უკვე ახალი, ბოჰემური და კრეატიული ბერლინის სიმბოლო გახდა.

ბერლინის მერიის სპიკერი რიჩარდ მენგი ამბობს: „ევროპაში ბევრია ლამაზი და ისტორიული ქალაქი, რომლებიც აღარასდროს შეიცვლება. მაგალითად, პარიზი, ვენა, ლონდონი. ბერლინის მთავარი ხიბლი კი მის კრეატიულობაშია. ბერლინი დღესაც გარდაქმნაშია, ის სულ იცვლება. ახლა შენდება.“

ცვლილებები, რომელსაც ბერლინი განიცდის, ორი გერმანიის გაერთიანების პროცესის ნაწილია. გერმანიის ხელისუფლება ყველა შესაძლო გზით ცდილობს, გაერთიანება წარმატებულ პროექტად წარმოაჩინოს.

თავდაპირველი ეიფორია, რომ გაერთიანებისა და ჩამორჩენილი აღმოსავლეთის აღმშენებლობის პროცესი რამდენიმე წელიწადში დასრულდებოდა, გაქრა.

ჯერ კიდევ 1991 წელს, გაერთიანების წლისთავზე, ყურნალი „თაიმი“ წერდა:

„პოლიტიკოსები ახლალა ხედებთან, რამხელა დრო და ფული იქნება საჭირო. თავდაპირველად ითქვა, რომ ნაპრალი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის 2-3 წელიწადში უნდა ამოვსებულყო. შემდეგ 4-5 წელი დასახელდა. ახლა კი ამბობენ, რომ გაერთიანებას კიდევ 10 წელი სჭირდება“.

თუმცა, ეს პროცესი დასრულებულად არც დღეს, 20 წლის შემდეგ, ითვლება.

უკვე წლებია, დასავლეთ გერმანიაში მცხოვრები თითოეული მოქალაქე სპეციალურ გადასახადს იხდის, რითაც აღმოსავლეთ გერმანიის მშენებლობას ეხმარება. 2005 წელს ამ გადასახადის გადახდის ვადა 2019 წლამდე გახანგრძლივდა. ამიტომ გერმანელები ხშირად წუნუნებენ, რომ „გაერთიანება ძალიან ძვირი უჯდებათ.“

ხელისუფლება პოლიტიკური მიზეზების გამო არ ასახელებს ზუსტ თანხას, თუ რა დაჯდა გერმანიის გაერთიანება 1989 წლიდან დღემდე. თუმცა, ექსპერტის თქმით, მხოლოდ სუფთა გადარიცხვებით, აღმოსავლეთ გერმანიამ 1.600 ტრილიონი ევრო მიიღო.

ლაიპციგის – აღმოსავლეთ გერმანიის ისტორიული ქალაქის – მერი, ბურქჰარდ იუნგი თავისი ქალაქის „სასწაულებრივ გარდაქმნაზე“ ენთუზიაზმით გვესაუბრება. არიგებს ბუკლეტებს, სადაც წერია, რომ დღეს ლაიპციგი განათლების, მეცნიერებისა და მედია-კომპანიების ცენტრია. ის ჰყვება, როგორ განვითარდა ლაიპციგში მცირე ბიზნესი, როგორ აღდგა ისტორიული ძეგლების 90 პროცენტი და დაბრუნდნენ ცნობილი დინასტიების შთამომავლები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომამდე ლაიპციგის საქმიან ელიტას ქმნიდნენ.

თუმცა, ნაპრალი ორ გერმანიას შორის კვლავაც არსებობს. ქუჩებში ამწეებისა და ბურღების მონოტონური ზუზუნი თითქოს მინცადა, საბჭოთა ქარხნებისგან დაბინძურებული ჰაერიც, თითქოს, გაიწმინდა, მაგრამ აღმოსავლეთი ჯერ კიდევ ვერ დაენია დასავლეთს.

აღმოსავლეთ გერმანია განვითარებასთან ერთად შესამჩნევად „ბერდება“. ახალგაზრდები აღმოსავლეთიდან ისევ ისე ისწრაფვიან დასავლეთისკენ უკეთე-

სი ცხოვრებისა და მაღალანაზღაურებადი სამსახურის საძიებლად.

„ადამიანებს თანასწორობის მოლოდინი ტყუილად შეექმნათ. თურმე, გაერთიანება არ ნიშნავდა უფლებას თანასწორი ცხოვრებისთვის“, – ხშირად გაიგონებთ გერმანიაში.

საშუალო თაობის აღმოსავლეთ გერმანელები დღესაც, ისევე როგორც 20 წლის წინ, განზრახ თუ ქვეცნობიერად, საკუთარ ცხოვრებას დასავლელი გერმანელების ყოფას აღარებენ: იქ დღესაც საშუალო ხელფასი უფრო მაღალია, ბიზნესი უფრო განვითარებული, ადამიანები უფრო იშვიათად კარგავენ სამსახურს და ადვილად პოულობენ შემოსავლის სტაბილურ წყაროს. იქ ადამიანებს უფრო მეტი შანსი და გარანტია აქვთ.

გერმანიის უნივერსიტეტებში დღემდე იკვლევენ – როგორ გარდაიქმნება გდრში დაბადებული ადამიანი გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მოქალაქედ. დრეზდენისა და ლაიპციგის უნივერსიტეტების მეცნიერთა დასკვნით, ადამიანები, რომლებიც გდრ-დან დასავლეთში გადავიდნენ საცხოვრებლად, უფრო ჯანმრთელნი და დაცულნი არიან დაბალი ხელფასითა და უმშუგეობით გამოწვეული სტრესისა და სასოწარკვეთისგან.

კითხვაზე – რა დრო დასჭირდება დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანელების ერთ საზოგადოებად ჩამოყალიბებას, დრეზდენისა და ლაიპციგის უნივერსიტეტების მკვლევარებმა ასეთი პასუხები მიიღეს: აღმოსავლეთ გერმანელების მხოლოდ 18 პროცენტი ფიქრობს, რომ გაერთიანება უკვე მოხდა. 16 პროცენტს სჯერა, რომ ამას კიდევ 6-10 წელი სჭირდება. 33 პროცენტი კი ფიქრობს, რომ ეს არასდროს მოხდება.


მე-20 3 ოქტომბერს გერმანია ისევ გაორებული იდენტობითა და კონკრეტული პრობლემებით შეხვდა. აგურის კედელი ადამიანთა ცნობიერებაში საგრძნობლად შეირყა, მაგრამ კვლავაც არსებობს. ორი გერმანიის გაერთიანება კი, როგორც ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი, ჯერ მხოლოდ პროცესია. **■**

საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია

ხავხასიური ჰიოჯი

რა უნდა საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიაში?

ვარვარა პახომენკო



23 სექტემბერს გაეროს უსაფრთხოების საბჭოს სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მოწოდებამ კავკასიის გაერთიანების შესახებ, ბევრს 20 წლის წინანდელი მოვლენები გაახსენა, როდესაც მსგავს განცხადებებს ზვიად გამსახურდია აკეთებდა.

„ჩვენ, შესაძლოა, კავკასიის ქედის სხვადასხვა მხარეს, სხვადასხვა სახელმწიფოში ვცხოვრობთ და განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებს წარმოვადგენთ, მაგრამ ადამიანური და კულტურული კუთხით სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიას შორის განსხვავება არ არსებობს. არსებობს ერთიანი კავკასია, რომელიც მსოფლიო ცივილიზაციას და ევროპას მიეკუთვნება... გაერთიანების დრო დადგა!“ – განაცხადა სააკაშვილმა.

თავი რომ დავანებოთ რთულ ურთიერთობებს, ერთი მხრივ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის და, მეორე მხრივ, ამ რეგიონსა და რუსეთს შორის,

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: მაინც, ვის მიმართადა ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს პრეზიდენტი?

ამისთვის საჭიროა, რეგიონში მიმდინარე მოვლენებს გადავხედოთ.

გამსახურდიას, თავის დროზე, ახლო ურთიერთობები ჰქონდა 1990-იან წლებში ჩეჩნურ რესპუბლიკა იჩქერიასთან, რომელმაც ჯოხარ დუდაევის დროს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ჩეჩნეთში საქართველოსადმი დამოკიდებულება დღემდე განსაკუთრებულია. ჩეჩნები თავიანთი ისტორიისა და დამწერლობის ნაწილად მიიჩნევენ „ქართლის ცხოვრებას“, საქართველოში ჩეჩნების მონათესავე ქისტები ცხოვრობენ, 2008 წლის ომის დროს კი ჩეჩნები პირად საუბრებში საქართველოს მიმართ სიმპათიებს გამოხატავდნენ.

თუმცა, ორ ომგამოვლილ ჩეჩნეთს დღეს ნაკლებად აქვს საერთო 90-იანი წლების იჩქერიასთან. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის დღევანდელ

მდგომარეობას ბევრი ოფიციალურ სეპარატიზმად აფასებს, მისი ახალგაზრდა ლიდერი რამზან კადიროვი, რომელსაც, სხვათაშორის, გაცილებით მეტი დამოუკიდებლობა აქვს, ვიდრე დუდაევის და მასხადოვს ერთად აღებული, პუტინის ერთგულ ადამიანად ითვლება.

ჩრდილოეთ კავკასიის ბევრი სუბიექტისთვის ჩეჩნეთის მაგალითი საკმარისი აღმოჩნდა, რათა რუსეთისგან გამოყოფის თემა არც კი წამოეჭრა. ბევრს კი, ფედერალურ ცენტრთან უთანხმოებების მიუხედავად, ამაზე არასოდეს უფიქრია.

მეორე ომის შემდეგ ჩეჩნეთის რესპუბლიკის პარალელურად არსებული იჩქერიის ჩეჩნური რესპუბლიკა დღეს მხოლოდ ვირტუალურად არსებობს.

2007 წელს მისმა პრეზიდენტმა დოკუ უმაროვმა „იჩქერიის დასასრულის“ შესახებ განაცხადა. იჩქერიის მხარდამჭერების უმრავლესობა საზღვარგარეთაა, რესპუბლიკის კიდევ ერთი ლიდერის – ახმედ ზაკაევის ჩათვლით. სხვები კი იძულებულნი გახდნენ, კადიროვის ჩეჩნეთში ცხოვრებას შეეგუებოდნენ.

იჩქერიასთან დამშვიდობების შემდეგ იატაკქვეშეთის ლიდერმა დოკუ უმაროვმა 2007 წელს „კავკასიის ემირატის“ – ჩრდილოეთ კავკასიის ისლამური სახელმწიფოს შექმნის შესახებ განაცხადა, რომელიც მსოფლიო ხალიფატის შემადგენლობაში უნდა შესულიყო.

იატაკქვეშეთის მიზანს ემირატის მოლაღატებისგან გათავისუფლება წარმოადგენდა. ამასთან აღნიშნული იყო, რომ ბრძოლა აუცილებელია არა მხოლოდ უშუალო თავდამსხმელების (ძალოვანი სტრუქტურები), არამედ იმათ წინააღმდეგაც, ვინც მოძალადეების ძალაუფლებას ეგუება და უჭერს მხარს –

ანუ მშვიდობიანი მოსახლეობის. ეს ბრძოლა მსოფლიოში მუსლიმთა მიერ გაჩაღებული „წმინდა ომის“ ნაწილი უნდა გამხდარიყო.

აღნიშნული სტრატეგია მოქმედებაშია მოყვანილი: სისხლიანი ტერაქტები კავკასიაში და მის გარეთ რუსეთის თანამედროვე ცხოვრების რეალობად იქცა.

სააკაშვილმა თქვა, რომ იმ წუთებშიც კი, როცა ის გაეროს ტრიბუნასთან სიტყვით გამოდის, კავკასიაში „ათასობით ტანკი, სამხედრო მანქანა და რაკეტები გადაადგილდება.“

ამ განცხადებიდან რამდენიმე დღეში ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტმა თეიმურაზ მამსუროვმა, რომლის რესპუბლიკაშიც სექტემბერში მორიგი სისხლიანი ტერაქტი მოხდა, გაზეთ „კომერსანტთან“ ინტერვიუში თქვა, რომ ამ კონკრეტულ მომენტშიც კი სადღაც ახლოს ახალი ტე-

მეზობელი ყარაჩაი-ჩერქეზეთიც ასევე „კავკასიის ემირატის“ ფარგლებში შედის, თუმცა იქ ჯერ შედარებით სიმშვიდეა. სამაგიეროდ, აქ ჩერქეზების ეთნიკური საკითხი დგას მწვავედ. ეს უკანასკნელნი ფედერაციის რამდენიმე რესპუბლიკაში გადაანაწილეს. რეგულარულად ისმის ნაციონალური ავტონომიის შექმნის მოთხოვნები. მრავალრიცხოვანი ჩერქეზული დიასპორა მე-19 საუკუნეში ჩერქეზების ეთნიკური წმენდის აღიარების მოთხოვნით გამოდის. თემას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისიც სძენს, რომ სოჭის ოლიმპიური თამაშები 2014 წელს სწორედ ამ ტერიტორიაზე უნდა ჩატარდეს. ამ კამპანიაში საქართველოცაა ჩართული, რასაც ჩრდილოეთ კავკასიაში არაერთგვაროვნად აფასებენ.

მიმდინარე წელს თბილისში ამ საკითხზე გამართულ კონფერენციას, ძირითადად, დიასპორის წარმომადგენლები

ჟურნალისტები და ადამიანის უფლებათა დამცველები საქართველოს საზღვარზე გადასვლისას დიდ სირთულეებს აწყდებიან საზღვრის რუსულ მონაკვეთზე.

მიხეილ სააკაშვილის განცხადება იმ პოლიტიკის გაგრძელებაა, რომელსაც თბილისის აგვისტოს ომის შემდეგ კავკასიასთან მიმართებაში ირჩევს. ჩერქეზთა ეთნიკური წმენდის განხილვების პარალელურად, მიმდინარე წლის თებერვალში საქართველოს პარლამენტმა მოსკოვის გვერდის ავლით ჩრდილოეთ კავკასიურ რესპუბლიკებს მეგობრობა შესთავაზა. თბილისში მაუწყებლობს ასევე სატელევიზიო არხი „პირველი კავკასიური“, რომელიც ასევე, ჩრდილო კავკასიაში მოსკოვის პოლიტიკის კრიტიკითაა დაკავებული.

მიხეილ სააკაშვილის ამ განცხადებას უკვე გამოეხმაურა ისლამური იატაკქვეშეთის საიტი kavkazcenter-ი. აქ

■ შეიძლება კი, გონივრული პოლიტიკა ვუნოდოთ სააკაშვილის განცხადებას მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე არაპროგნოზირებადი რეგიონის მისამართით? აქ ხომ ნებისმიერ ნაბიჯს, შესაძლოა, გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს.

რაქტი იგეგმება. ჩრდილოეთ ოსეთი ერთადერთი მართლმადიდებელი რესპუბლიკაა რეგიონში და, ტრადიციულად, მოსკოვის დასაყრდენად ითვლება. ამის გამო იგი იატაკქვეშა მუსლიმი მეომრებისთვის მტრულ ტერიტორიას წარმოადგენს.

„კავკასიის ემირატი“ ამ ეტაპზე ჩრდილოეთ კავკასიის ერთადერთი სეპარატისტული პროექტია. ყაბარდოელებმა და ბალყარელებმა, რომლებიც საბჭოთა დროს ერთი რესპუბლიკის შემადგენლობაში ძალდატანებით მოაქციეს, თავის დროზე საერთო ენის გამონახვა სწორედ რადიკალური ისლამის გარშემო მოახერხეს. კავკასიის ამ მშვიდობიანი რესპუბლიკისთვის ცხოვრება ორად გაიყო: 2005 წლის 13 ოქტომბერს ნალჩიკზე ორასამდე ბოევიკის თავდასხმამდე და შემდეგ. ახლა იქ დღე არ გადის ტერაქტისა და პოლიციელების მკვლელობის გარეშე.

ესწრებოდნენ. ჩრდილოეთ კავკასიელების ნაწილმა მონაწილეობაზე უარი საქართველოს ორმაგი სტანდარტებით ახსნა: აფხაზები ჩერქეზებისთვის მონათესავე ერია.

მსგავსი სიტუაციაა ჩრდილოეთ ოსეთშიც. გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, სწორედ ამ რესპუბლიკას აქვს ყველაზე მჭიდრო კავშირები საქართველოსთან: აქ გადის სამხედრო გზა და ტრანსკავკასიური მაგისტრალი. ბოლო წლებში ტრადიციული კავშირები შეწყვეტილია, რადგან რუსეთი და საქართველო ვერ თანხმდებიან ისეთ საკითხზეც კი, როგორც მოსაზღვრე რეგიონებისთვის შემსუბუქებული სავიზო რეჟიმის დაწესება.

თუმცა, ჩრდილოეთ კავკასიელებისთვის საქართველოში მოგზაურობა პრობლემაა იმ შემთხვევაშიც კი, როცა ღია გამშვები პუნქტებიდან გადმოდიან. დაღესტნელი, ჩეჩენი და ინგუში

საქართველოს მთავრობას ურჩევენ, რომ თუ იგი მართლა დაინტერესებულია კავკასიის რესპუბლიკებთან თანამშრომლობით, „კავკასიის ემირატის“ ინტერესები უნდა გაითვალისწინოს და პირველ რიგში, სწორედ ემირატთან უნდა დაიჭიროს საქმე.

შეიძლება კი, გონივრული პოლიტიკა ვუნოდოთ საქართველოს ამგვარ ქმედებებს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე არაპროგნოზირებადი რეგიონის მისამართით? აქ ხომ ნებისმიერ ნაბიჯს, შესაძლოა, გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს.

საეჭვოა, რომ გაეროში სიტყვით გამოსვლისას სააკაშვილი ჩრდილოეთ კავკასიაში ვინმე კონკრეტულს მიმართავდა – ალბათ, უფრო ვიღაც ფანტომებს. ქართული მხარის შეთავაზებას ჯერჯერობით ისინი გამოეხმაურნენ, ვინც მხოლოდ სისხლისმღვრელ ბრძოლაში გაერთიანების მომხრეა. □

კონფლიქტის ზონა

ჰამარბერგის ბანაჩენი

ჰამარბერგის მოხსენება დარტყმაა ქართული პოლიციისთვის და პირადი ტრაგედია ოსური ოჯახებისთვის.

ოლესია ვართანიანი, „რადიო თავისუფლება“ „ლიბერალისთვის“



ტომას ჰამარბერგი

გასულ შაბათს ევროპის საბჭოს კომისარმა ადამიანთა უფლებების საკითხებში ტომას ჰამარბერგმა თავისი ორი ექსპერტის მუშაობის შედეგები გამოაქვეყნა, რომლებიც ხუთი თვის მანძილზე უგზოუკვლოდ დაკარგული ოსების და ქართველების საქმით იყვნენ დაკავებული.

მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი სამი ოსის – ალან ხაშიროვის, ალან ხუგაევის და სოსლან პლიევის დაკარგვის ისტორიას ეთმობა.

ისინი აგვისტოს ომის შემდეგ ორ თვეში უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ. ოსეთის მხარე ეჭვს გამოთქვამდა, რომ ამ ამბავში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიუძღოდა წვლილი. თბილისი ბრალდებებს უარყოფდა.

ჰამარბერგის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ამ ადამიანების დაკარგვაში ქართული მხარე მონაწილეობდა და, რომ ოფიციალური გამოძიება ხელს აფარებს პოლიციურ სტრუქტურებთან დაკავშირებულ დამნაშავეებს.

2008 წლის 13 ოქტომბერს 19 წლის ალან ხუგაევი მამის ცისფერ „ლადაში“ ჩაჯდა და

ოჯახში დაიბარა, რომ ბაბუასთან მიდიოდა.

მას მეგობარი სოსლან პლიევი, გზად კი 15 წლის ალან ხაშიროვი შეუერთდა, რომელიც იმ დღეს სკოლიდან გამოიპარა.

მანქანა ცხინვალის ომის შემდეგ ერთ-ერთ ყველაზე სასიფათო რაიონისკენ – სოფელ დმენისისკენ გაემართა.

ეს ადგილები ადმინისტრაციულ საზღვართან ახლოსაა. რამდენიმე დღით ადრე იქაურობა რუსეთის ჯარებმა დატოვეს და აქაურების გაკონტროლებას უკვე ქართველები იწყებდნენ.

მოსახლეობა ამ ადგილებში თითქმის არ იყო. ქართველმა მოსახლეებმა აქაურობა ომის დროს დატოვეს.

დაახლოებით სამ საათზე ბიჭები „კალაშნიკოვის“ ავტომატებით ხელში შენიშნეს. ისინი პატარა სოფელ კოშკასკენ მიმავალ ცარიელ გზას მიუყვებოდნენ. ამ დროიდან მათი კვალი იკარგება, ისინი თითქოს აორთქლდნენ.

დაახლოებით 10 დღის შემდეგ ხაჩიროვის დედა ცხინვალის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდა. ამის შემდეგ

დაკარგულების ახლობლები ადმინისტრაციულ საზღვარზე რუს, ცხინვალელ და ქართველ ჩინოვნიკებს და პოლიციელებს რამდენჯერმე შეხვდნენ.

ბიჭების საქმეში ვერავინ მოახერხა გარკვევა. მშობლებს არაოფიციალური არხებიდან აწვდიდნენ ინფორმაციას, რომ მათი შვილები ქართველმა პოლიციელებმა დააპატიმრეს და გორის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს.

ქართული პოლიცია კატეგორიულად უარყოფდა აღნიშნულ ბრალდებას. ეს საქმე კვლავაც გამოუძიებელი დარჩებოდა, გასულ გაზაფხულზე ქართულ საიტ myvideo.ge-ზე ნახევარწუთიანი, მობილურით გადაღებული ვიდეოჩანაწერი რომ არ გავრცელებულიყო.

ვიდეოფირზე ჩანდა, როგორ დაკითხეს სამი ოსი ახალგაზრდა და შემდეგ ისინი სცემეს.

მშობლებმა დაკავებულებში შვილები ამოიცნეს. კადრები უმალ გავრცელდა ოსურ ინტერნეტ-საიტებზე. საქმეში ცხინვალის ხელისუფლება ჩაერთო. გაზაფხულიდან მოყოლებული ისინი ნებისმიერ მოლაპარაკებებზე ულტიმატუმის სახით მოითხოვდნენ თბილისისგან: „გაათავისუფლეთ ჩვენი ბიჭები!“

ქართული მხარე კი აგრძელებდა მტკიცებას: „ჩვენ არ გვყავს ოსები, ისინი არავის დაუპატიმრებია.“

შედეგად ეს შემთხვევა პოლიტიკური ვაჭრობის თემად იქცა და ხშირად გამხდარა მოლაპარაკებების ჩაშლის მიზეზი. მაგალითად, ამიტომ ჩაიშალა „ინციდენტების აღკვეთის მექანიზმის“ ფორმატის შეხვედრა.

ურთიერთბრალდებები თითქმის ერთი წელი ისმოდა. გაზაფხულზე ევროპის საბჭოს კომისარი ადამიანთა უფლებების საკითხებში ტომას ჰამარბერგი ახალი ინი-

ციატივით გამოვიდა: სამი ოსის და სხვა რამდენიმე ადამიანის დაკარგვის ფაქტთან დაკავშირებული გამოძიების გაკონტროლება ორ უცხოელ ექსპერტს დაევალა.

ჰამარბერგის ოფიციალური მოხსენება ნამდვილ ტრაგედიად იქცა. სწორედ აქედან მშობლებმა დანამდვილებით შეიტყვეს, რომ მათი შვილები ცოცხლები აღარ არიან.

„ხაშიროვის, ხუგაევის და პლიევის ოჯახებს დღესაც სჯერათ, რომ მათი დაკარგული ნათესავები ცოცხლები არიან. დედის სხვადასხვა ჭორები, რომ თითქოსდა ეს ახალგაზრდები რომელიღაც საიდუმლო ადგილას ან ციხეში იმყოფებიან. ამ ჭორების შესახებ ექსპერტებმაც იციან, თუმცა, სამწუხაროდ, მათ ვერ აღმოაჩინეს საკმარისი მტკიცებულებები, რაც დადასტურებდა, რომ ეს სამი ახალგაზრდა ცოცხალია“, – ნათქვამია ჰამარბერგის მოხსენებაში.

ამასთან, კომისარი უაპელაციოდ აცხადებს, რომ 2008 წლის 13 ოქტომბერს

მოლაპარაკებებში საქართველოს მხარეს წარმოადგენს.

ჰამარბერგის მოხსენების გამოქვეყნების შემდეგ უტიაშვილმა განაცხადა, რომ ისინი „იმედგაცრუებულნი არიან დოკუმენტის მიკერძოებულობით.“

მისი თქმით, მოხსენებაში „არ არის მოყვანილი არც ერთი პირდაპირი მტკიცებულება“, რომელიც ქართველი პოლიციელების მიერ ოსების დაკავებას დაამტკიცებდა.

უტიაშვილმა ასევე განაცხადა, რომ ჰამარბერგის ექსპერტები მუშაობის პროცესში რამდენიმე პოლიციელის გვარს ასახელებდნენ, რომელთაც, სავარაუდოდ, ამ საქმესთან უნდა ჰქონოდათ კავშირი.

„ყველა ეს ადამიანი შემონმდა და მათი ამ საქმეში მონაწილეობა არ დადასტურდა“, – აღნიშნა უტიაშვილმა.

ჰამარბერგის მოხსენებაში ცალკე თავი აქვს დათმობილი იმას, თუ როგორ იძიებდა საქართველოს პროკურატურა სამი

ლიც დარღვევებით ჩატარდა.

წინასწარი შეთანხმების მიუხედავად, შემინებული მშობლები პროკურატურის შენობის ნაცვლად, პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს. იქ, სადაც მშობლების აზრით, მათ შვილებს ცემდნენ.

მშობლების დაკითხვის დეტალები მოხსენებაში ასეა აღწერილი: „თავდაპირველად პროკურორი ექსპერტების შენობაში ყოფნის წინააღმდეგი იყო. ეს გაუგებრობა მოგვარდა, რადგან საეჭვოა, მშობლებს ჩვენება ექსპერტების მონაწილეობის გარეშე მიეცათ. ერთ მომენტში აღან ხაშიროვის დედა შენობაში მარტო აღმოჩნდა 8 მამაკაცთან ერთად. ზოგ პოლიციელს იარაღი აშკარად დემონსტრაციულად ედო გამოსაჩენ ადგილას მაშინ, როცა დაკარგულის დედა შვილის გაუჩინარების გარემოებებზე და შესაძლო დამნაშავეებზე საუბრობდა.“

ექსპერტები ასევე დანვრილებით აღწერენ, თუ როგორ აფარებდნენ ხელს გამოძიებლები პოლიციელებს.

მათ, ასევე, დაინახეს ეჭვმიტანილი პოლიციელი, რომელიც დერეფანში ოფიციალური საქმიდან ამოღებულ მის წინააღმდეგ მიცემულ ჩვენებებს კითხულობდა.

ექსპერტებმა შსს-ს ეჭვმიტანილთა ტელეფონების მოსმენა შესთავაზეს, რათა გაერკვიათ, რაზე ან ვისთან საუბრობდნენ ისინი დაკითხვამდე. ეს რეკომენდაცია მხოლოდ პოლიციელების დაკითხვის შემდეგ შესრულდა.

მოხსენების დასკვნით ნაწილში წერია, რომ საჭიროა საქმის ხელახალი გამოძიება, რომელშიც ისეთი ექსპერტები ჩართებიან, რომელთაც რეგიონთან არანაირი კავშირი არ აქვთ. გამოძიების მსვლელობა პირდაპირ თბილისიდან უნდა გაკონტროლდეს.

თუმცა, ჰამარბერგის ამ რეკომენდაციის გათვალისწინება ნაკლებად მოსალოდნელია. გასულ კვირას შოთა უტიაშვილმა განაცხადა, რომ გამოძიების ფორმატის შეცვლა არ იგეგმება და ახალი ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში გამოძიება კვლევ გაგრძელდება.

ერთ-ერთმა ქართველმა ჩინოვნიკმა კი კერძო საუბრებში აღნიშნა: „ეს ბიჭები მოროდორები იყვნენ. ჩვენ მათი მკვლელობის უფლება გვქონდა“.

ჰამარბერგის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ადამიანების დაკარგვაში ქართული მხარე მონაწილეობდა და რომ გამოძიება ხელს აფარებს პოლიციურ სტრუქტურებთან დაკავშირებულ დამნაშავეებს.

ბიჭები სწორედ ქართველმა პოლიციელებმა დააპატიმრეს.

ჰამარბერგის ექსპერტებს მტკიცებულებად საერთაშორისო დამკვირვებლების ჩანაწერები მოჰყავთ.

მაგალითად, სექტემბერში საგუშაგოსთან მყოფმა ქართველმა პოლიციელებმა ეუთოს დამკვირვებლებს უთხრეს, რომ ერთი დღით ადრე მათ ტერიტორიაზე სამი ოსი მამაკაცი დააპატიმრეს და გორის მმართველებით წაიყვანეს.

დამკავებელი პოლიციელების ვინაობა დადგენილია. ჰამარბერგის ექსპერტებმა გვარები ქართულ მხარეს უკვე გადასცეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსს შოთა უტიაშვილს, უკვე წელიწადზე მეტია, ამ სამი დაკარგული ადამიანის საქმის დეტალებზე მუშაობა უნევს.

ის ყენევის დისკუსიების ერთ-ერთი მონაწილეა და დაკავებულებისა და დაკარგულების საკითხებთან დაკავშირებულ

ახალგაზრდა ოსის დაკარგვის საქმეს.

კომისარი პირდაპირ ამბობს, რომ ქართულ მხარეს დამნაშავეების გამოსავლენად საჭირო და დროული მცდელობა არ გამოუჩენია.

ჰამარბერგის ექსპერტებმა ქართულ მხარეს მთელი რიგი რეკომენდაციები წარუდგინეს, რომელთა გათვალისწინება საქმეს ადგილიდან დაძრავდა.

ერთ-ერთი ყველაზე მარტივი რეკომენდაცია ის იყო, რომ შსს ყველა რეგიონულ განყოფილებაში დაკარგულების ფოტოები გამოეკრათ. ფოტოები ზოგიერთ ადგილას მართლაც გაჩნდა, თუმცა კარების იმ მხარეს, რომელიც მუდამ კედლისკენაა მიმართული.

ექსპერტებმა გორში დაკარგული ახალგაზრდების მშობლებიც ჩამოიყვანეს საქართველოს პროკურატურისთვის ოფიციალური ჩვენების მისაცემად.

თუმცა, როგორც მოხსენებაშია ნათქვამი, გამოძიების ეს მნიშვნელოვანი დეტა-

საჯაროებთან ხსჯუბნიანი "საჯაროიანი ხსჯუბნიანი"



საკონსტიტუციო რეფორმა არა მმართველობის სისტემის შეცვლის პრინციპული პოლიტიკური ნებით, არამედ ცალკეული პოლიტიკოსების სუბიექტური ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

ირაკლი კობახიძე, სამართლის დოქტორი



საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციის პროექტი მეორე მოსმენით მიიღო, 1 ოქტომბერი 2010

ფოტო: ლეანა სარაჯიანი

24 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა უკვე მეორე მოსმენით მიიღო კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომლითაც არსებითად იცვლება სახელმწიფო მმართველობის მოქმედი მოდელი. პარლამენტში გამართული საკომიტეტო განხილვის დროს საპარლამენტო უმრავლესობამ გამოთქვა მზადყოფნა, ექსპერტებისა და ოპოზიციის შენიშვნების შესაბამისად გადაესინჯა კანონპროექტის რამდენიმე ნორმა. თუმცა, ამ

დებულებების ცვლილება ვერ უზრუნველყოფს იმ ძირითადი პრობლემების აღმოფხვრას, რომელთა შესახებ მკაფიოდ მიანიშნებდნენ როგორც ვენეციის კომისიის ექსპერტები, ისე – ქართველი კონსტიტუციონალისტები.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებული კანონპროექტის ძირითად პრობლემურ ასპექტად უნდა განვიხილოთ უფლებამოსილება-თა არაპროპორციული გადანაწილება

■ საკონსტიტუციო ცვლილებებით მკვიდრდება მმართველობის სისტემა სუსტი პარლამენტით, სუსტი პრეზიდენტით და ძლიერი პრემიერ-მინისტრით.

სახელმწიფო ხელისუფლების ძირითად სუბიექტებს – პარლამენტს, პრეზიდენტსა და მთავრობას შორის. საკონსტიტუციო ცვლილებებით მკვიდრდება მმართველობის სისტემა სუსტი პარლამენტით, სუსტი პრეზიდენტით და ძლიერი პრემიერ-მინისტრით.

ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო ცვლილებებით შემოთავაზებული მოდელი ძალზე წააგავს საქართველოში დღეს მოქმედ ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემას, სადაც სუსტ პარლამენტსა და სუსტ მთავრობას არ შესწევთ უნარი, ეფექტიანად დააბალანსონ პრეზიდენტის ხელში კონცენტრირებული ძალაუფლება. ახალი მოდელი მოქმედისგან არსებითად მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ძალაუფლების ცენტრი პრეზიდენტიდან პრემიერ-მინისტრისკენ იწვევება.

კანონპროექტის ავტორები ცვლილებებში მოაზრებულ მმართველობის სისტემას ხშირად მოიხსენიებენ შერეულ

თად ახორციელებს საპარლამენტო რესპუბლიკის მეთაურისთვის დამახასიათებელ სიმბოლურ კომპეტენციებს. იგი არ მოიაზრება აღმასრულებელი ხელისუფლების სუბიექტად და მხოლოდ ფორმალურად მონაწილეობს მთავრობის დაკომპლექტების პროცესში. ძალზე შეზღუდულია პრეზიდენტის უფლებამოსილებები საგარეო ურთიერთობებისა და თავდაცვის სფეროებშიც. აქედან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ცვლილებებში მოაზრებული პრეზიდენტის ინსტიტუტი არ არის მონოდებული, დააბალანსოს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის – პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური ძალაუფლება.

კონსტიტუციური კანონპროექტი უზრუნველყოფს აღმასრულებელი კომპეტენციების კონცენტრაციას სწორედ პრემიერ-მინისტრის ხელში. პრემიერ-

14 დღის განმავლობაში, ერთი მოსმენით. კანონპროექტის განხილვა შეზღუდულ ვადაში და ერთსაფეხურიანი პროცედურით პარლამენტს არ აძლევს მასზე მსჯელობის სათანადო შესაძლებლობას, რაც პარლამენტის საკანონმდებლო კომპეტენციების გაუმართლებელ შეზღუდვად უნდა განვიხილოთ. გარდა ამისა, კანონ-პროექტის არმიღების შემთხვევაში, პარლამენტი დგება დათხოვნის სერიოზული რისკის წინაშე. შესაბამისად, პროექტის მოცემული ნორმა პრემიერ-მინისტრს ანიჭებს პარლამენტის „დაშანტაჟების“ შესაძლებლობას. ამგვარი პროცედურის გამოყენებით, პრემიერ-მინისტრი უხეშად იჭრება პარლამენტის საკანონმდებლო უფლებამოსილებათა სფეროში, რაც ეწინააღმდეგება ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციურ პრინციპს.

მოცემული პროცედურის გაანალიზებისას, ხაზი უნდა გაესვას იმ გარე-

■ პარლამენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის ბალანსის პრემიერ-მინისტრის სასარგებლოდ დარღვევისას, საპარლამენტო რესპუბლიკა წარმოგვიდგება „საპრემიერო რესპუბლიკად“.

მოდელად. თუმცა, კონსტიტუციური სამართლის დოგმატიკა გვაიძულებს, არ დავეთანხმოთ ამ შეფასებას და სახელმწიფო მოწყობის ახალი მოდელი განვიხილოთ არა შერეულ, არამედ საპარლამენტო, უფრო ზუსტად – კვაზი-საპარლამენტო რესპუბლიკად.

შერეული, ნახევრადსაპრეზიდენტო მმართველობისთვის დამახასიათებელია აღმასრულებელი ხელისუფლების დუალიზმი, რაც გულისხმობს აღმასრულებელი კომპეტენციების გადანაწილებას პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის. ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი გვევლინება აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთ ლიდერად და იგი ასრულებს აქტიურ როლს მთავრობის დაკომპლექტების პროცესში.

აღნიშნულის საპირისპიროდ, საკონსტიტუციო ცვლილებები ითვალისწინებს სუსტი პრეზიდენტის ინსტიტუტის დამკვიდრებას. პრეზიდენტი არსებით-

მინისტრი არის აღმასრულებელი ხელისუფლების ექსკლუზიური მეთაური და ქვეყნის პოლიტიკური ლიდერი. პრემიერ-მინისტრის პოზიციების განსაკუთრებულ გაძლიერებას განაპირობებს პარლამენტის არაადეკვატურად შესუსტებული პოლიტიკური პოზიციები. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ პარლამენტისა და პრემიერ-მინისტრის ურთიერთობის ორ უმნიშვნელოვანეს ასპექტს – კანონპროექტთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებისა და პარლამენტის მიერ მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურებს:

კონსტიტუციური კანონპროექტის თანახმად, პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მთავრობის მიერ ინიცირებულ კანონპროექტთან დაკავშირებით დასვას მთავრობის ნდობის საკითხი. ამასთან, პარლამენტი ვალდებულია, კანონპროექტს კენჭი უყაროს საკითხის დასმიდან

მოებას, რომ წარმოდგენილი სახით, მას დემოკრატიული სახელმწიფოების კონსტიტუციებში ანალოგი არ მოეძებნება. იმ ქვეყნებში, სადაც მთავრობა უფლებამოსილია, კანონპროექტს უშუალოდ დაუკავშიროს ნდობის საკითხი, კანონის არმიღების ერთადერთ შედეგს, როგორც წესი, მთავრობის გადადგომა წარმოადგენს. ამგვარი გადაწყვეტა პარლამენტის კანონშემოქმედებითი უფლებამოსილების და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დაცვის აუცილებლობით არის ნაკარნახევი.

კონსტიტუციური კანონის პროექტი ადგენს მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების რთულ ფორმულას – უნდობლობის ვოტუმთან დაკავშირებული პროცედურების ვადები უპრეცედენტოდ არის „განელებილი“. პროექტის მიხედვით, უნდობლობის გამოცხადება საჭიროებს არანაკლებ 60 დღეს, რაც, ერთი მხრივ, პარლამენტს უკი-

დურესად ურთულეს ამ ინიციატივის წარმატებით განხორციელების პერსპექტივას, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის უმწვავესი პოლიტიკური კრიზისის წარმოქმნის რეალურ საფრთხეს; კონსტიტუციური კანონ-პროექტი ითვალისწინებს პრეზიდენტის მიერ უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის მიმართ „ვეტოს“ უფლების გამოყენებას, რასაც დასავლეთის ქვეყნების საკონსტიტუციო პრაქტიკაში ანალოგი არ მოეძებნება; უპრეცედენტოა პროექტის ის ნორმაც, რომლის თანახმადაც, ვეტოს გადალახვა და მთავრობის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადება სიითი შემადგენლობის 3/5-ის მხარდაჭერას საჭიროებს.

მთავრობისთვის ნდობის ან უნდობლობის გამოცხადება არის გადანყვეტილება, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მიიღება და გამოხატულებას ყოველთვის ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ჰპოვებს. შესაბამისად, პროექტით შემოთავაზებული გადანყვეტა უშუალოდ ეწინააღმდეგება კონსტიტუციური სამართლის პრინციპებს და ლოგიკას.

ნდობისა და უნდობლობის პროცედურების გაანალიზების საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ორგანო მოკლებულია უნარს, ეფექტიანად განახორციელოს მისთვის განკუთვნილი ორი უმთავრესი ფუნქცია – შეიმუშავოს ქვეყნის კანონმდებლობა და განახორციელოს კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე. აღსანიშნავია, რომ დემოკრატიულ სამყაროში საპარლამენტო მოდელი ესოდენ სუსტი პარლამენტით უპრეცედენტო მოვლენაა.

საპარლამენტო რესპუბლიკის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს პარლამენტის შესაძლებლობა, მართივი პროცედურის საფუძველზე გამოუცხადოს უნდობლობა მთავრობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოიშობა მკვეთრი დისბალანსი პარლამენტსა და მთავრობას შორის, რაც არღვევს ხელი-სუფლების დანაწილების ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს.

პარლამენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის ბალანსის პრემიერ-მინისტრის სასარგებლოდ დარღვევისას, საპარლამენტო რესპუბლიკა წარმოგვიდგება „საპრემიერო რესპუბლიკად“, სადაც სახელმწიფო ძალაუფლება არაადეკვატური ფორმითა და მოცულობით არის კონცენტრირებული აღმასრულებელი ხელისუფლების ლიდერის – პრემიერ-მინისტრის ხელში. ასეთ პირობებში, შესაბამისი სურვილის შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრს ადვილად შეუძლია, ამგვარი „საპრემიერო რესპუბლიკის“ საფუძველზე დაამკვიდროს „სუპერსა-პრემიერო“ მმართველობა.

უნდობლობის ვოტუმის პროცედურის გართულების გასამართლებლად, კანონ-პროექტის ავტორები ხშირად მიუთითებენ, რომ საქართველოში დღემდე ვერ ჩამოყალიბდა სტაბილური პარტიული სისტემა, რომლის არარსებობის პირობებში პარლამენტის მეტისმეტმა გაძლიერებამ ქვეყანა რთულ და ხანგრძლივ პოლიტიკურ კრიზისამდე შეიძლება, მიიყვანოს. ეს არგუმენტი, თავისთავად, არ არის ლოგიკურ საფუძველს მოკლებული. იმ პირობებში, როდესაც როგორც ცალკეული პარტიების განვითარების დონე, ისე პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი ძალზე დაბალია, მართლაც არსებობს საშიშროება იმისა, რომ არასტაბილურმა პარტიულმა სპექტრმა პოლიტიკური პროცესების საერთო დესტაბილიზაცია განაპირობოს.

თუმცა, გაუგებარია, რატომ შეაჩერეს კანონ-პროექტის ავტორებმა საკუთარი არჩევანი საპარლამენტო მოდელზე, თუ ისინი პარლამენტის გაძლიერებაში დესტაბილიზაციის საფრთხეს ხედავდნენ. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ამ საფრთხის გათვალისწინებიდან გამომდინარე, მათ ქვეყანაში საპრეზიდენტო ან ნახევრადსაპრეზიდენტო მმართველობის განმტკიცებაზე უნდა ეზრუნათ. ყოველივე ეს განამტკიცებს ეჭვს, რომ საკონსტიტუციო რეფორმა არა მმართველობის სისტემის შეცვლის პრინციპული პოლიტიკური ნებით, არამედ ცალკეული პოლიტიკოსების სუბიექტური ინტერესებით იყო ნაკარნახევი. 



გამოიწერეთ ჟურნალი ლიბერალი

გაჭლური ვერსია
12 ნომერი – 3 თვე
22 ლარი

24 ნომერი – 6 თვე
45 ლარი

48 ნომერი – 1 წელი
90 ლარი

PDF ვერსია
12 ნომერი – 3 თვე
13 ლარი

24 ნომერი – 6 თვე
25 ლარი

48 ნომერი – 1 წელი
50 ლარი

ჟურნალის გამოსანერად დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
23 37 31, (899) 48 62 41
ან მოგვანოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია ელ-ფოსტით: info@liberali.ge

ჩაბომ ახ ჰქონდა აზიი "ხონსტიტუციი ჰიოსესში" ჩაიოვას



კონსტიტუციურ-სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით დამოუკიდებლობის 20 წელიწადი ფუჭად გავლიეთ: ქვეყნის მმართველები კვლავ საბჭოთა რესტორნის სახანძრო უსაფრთხოების წესებზე მარტივად ცვლიან კონსტიტუციას და ქვეყნის მოქალაქეები კვლავ საბჭოთა რესტორნის „მებუფეტესავით“ გულგრილად შევცქერით ამ პროცესს.

დავით უსუფაშვილი

ასეთი საქართველო ევროპულ სტანდარტებთან მიმსგავსებული სახელმწიფო რომ არ არის, ეს ჯერ კიდევ არააფერია; ასეთი საქართველო არც აღმოსავლური სტანდარტების სახელმწიფოა; ასეთი საქართველო მხოლოდ ჩრდილოური სტანდარტის მინი-„დერჟავა“ სახელმწიფოა. მას ევროპულისგან საკუთარი მოქალაქეებისადმი გულგრილობა განასხვავებს, აღმოსავლურისგან – სახელმწიფოებრივი სტრატეგიის უქონლობა, ჩრდილოურთან კი ქვეყნისა და ერის ხარჯზე კვლავწარმოებადი თვითმპყრობელი ხელისუფლება აერთიანებს.

ისევე, როგორც 2004 წელს, დღესაც მმართველი გუნდი დაკავებულია ქვეყნისა და ერის ხარჯზე საკუთარი კვლავწარმოებისათვის „პოლიტიკური“ მოედნის მოპირკეთებით. ამას კი ჩვენში კონსტიტუციურ პროცესს ეძახიან, ამაზე ბრტყელ-ბრტყელი ტერმინებით საუბრობენ („ხელისუფლების ბოჭვის ევროპული მოდელი!!!“) და ამგვარი კონსტიტუციონალიზმის

განვითარება-პოპულარიზაციისთვის ბათუმში სპეციალურ ცენტრებს ხსნიან (ისევე ხალხის ხარჯზე, რასაკვირველია).

ისე, სიმართლე უნდა ითქვას – ნაც-მოდრობის „ელიტის“ ხელისუფლებაში დარჩენის შემოთავაზებული სქემა (საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტად წოდებული) საკმაოდ მახვილგონივრული და რაციონალურია. ეს სქემა ეფუძნება შემდეგ ძირითად პოსტულატებს:

1. ნაც-მოდრობის ხელისუფლება მო-

მავალში ვეღარ დაეფუძნება გამოკვეთილ ერთმმართველ ლიდერს და ასეთი ლიდერისთვის 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით შექმნილ საპრეზიდენტო „ტახტს“, ვინაიდან:



▶ სააკაშვილი პრეზიდენტად ვეღარ იყრის კენჭს;

▶ მისი სრულფასოვანი მემკვიდრის (კონსტიტუციური სტატუსითაც და პირადი მონაცემებითაც) ძიების პროცესიც კი აფეთქებას უქადის მმართველ გუნდს;

▶ რომელიმე პოტენციურმა მემკვიდრემ შიგნით (ნაც-მოდრობაში) რომც დაალაგოს სიტუაცია, საპრეზიდენტო არჩევნებში მას ვერანაირად ვერ ექნება გამარჯვების გარანტია;

▶ ძლიერი საპრეზიდენტო მოდელის პირობებში ნაცმოდრობის ახალი „ყოჩის“ დამარცხებას (რაც სავსებით რეალისტურია, მრავალი ფაქტორის გამო) გარდაუვლად მოყვება სახელისუფლებო სისტემის მყისიერი დემონტაჟი, „ნაც-ელიტისთვის“ კატასტროფული შედეგებით.

2. სააკაშვილის პრეზიდენტობის დასრულებისას „ნაც-ელიტის“ მიერ ხელისუფლების შესანარჩუნებლად საჭიროა ძალაუფლების ცენტრების დივერსიფიკაცია, რაც მთელ სახელისუფლებო სისტემას უფრო მოქნილს და პოლიტიკური კრიზისებისადმი (ცხადია, „ნაც-ელიტის“ და არა ქვეყნის კრიზისებისადმი) უფრო მედეგს გახდის, კერძოდ:

▶ პრეზიდენტის უფლებამოსილება უნდა შემცირდეს, ოღონდ ისე, რომ მან დაკარგოს ძველი გარეგნული მომზიბვლელობა (და პირადად სააკაშვილისთვის მოგონილი გასართობი „ზიზილ-პიპილოები“), მაგრამ შეინარჩუნოს საკმარისი ძალაუფლება იმ შემთხვევისთვის, თუ პარლამენტი ან პრემიერი გავიდა „ნაც-ელიტის“ კონტროლის ფარგლებიდან;

▶ პრეზიდენტისა და პარლამენტის ძალაუფლების შემცირების ხარჯზე უნდა გაძლიერდეს პრემიერ-მინისტრი იმდენად, რომ მან და პარლამენტმა ან მან და პრეზიდენტმა წარმატებით გაანეიტრალონ „ნაც-ელიტის“ კონტროლიდან გასული, შესაბამისად, პრეზიდენტი ან პარლამენტი. ოღონდ პრემიერი ისე არ უნდა გაძლიერდეს, რომ თავად შეძლოს „ნაც-ელიტური“ პრეზიდენტისა

და პარლამენტის კონტროლიდან გასვლა.

▶ პარლამენტს უნდა დაეკისროს მეტად მნიშვნელოვანი და მრავალფუნქციური (ვითარებიდან გამომდინარე) როლი: მან ჯერ, რაც შეიძლება, უმტკივნეულოდ, უნდა შვას „ნაცელიტური“ პრემიერი (ამისთვის „ნაცმოძრაობას“ პარლამენტში ფარდობითი უმრავლესობაც ჰყოფნის); მერე, რაც შეიძლება – მეტად, მიიძინოს (წევრთა მინიმუმ 60% სამკედრო-სასიცოცხლოდ თუ არ აუშხედრდა პრემიერს, ისე მათ მიერ ხმის ამოღებას პარლამენტის დათხოვნა მოჰყვება) და ნაკლებად მოუშალოს წევრები „ნაცელიტურად“ მოქმედ პრემიერს (თორემ ნებისმიერ კანონპროექტს შეიძლება, გადააყოლონ და დაითხოვონ); და ბოლოს, პრეზიდენტთან ერთად გაუმკლავდეს კონტროლიდან გასულ პრემიერს (პრეზიდენტს როცა უნდა, პარლამენტის წევრთა 50%-ის უკმაყოფილებაც საკმარისია პრემიერის მოსაშორებლად).

3. შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებების პარლამენტის მიერ მიღება უნდა მოხდეს, რაც შეიძლება, სწრაფად, სანამ:

▶ ქვეყნის პოლიტიკური ძალები ადგილობრივი არჩევნების შემდეგ ჯერ კიდევ გადაჯგუფება-გადმოჯგუფებაში არიან და არ ძალუძთ, ასე თუ ისე, ერთიანი ფრონტით შეინააღმდეგება;

▶ დასავლეთი ჯერ კიდევ ოდნავ უკეთ ჩატარებული ადგილობრივი არჩევნების მიქსტურითაა მიძინებული;

▶ ჯერ კიდევ აგვისტო-სექტემბერია (სახელისუფლებო ავანტიურებისთვის საუკეთესო დრო);

▶ ეკონომიკური და სოციალური კრიზისის პიკი ჯერ კიდევ წინაა;

▶ ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნა გამოქვეყნდება;

4. ეს „დივერსიფიკაცია და დაბალანსება“ უნდა მოემსახუროს ნაც.მოძრაობის პოლიტიკურ დღის წესრიგს და გრაფიკს, რისთვისაც, საკონსტიტუციო ცვლილებები ძალაში უნდა შევიდეს ისე, რომ:

▶ მორიგი საპარლამენტო არჩევნები (2012) ჩატარდეს კონსტიტუციის ძველი

რედაქციით და, შესაბამისად, ამ არჩევნებს არ მოჰყვეს ახალი მთავრობის ახლებურად შექმნა (რა საჭიროა სიჩქარე, ამ დროს ხომ სააკაშვილი ჯერ კიდევ პრეზიდენტი და მთავრობაც „სწორი“ გვყავს).

▶ მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები (ოქტომბერი, 2013) ჩატარდეს კონსტიტუციის ძველი რედაქციით, ოღონდ ისე, რომ ცვლილებებიც მალევე შევიდეს ძალაში (1 დეკემბერი, 2013). ეს იმისთვის, რომ ჯერ საპარლამენტო და შემდგომ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე და სააკაშვილის შესაძლო შრომითი მოწყობის საკითხის „სწორად“ გადასაწყვეტად „ნაც-ელიტას“ ჰქონდეს მანევრირების საშუალება: ან პარლამენტის მინიმალური მონაწილე-

■ სააკაშვილის პრეზიდენტობის დასრულებისას „ნაც-ელიტის“ მიერ ხელისუფლების შესანარჩუნებლად საჭიროა ძალაუფლების ცენტრების დივერსიფიკაცია, რაც მთელ სახელისუფლებო სისტემას უფრო მოქნილს გახდის.

ობით ახალი პრეზიდენტის მეშვეობით დანიშნოს ახალი პრემიერი, ან ახალი პრეზიდენტი გათიშოს ამ პროცესიდან და მოქმედ პარლამენტს დაანიშნოს ახალი პრემიერი.

5. ამ დინამიური პროცესის შედეგად „ნაც-ელიტამ“ უნდა უზრუნველყოს მინიმუმ 2016 წლამდე ხელისუფლებაში ყოფნა სააკაშვილიანად ან უიმისოდ. ამისათვის მას უნდა ეყოს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში სხვებზე მეტი მანდატების მიღება (თუნდაც, საერთო რაოდენობის 35-40%) და ერთი 10-15% სატელიტი ოპოზიციური პარტიის დაბევა.

რესპუბლიკელებს ვისთან ერთად და რატომ უნდა მიგველო მონაწილეობა ამ სექტის დახვეწა-გაპიარებაში?

თუმცა არიან ამ ყველაფრით უკიდურესად შენუხებული მოქალაქეები, რომლებიც ხავსს ეჭიდებიან და გვირჩევენ ხოლმე ასეთ პროცესებში მონაწილეობას იმ იმედით, რომ იქნებ ახლა მაინც აეხილოს ვინმეს თვალი. მაგრამ სახელისუფლებო გუნდის შედარებით ნესიერ და განათლებულ წევრებთანაც კი (საყოფაცხოვრებო და პოლიტიკურ კრიმინალებზე რომ აღარაფერი ვთქვა) აღარ აქვს აზრი კონსტიტუციურ თემებზე სერიოზულ საუბარს, ვინაიდან სახელისუფლებო იდეოლოგიების მიერ მათთვის შთაბერილი მორალურ-სახელმწიფოებრივი კრედო დაახლოებით ასე გამოიყურება:

▶ 2003 წელს ხელისუფლებაში ცუდი ხალხის ნაცვლად მოვიდა კარგი ხალხი და დაიწყო სახელმწიფოს მშენებლობა;

▶ ის ცუდი (და კიდევ, შემდგომ გაფუჭებული) ხალხი ცდილობს ხელისუფლების შეცვლას და, მამსაადამე, სახელმწიფოს ისევ დანგრევას, რაც კარგმა ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას, თუნდაც ცუდი მეთოდებით;

▶ ცუდი ხალხის წინააღმდეგ აუცილებელ ამ ცუდ მეთოდებში კონსტიტუციის ჭრა-კერვა არ არის ყველაზე ცუდი და იგი ქუჩებში ხალხის ხერხეცასა და მომიტინგეებისთვის თავ-პირის მტვერევას სჯობს....

ამიტომაც, რესპუბლიკელები ვაღიარებთ, რომ ვართ „ცუდები“ („შემდგომ გაფუჭებულების“ სექციიდან) და სააკაშვილის გუნდთან სერიოზულ, გლობალურ, გრძელვადიან, სტრატეგიულ საკითხებზე საუბარს – ანუ სახელმწიფოს მშენებლობაში მონაწილეობას – ვედარ ვახერხებთ. ჩვენ მათთან საუბარი მიზანშეწონილად მიგვაჩნია მხოლოდ კონკრეტულ ტაქტიკურ საკითხებზე: საარჩევნო კანონმდებლობაზე, ამომრჩეველთა სიებზე, სატელევიზიო სივრცეში ეთერის მოპოვებაზე, პოლიტ.დევნილების გამოსხნაზე და ხელისუფლების შეცვლისათვის – ანუ „სახელმწიფოს დანგრევისათვის“ – აუცილებელ სხვა ბერკეტებზე. ■

ფარული ბარიზაჟა ხალისუფლიაჟი

"ქაჩთანი წყლის" ოფშოხანი საიღამო

2007 წლის 25 ნოემბერს, პოსტიდან გადადგომამდე ერთი დღით ადრე, საქართველოს პრეზიდენტმა „თბილისის წყალი,“ რომელიც დედაქალაქის მოსახლეობას სასმელი წყლით ამარაგებს, ოფშორულ კომპანიას მიჰყიდა. უამრავი შეღავათის მიუხედავად, დღეს ეს კომპანია მრიცხველების შეძენასა და მათ მონტაჟს თბილისელების ხარჯზე აპირებს.

მარი როჭიკაშვილი, „სტუდია მონიტორი“



მაშინ, როდესაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა „თბილისის წყალს“ 25 მილიონი ევრო გამოუყო, ეს კომპანია ჯერ კიდევ დედაქალაქის მერიის საკუთრება იყო. მისი გაყიდვა კანონით იკრძალებოდა, რადგან წყლის სისტემები სტრატეგიულ ობიექტებს წარმოადგენდა.

კრედიტის დამტკიცების პარალელურად პარლამენტმა კანონში ცვლილებები შეიტანა და წყლის სისტემები სტრატეგიული ობიექტების ნუსხიდან ამოიღო. ამის შემდეგ, ზუსტად 2 კვირაში მთავრობამ „თბილისის წყლის“ გასხვისების შესახებ გამოაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი უკვე დამტკიცებული იყო „EBRD“-მ უარი თქვა სესხის გაცემაზე. ისე გამოდიოდა, რომ „თბილისის წყლის“ გასხვის-

ების შემთხვევაში „EBRD“-ის ფული უცნობი კერძო კომპანიისთვის უნდა გადაეცა, არადა „EBRD“-ის მოთხოვნა იყო, რომ მის წინაშე ანგარიშვალდებული საქართველოს სახელმწიფო ყოფილიყო. პროექტი ჩაიშალა.

2007 წლის 25 ივლისს სახელმწიფომ „თბილისის წყალი“, „ჟინვალჰესი“, „მცხეთანყალკანალი“ და „საქწყალკანალი“ ერთდროულად გამოიტანა აუქციონზე. გამარჯვებული კომპანიის გამოსავლენად 3 ძირითადი კრიტერიუმი დასახელდა: შესაძენი ფასი, საწარმოს განვითარების გეგმა და ინვესტიციების მოცულობა.

მიუხედავად იმისა, რომ ტენდერში მსოფლიოს უმსხვილესი წყლის კომპანიები მონაწილეობდნენ, გამარჯვებულად ნაკლებად ცნობილი შვეიცა-

რიული „მალტიპლექს სოლუშენსი“ დასახელდა. კომპანია ვალდებულებას იღებდა, ობიექტებში 85 662 000 მილიონი დოლარი გადაეხადა, 350 მილიონი დოლარის ინვესტიციები განეხორციელებინა და წყლის ტარიფი 2013 წლამდე 2,95 ლარზე მეტად არ გაეზარდა.

კომისიამ მხოლოდ შესასყიდი თანხა და ტარიფები გამოაქვეყნა, ინვესტიციების მოცულობები კი გაასაიდუმლოვა. სატენდერო კომისიის წევრებმა „მალტიპლექს სოლუშენსი“ მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ეს კომპანია შვეიცარიული იყო.

„მალტიპლექს სოლუშენსი“ ჟენევის სავაჭრო რეესტრში 2005 წლის 23 აგვისტოს არის რეგისტრირებული. კომპანიის ერთადერთი დამფუძნებელი ვინმე ბიტ სპოუერია. მისი სახელი და გვარი კიდევ 87 კომპანიის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში ფიგურირებდა. კომპანიამ საქართველოში წარმომადგენლობა 2005 წლის ბოლოს გახსნა, თუმცა ტენდერამდე მისი საქმიანობის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გავრცელებულა.

გამარჯვებულ კომპანიას საპრივატიზაციო საწარმოები პირდაპირი მიყიდვის წესით უნდა გადასცემოდა. თუმცა, საკუთარ გადადგომამდე ერთი დღით ადრე, 2007 წლის 23 და 24 ნოემბერს მიხეილ სააკაშვილმა განკარგულებები გამოსცა და საპრივატიზაციო ობიექტები გამარჯვებული შვეიცარიული „მალტიპლექს სოლუშენსი“ ნაცვლად, ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ გადასცა. ამ ცვლილებების

შესახებ მთავრობას არანაირი განმარტება არ გაუკეთებია. ეს გადაწყვეტილება არ გაუპროტესტებია გამარჯვებულ შვეიცარიულ კომპანიას.

„მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ არ გააჩნია საქართველოში წარმომადგენლობა, არ აქვს ვებ-გვერდი და ამ კომპანიის თაობაზე ინტერნეტში არცერთი გვერდი არ იძებნება.

კიდევ ერთი შეუსაბამობა, რაც განკარგულებაში აღმოჩნდა, იყო ის, რომ გასაყიდ ობიექტთა ჩამონათვალში „რუსთავენყალკანალიც“ გაჩნდა, რომელიც მანამდე ამ სიაში არ ფიგურირებდა. განკარგულების თანახმად, „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედმა“ „რუსთავენყალკანალი“ 15 მილიონ დოლარად, „საქწყალკანალი“ და „მცხეთაწყალკანალი“ – 662 000 დოლარად, „თბილისის წყალი“ კი 85 მილიონ დოლარად შეისყიდა. ვირჯინიის კუნძულებზე დაფუძნებულ კომპანიას ასევე 50 მილიონი დოლარის საბანკო გარანტიის წარდგენა დაევადა.

პრეზიდენტის განკარგულების გამოცემის შემდეგ, მყიდველთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების პროცედურა უნდა დაწყებულიყო, თუმცა პროცესი გაურკვეველი მიზეზებით წიანურდებოდა.

4 თვის შემდეგ, 2008 წლის 10 აპრილს, პრეზიდენტის ახალი განკარგულება გამოვიდა და 23 და 24 ნოემბრის განკარგულებები ძალადაკარგულად ჩაითვალა. სააკაშვილმა ოფშორში რეგისტრირებულ კომპანიას ახალი შეღავათიანი პირობები დაუწესა - საბანკო გარანტია 50 მილიონი

დოლარის ნაცვლად 10 მილიონამდე შემცირდა.

ხელშეკრულების გაფორმების დღეს, სააკაშვილმა კიდევ ერთი განკარგულება გამოცა და ინვესტორს მორიგი შეღავათები დაუწესა – შემუშავდა ობიექტების შესაძენი ფასი. პირველადი განკარგულებით, თბილისის წყალი 85 მილიონ დოლარად უნდა გაყიდულიყო, განკარგულებაში შესული ცვლილებებით კი მყიდველს ობიექტი 70,4 მილიონ დოლარად გადაეცა. „რუსთავენყალკანალის“ გასაყიდმა ფასმა 15-იდან 10 მილიონ დოლარამდე დაიწია. დარჩენილი თანხით, საგადასახადო დავალიანების დაფარვა დაევადა. ასეთივე სქემა შეიქმნა „მცხეთაწყალკანალისთვისაც.“

2008 წლის 14 მაისს მამინდელმა ეკონომიკის მინისტრმა ეკატერინე შარაშიძემ და ვიცე-მერმა მამუკა ახვლედიანმა „ოფშორში“ რეგისტრირებულ „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედთან“ ხელშეკრულება გააფორმეს. „თბილისის წყლის“ დირექტორად რუსეთის მოქალაქე იური ლესი დაინიშნა. იური ლესი მანამდე მოლდოვის „გრესის“ გენერალური დირექტორი იყო. „გრესის“ 100 პროცენტის ნილი „ინტერ-რაო-ეს“-ის საკუთრებაა. თავად „ინტერ-რაო-ესი“ კი 1997 წელს „რაო-ეს რა-სიამ“ დააფუძნა. გაჩნდა ეჭვი, რომ „ქართულ წყალში“ რუსული კაპიტალი ჩაიდო.

ხელშეკრულების გაფორმების დღიდან არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ“ საქართველოს მთავრობას მიმართა და ინვესტორთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი

მოითხოვა. თუმცა, დოკუმენტი კომერციული საიდუმლოების საბაზით ვერ მიიღო. სახელმწიფო უწყებებთან ერთნაირი უშედეგო მიმონერის შემდეგ, „მწვანე ალტერნატივამ“ სასამართლო დავა წამოიწყო და დოკუმენტის გასაჯაროება მოითხოვა.

ათი თვის განმავლობაში სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა შვიდჯერ გადაიდო. მიზეზი - დავის მესამე მხარის „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედის“ პროცესში ჩართვა ვერ მოხერხდა. როგორც აღმოჩნდა, ეკონომიკის სამინისტრო არც კომპანიის და არც მისი რომელიმე წარმომადგენლის ადგილმდებარეობაზე ინფორმაციას არ ფლობდა. ერთადერთი საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც სამინისტროს გააჩნდა – ეს იყო ის მისამართი, რომელზეც კომპანია საწარმოების შესყიდვის პროცესში მცირე ხნით ფუნქციონირებდა.

სასამართლო დასრულებული არ იყო, როცა ხელშეკრულება მოულოდნელად საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე დაიდო.

ხელშეკრულება ვებ-გვერდზე არასრულადაა წარმოდგენილი. ხელშეკრულების დანართები და ხელშეკრულებაში 2009 წლის დეკემბერში შესული ცვლილებების შესახებ შეთანხმება კვლავ საიდუმლოდ რჩება. ამის გამო, არასამთავრობო ორგანიზაციამ სასამართლო დავა გააგრძელა ხელშეკრულების დანართებისა და ცვლილებების შესახებ შეთანხმების საჯაროობის მოთხოვნით. მიმდინარე წლის 9 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ

სხილი 1. იმ ჯომჯინათს ჩამონათვალი, რომლებსაც სუხათ "თბილისის წყლის" შიქნა

ჯომჯინათი	შსაქენი ჟსაი	2008	2009	2010	2011	2012	2013
მალტიპლექსი - შვეიცარია	85 662 000	2.40	2.40	2.95	2.95	2.95	2.95
ბონდი - ჩეხეთი	80 000 000	2.40	3.60	3.60	3.60	4.70	4.70
აქულია36 1 - ესპანეთი	107 635 710	2.40	3.50	5.13	5.13	5.13	5.13
აქულია 2	91 806 928	2.40	3.33	4.60	4.60	4.60	4.60
აქულია 3	61 186 287	2.40	2.40	2.89	3.47	3.47	3.47
კასკალი და საქართველოს ბანკი - ბრიტანეთი	72 532 844	2.40	3.80	3.80	3.80	3.80	3.80
პენტა ინვესტმენტს - ჩეხეთი	91 200 000	2.40	5.02	10.08	10.08	11.11	11.66
ვეოლია - საფრანგეთი	75 562 080	2.70	3.00	3.20	3.42	3.78	3.79

ჟურნალისტური გამოძიება

სხილი 2. ტახიფი ანთ სჯ მოსახლეობა
კვირის სხვადასხვა ქანაჯში

ქანაჯი	1 სჯი მოსახლეობა ცხი/ცა-ლაქაში
ვილიუსი	80
ბრიუსელი	108
მადრიდი	126
ლონდონი	136
ბერლინი	146
ჰელსინკი	151
პარიზი	159
ოსლო	175
კოპენჰაგენი	190
სტოკჰოლმი	194
რომი	220
მოსკოვი	400
თბილისი	800

„მწვანე ალტერნატივის“ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

ხელშეკრულებით ირკვევა, რომ კომპანიას შეღავათები არა მარტო ობიექტების შესაძენ ფასებზე დაუნესეს, არამედ შეუმცირეს თანხის საერთო მოცულობაც. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი ვიცე-მერი მამუკა ახვლედიანი აცხადებდა, რომ კომპანია მზად იყო 350 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩაედო, ხელშეკრულებაში ინვესტიციების სახით მხოლოდ 220 მილიონი დოლარია ჩანერილი.

გასული წლის მაისში „თბილისის წყლის“ რებრენდინგი განხორციელდა და კომპანიას „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ ეწოდა. სახელწოდება შეიცვალა მფლობელმაც და „ჯორჯიან გლობალ უტილიტის ლიმიტედი“ გახდა. ამავე პერიოდში დირექტორის პოსტიდან გათავისუფლდა იური ლესი და ხელმძღვანელად გერმანელი იორგ მათისი დაინიშნა. მოგვიანებით მათისს „ჟინვალჰესის“, „მცხეთაწყალკანალიზაცია“ და „რუსთავენწყალკანალის“ ხელმძღვანელის პოსტიც ჩააბარეს.

კომპანიიდან, ისევე როგორც, სამთავრობო უწყებებიდან – ინვესტორის თაობაზე ინფორმაცია ვერ მივიღეთ. გერმანელი ხელმძღვანელი მხოლოდ მაშინ დაგვთანხმდა ინტერვიუზე, როდესაც შევუთანხმდით, რომ მფლობელზე არაფერს ვკითხავდით და

მხოლოდ იმაზე ისაუბრებდა, თუ რა გაკეთდა ბოლო 2 წლის განმავლობაში. „ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაში დაახლოებით 60 მილიონი ლარის ინვესტიცია განვახორციელეთ, ძირითადად, თბილისში. დედაქალაქსა და რუსთავში შევაკეთეთ 1500 კილომეტრის სიგრძის ძირითადი მილსადენები. ინვესტიციები ჩავდეთ ასევე წყლის გადამამუშავებელ, გამფილტრავ საშუალებებსა და ჟინვალის კაშხალში. გვემის, რომ თბილისში ამჟამინდელი მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, რადგან უწყვეტი რეჟიმით წყალს მხოლოდ მოსახლეობის 85%-ი იღებს. „ახლა ვმუშაობთ იმ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რომელიც ჯერ კიდევ გვაქვს“, – ამბობს მათისი.

ჩვენ მოვიპოვეთ თბილისის წყლის 2007 წლის ფინანსური ანგარიში, საიდანაც ჩანს, რომ 2007 წელს დაგეგმილი შემოსავალი 74 მილიონ 483 ათასი ლარი იყო, ხარჯი 53 მილიონ 665 ათასი ლარი. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, დამატებით 20 მილიონი ლარი ინვესტიციების სახით – დარგის ტექნიკურ რეაბილიტაციასა და სრულყოფაზე უნდა დახარჯულიყო. ეს ნიშნავს, რომ კომპანიას მარტო თბილისში, საკუთარი სახსრებით წელიწადში 20 მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელება დამატებითი თანხების მოზიდვის გარეშეც შეეძლო.

თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, 2007 წლიდან, წყლის გადასახადი გაორმაგდა. დღევანდელი ტარიფით, 1 კუბური მეტრი სასმელი წყალი 10 თეთრი ღირს. თუმცა ფიქსირებული გადასახადი ერთ სულ მოსახლეზე თვეში - 2 ლარი და 40 თეთრია, რაც დღე-ღამეში 800 ლიტრი წყლის ხარჯვაზეა გათვლილი, ანუ საკრებულომ გადაწყვიტა, რომ თითოეული ადამიანი 24 საათში 80 სათლ წყალს მოიხმარს. ეს მონაცემი თითქმის 4-ჯერ და მე-

ტჯერ აღემატება ევროპაში თითოეულ სულზე წყლის მოხმარების ნორმას.

დედაქალაქის საკრებულოსა და მმართველ კომპანიაშიც, თბილისში ასეთი მაღალი მაჩვენებლის მიზეზად, საცხოვრებელი სახლების შიდა ქსელების და სველი წერტილების მოუნესრიგებლობას, ასევე წყლის უყაირათოდ ხარჯვას ასახელებენ.

ყოფილი ენერგომბუდსმენი დავით ებრალიძე მიიჩნევს, რომ კომპანიამ წყლის დანაკარგების პრობლემა მრიცხველების დროული დამონტაჟებით უნდა გადაჭრას და მოქალაქეებს ერთიანად, დაუსაბუთებლად მაღალი ფასი არ უნდა გადაახდევინოს.

ამის დასამტკიცებლად, ყოფილმა ომბუდსმენმა ექსპერიმენტი ჩაატარა და სახლში უკვე 6 თვეა მრიცხველი დამონტაჟა. აღმოჩნდა, რომ 6 თვეში მრიცხველმა 150 კუბური მეტრი დაწერა, რაც 10 თეთრზე გაანგარიშებით სულ 15 ლარია. მაშინ, როცა ებრალიძის 4 სულიანი ოჯახი, თვეში 9 ლარს და 60 თეთრის გაანგარიშებით ექვს თვეზე – 57 ლარსა და 60 თეთრს იხდის.

ესპერიმენტმა აჩვენა, რომ ოჯახები, რომელთაც სისტემა მონესრიგებული აქვთ და მათი ონკანებიდან წყალი არ ჟინავს, გაუმართლებლად მაღალ გადასახადს იხდიან. სწორედ ამის გამოა, რომ ვირჯინიული მმართველი კომპანია ფინანსურად არ ზარალდება. შესაბამისად, კომპანია ინდივიდუალური მრიცხველების დამონტაჟებასაც არ ჩქარობს. სემეკის გადაწყვეტილებით, კერძო სახლებში მრიცხველების მონტაჟი 2015 წლამდე უნდა დაასრულოს. სემეკის გადაწყვეტილებითვე, კომპანია გამრიცხველიანებასაც მოსახლეობის ხარჯზე მოახდენს. მრიცხველსა და მის მონტაჟზე დახარჯული თანხა მოსახლეობას ტარიფთან ერთად დაერიცხება. **■**



ჟურნალისტური გამოძიება მომზადებულია სტუდია „მონიტორის“ პროექტის ფარგლებში.
ჟურნალისტური გამოძიება განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

რეგიონული გაუწყებლები

დავან ტელეკომუნიკაციების ბაზარი

გორის ტელეკომუნიკაციების ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ზენოლას უჩივის.

გიორგი ქვიციანი

ტელეკომპანია „თრიალეთს“ გადამცემები გორის რაიონში მდებარე ტელერადიოცენტრის ანძაზე აქვს დამონტაჟებული. ყოველთვიური გადასახადი - 1500 ლარი, რომელშიც მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯები არ შედის, კომპანიისათვის საკმაოდ ძვირია.

„თრიალეთის“ დამფუძნებელი ბადრი ნანეტაშვილი ამბობს, რომ საკუთარი ანძით მაუწყებლობას დამოუკიდებლად და იაფად შეძლებდნენ. 2009 წლის სექტემბერში ჯონი ნანეტაშვილმა, გორის მუნიციპალიტეტის გამგებელს – დავით ხმიადაშვილს, ტელერადიოცენტრის ანძასთან მდებარე ნაკვეთის შესაძენად მიმართა.

აუქციონისთვის პროექტის მომზადება მუნიციპალიტეტის გამგებლის ქონების მართვის ყოფილ უფროსს – გია პაპიტაშვილს დაევალა.

ჯონი ნანეტაშვილი: „2009 წლის ბოლოს გია პაპიტაშვილი დამიკავშირდა. მითხრა, რომ ვილაც პიროვნებას ჩემთან შეხვედრა უნდოდა. შეხვედრაზე „კავკასუს ონლაინის“ სამი წარმომადგენელი მოვიდა. ერთ-ერთმა ტერიტორიის დათმობა შემომთავაზა, ანძას დავდგამ და გადამცემები უფასოდ დააყენებო. ჩვენ დამოუკიდებლად გვინდოდა მაუწყებლობა და უარი ვუთხარი. დამემუქრა, ყველაფერს დაკარგავ და მინას მაინც მე ვიყიდო. ვიკამათეთ და ვუთხარი აუქციონზე შეხვედებით-მეთქი.“

ჯონი ნანეტაშვილის თქმით, დავით ხმიადაშვილს და გია პაპიტაშვილს ყოველ კვირა უკავშირდებოდა, ისინი კი პასუხობდნენ, რომ საბუთები მზადდებოდა და მინას აუქციონზე გასაყიდად მალე გამოიტანდნენ.

გაზაფხულზე დავით ხმიადაშვილმა სატელეფონო საუბრისას „თრიალეთის“ გენერალურ დირექტორს უთხრა, რომ აუქციონი არჩევნების მიზეზით „ზემო-



სადლო მინა, რომელზეც ანძა აშენდა, გორის რაიონის სოფელი ვარციანი, 2010

დან“ შეაჩერებინეს.

ბადრი ნანეტაშვილი: „არჩევნების შემდეგ გუბერნატორის რამდენჯერმე ვკითხე, რა იყო აუქციონის შეფერხების მიზეზი; ვარძელაშვილი მპასუხობდა, ყველაფერს მოვაგვარებო. აგვისტოში შევიტყვეთ, რომ ანძა იმ ტერიტორიაზე დაიდგა, რომლის შესაძენადც მუნიციპალიტეტში განცხადება ერთი წლის წინ შევიტანეთ. ჩემი ძმა დავით ხმიადაშვილს დაუკავშირდა, რომელმაც უთხრა, რომ მინა მან კი არა, თავად გუბერნატორმა გაასხვისა. გამოდის, ტერიტორია ვარძელაშვილმა კორუფციული გარიგებით სურვილისამებრ გასცა.“

„ლიბერალი“ დავით ხმიადაშვილს დაუკავშირდა. გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი უარყოფს ფაქტს, თითქოს ნანეტაშვილებს უთხრა, რომ მინა გორის გუბერნატორმა საკუთარი სურვილისამებრ გაასხვისა. „მინა რომლის შექენაც „თრიალეთს“ სურდა, არ გასხვისებულა.

გამგეობამ 8 დღის დაგვიანებით უპასუხა, რომ ტერიტორია არ გასხვისებულა.

„ლიბერალი“ საჯარო რეესტრში ის ხელშეკრულება გამოითხოვა, რომელიც გორის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და „კავკასუს ონლაინს“ შორის გაფორმდა.

დოკუმენტის მიხედვით, დავით ხმიადაშვილმა, სოფელ ვარიანის სატელიტური ანძის მიმდებარე 500,30 კმ მინის ფართობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე დასარეგისტრირებლად, საჯარო რეესტრის გორის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსს – დავით ონიანი-ვილს, 2009 წლის 1 დეკემბერს მიმართა.

2010 წლის 12 თებერვალს გორის მუნიციპალიტეტის გამგებელ – დავით ხმიადაშვილსა და შპს „კავკასუს ონლაინს“ წარმომადგენელ – კახა მელიქიძის შორის მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა.

ხელშეკრულების მიხედვით „კავკასუს

გვის წესით გაეცა.

სამართლებრივი თვალსაზრისით, აღნიშნული ქონების განკარგავსთან დაკავშირებით გორის მუნიციპალიტეტს ყველა ფორმალური დეტალი დაცული აქვს.

ბადრი ნანეტაშვილის თქმით, მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტს ფული დააკლო, რადგან, აუქციონის ჩატარების შემთხვევაში, მინის გასაყიდი ფასი მოიმატებდა, ხოლო ვარძელაშვილის ჩარევით მინა საიდუმლოდ, კორუფციული გარიგებით გასხვისდა.

„ანძის აშენებამდე გვატყუებდნენ, რომ აუქციონი დაინიშნებოდა. იცოდნენ, ამ ფაქტს გავახმაურებდით და პრობლემები შეექმნებოდათ. მას შემდეგ, რაც გუბერნატორის მოადგილეობის პოსტი დავტოვე, არ სურდათ, რომ ტელეკომპანია „თრიალეთი“ დამოუკიდებელი ყოფილიყო, ამიტომ მინა „კავკასუსს“ მისცეს, ჩვენ შევიზღუდეთ, ისევ სახელმწიფო ანძაზე უნდა ვიყოთ დამოკიდებული და

■ „შიდა ქართლის გუბერნატორმა ვარძელაშვილმა ტელევიზიის საქმიანობაში ჩარევა სცადა. ჟურნალისტმა მოსახლეობის მიტინგი გადაიღო, გუბერნატორმა კი მითხრა, სიუჟეტი არ უნდა გავიდესო.“

„კავკასუს ონლაინს“ იჯარის წესით სულ სხვა მინის ნაკვეთი გადაეცა.“

ბადრი ნანეტაშვილი 2010 წლის მარტამდე შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილედ მუშაობდა. ამ პოსტიდან გადადგომის მთავარ მიზეზად მის კუთვნილ ტელეკომპანია „თრიალეთზე“ ხელი-სუფლების ზენოლას ასახელებს.

„შიდა ქართლის გუბერნატორმა ვარძელაშვილმა ტელევიზიის საქმიანობაში ჩარევა სცადა. ჟურნალისტმა მოსახლეობის მიტინგი გადაიღო, გუბერნატორმა კი მითხრა, სიუჟეტი არ უნდა გავიდესო. ამას „თრიალეთის“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის გადაბირების მცდელობა მოჰყვა.“

2010 წლის 9 აგვისტოს ტელეკომპანია „თრიალეთმა“ გორის მუნიციპალიტეტს განცხადებით მიმართა.

„თრიალეთის“ კითხვებს – ვისზე, როდის, რა წესით და რა ფასად გასხვისდა ტერიტორია, გორის მუნიციპალიტეტის

ონლაინს“ აღნიშნული ფართი – 49-წლიანი იჯარით გადაეცა. იჯარის ღირებულება 1 კვადრატულ მეტრზე – 0,24 ლარს, ანუ წლიურ – 120 ლარს შეადგენს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი – ბექა დოჭვირი ამბობს, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტმა აღნიშნული ტერიტორია თავის სახელზე 2009 წლის დეკემბერში დაირეგისტრირა და 49-წლიანი იჯარით „კავკასუს ონლაინს“ გადასცა.

იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოს უფლება ჰქონდა, მუნიციპალიტეტში შესული განცხადებებიდან მისთვის პრიორიტეტული ამოერჩია და მინა პირდაპირი განკარ-

ხვალ თუ ვიღაც „გავიბრუნებდა“, გადასახადი უნდა მოგვიმატონ.“

2010 წლის 14 სექტემბერს, ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთის“ მფლობელსა და გენერალურ დირექტორს აცნობეს, რომ ტელერადიოცენტრის ანძას მეხი დაეცა და მათი გადამცემები დაინვა. „თრიალეთში“ მოგვიანებით გაარკვიეს, რომ ანძაზე განთავსებული 50-მდე გადამცემიდან, მხოლოდ მათი გადამცემები დაზიანდა, სხვა მედიასამუალებები კი ჩვეულებრივ განაგრძობდნენ მუშაობას. ტელევიზიაში ამ ფაქტს, ნინო ბურნაჯაძის „თრიალეთის“ პირდაპირ ეთერში გამოსვლას უკავშირებენ.

„თრიალეთის“ დამფუძნებელი ბადრი ნანეტაშვილი საკუთარი უფლებების დაცვას სასამართლოში აპირებს. **□**




სტატია მომზადებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოში მედიის – როგორც მაკონტროლებელი ინსტიტუტის – როლის გაძლიერება“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი.

თვალსაზრისი

ყაღი ყაღიბი - ქახნაი ბანათიება

განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებები მოძველებულ ქარხნულ მოდელს ეფუძნება. შედეგი ისეთივე წარუმატებელი შეიძლება იყოს, როგორც მოძველებული საწარმოო მეთოდების თანამედროვეობაში გამოყენებას მოჰყვება.

სიკო ჯანაშია



ილუსტრაცია თათია ნადავუშვილი / ფონის საბუნო

ქარხნის მეტაფორა სასკოლო სისტემაზე საუბრისას ხელოვნურად არ შექმნილა. სასკოლო სისტემის ჩამოყალიბება ისტორიულადაც ინდუსტრიის განვითარებას ემთხვევა. განათლებამ ინდუსტრიული წარმოებისგან არა მხოლოდ მიზნების მნიშვნელოვანი ნაწილი შეითვისა, არამედ – ორგანიზების მეთოდებიც.

სანამ კონკრეტულ მაგალითზე გადავიდოდე, მოკლედ შევეხოთ განათლებაზე წარმოების ქარხნული მოდელის გავლენას.

მოდელი ასეთია: თუ მუშები ზუსტად ასრულებენ დავალებებს, თუ მასალა ხარისხიანია, თუ დაზგები და ჩარხები გამართულად მუშაობს, თუ ყველაფერი წარმოების გეგმითა და მკაცრი მეთვალყურეობით მიმდინარეობს, მაშინ კონვეერი მინიმალური წუნის მქონე პროდუქტს აწარმოებს.

ამავე მოდელში, მუშის სამუშაო ნაკლებად არის დამოკიდებული მეორე მუშის სამუშაოზე, და რადგან პროდუქცია დიდ რაოდენობას ეხება, მნიშვნელოვანი ხდება,

ამ თამაშს ქარხნობანა ჰქვია. მასწავლებელი თავს მოაჩვენებს, თითქოს, უხარია, რომ პასუხისმგებლობები არ აქვს, მოსწავლე თავს მოაჩვენებს, ვითომ რალაცის სწავლა სურს, ხოლო სამინისტრო, საზოგადოებასთან ერთად, ყალიბს შექმნის. ეს ყალბი ყალიბია.

რომ კონვეერმა შეუფერხებლად იმუშაოს. უკვე კონვეერიდან გამოსულ პროდუქტს ჩაუტარდება ინსპექცია და გადაირჩევა წუნი.

ამ მოდელის შემქმნელებს სჯეროდათ, რომ მუშების უნარ-ჩვევები, მასალა, დაზღვა, გეგმა, მეთვალყურეობა – ეს ყველაფერი რაც უფრო სტანდარტულია, მით უფრო პროგნოზირებადია შედეგიც. ხომ ლოგიკურია – ყალიბის გამოყენებით ერთსა და იმავე პროდუქციას ვიღებთ მიუხედავად იმისა, თუ რა ინტერესები და წარმომავლობა აქვს მუშას, რომელიც ყალიბში მასალას ასხამს. ამიტომ პროცესის მეთვალყურეს ნაკლებად აინტერესებს მასალის წარმომავლობაცა და შინაგანი თვისებებიც. მასალას ინტერესები და გამოცდილება არ გააჩნია...

ახლა ვნახოთ, როგორ გადავიდა წარმოების ეს მოდელი სასკოლო სისტემაში:

მასწავლებლებისთვის (მუშები) შემუშავდა დეტალური მითითებები.

მოსწავლეები (მასალა) დაიყო ასაკისა და

ლირების მხრივ წელს განხორციელდა:

შარშან სკოლები სასწავლო წლის კალენდარს თვითონ გეგმავდნენ მოცემული ჩარჩოების ფარგლებში (სწავლის დაწყებისა და დასრულების ზღვრული თარიღები, სასწავლო დღეების მინიმალური რაოდენობა, წლის დაყოფის პრინციპები). ამ დროს სკოლები ითვალისწინებდნენ განსაკუთრებულ კლიმატურ პირობებს, ტურისტულ სეზონს, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართული მასწავლებლებისა და მოსწავლეების საჭიროებებს და იმასაც, თუ რამდენად დროულად მთავრდებოდა ზაფხულში დაწყებული რემონტი სკოლაში.

წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ყველაფერი სკოლების ნაცვლად განსაზღვრა. ამის დღევანდელი შედეგია ის, რომ სკოლების ნაწილმა სწავლა მოუშვა და დაიწყო, გრძელვადიან პერსპექტივაში კი ეს გამოიწვევს სკოლებში დაგეგმვის უნარების განვითარების შეფერხებას.

კალენდრის გარდა, სამინისტრომ წელს

ლები და სახელმძღვანელოების გამომცემლები კი შემდეგ ამ რეკომენდებული შინაარსის ინტერპრეტირებას ახდენდნენ, ახლა კი არსებობს სტანდარტული მოთხოვნები. თუკი, სკოლაში სურთ გალაკტიონის შემოქმედების შესწავლა, ამისთვის ნაწარმოებებს თვითონ ვეღარ აირჩევენ, სავალდებულო ლექსები, რომლებიც სკოლაში უნდა შეისწავლონ, წინასწარვე განსაზღვრულია.

სკოლებს ჯერაც დარჩათ დამატებითი, ფაკულტატიური საგნების შემოღების თავისუფლება, მაგრამ, სამაგიეროდ, სავალდებულო საგნების გაძლიერებისთვის სამინისტროს უნდა მიმართონ. მაგალითად, თუკი, რომელიმე სკოლაში სურთ, უფრო მაღალ დონეზე ანდა რთულად ასწავლონ ფიზიკა-მათემატიკა ან უცხო ენა, ეს უკვე სამინისტროს უნდა ჰკითხოთ. არადა, წინათ, სასწავლო გეგმა ამ მხრივ მინიმალურ მოთხოვნებს აწესებდა იმ მიზნით, რომ სკოლებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით თავად შე-

ეს ქარხნული მოდელის საფუძველზე აზროვნების ნიმუშია, რომელიც არ ითვალისწინებს იმას, თუ რა ვიცი ადამიანების სწავლის უნარის შესახებ. არ ითვალისწინებს არც, ზოგადად, განვითარების ფსიქოლოგიას, როგორ ხდება პასუხისმგებლიანი საზოგადოების ჩამოყალიბება და სხვა.

შესაძლებლობების მიხედვით.

სახელმძღვანელოებში (დაზგები) შევიდა სტანდარტული შინაარსი.

ეს შინაარსი უნდა გახდეს სკოლადამთავრებულის (პროდუქტის) მახასიათებელი.

სკოლის დირექციასა და სახელმწიფოს (ქარხნის მეთვალყურე) დაევალი იმის გაკონტროლება, რომ ყველაფერი სასწავლო გეგმის (წარმოების გეგმა) მიხედვით მიმდინარეობდეს.

გამოცდები (ინსპექტირება) სკოლადამთავრებულების განათლების ხარისხს ამოწმებს იმისთვის, რომ არასაკმარის ვითარებაში ხელი შეუწყოს მათ სკოლაში მიბრუნებას.

საზოგადოების მოლოდინები და სკოლა (ერთად ყალიბი) ერთსა და იმავე შედეგს უნდა იძლეოდეს ნებისმიერი მოსწავლის შემთხვევაში.

ახლა ამ სქემის გამოყენებით გადავხედოთ იმ ცვლილებებს, რაც სკოლის რეგუ-

ეროვნული სასწავლო გეგმით დაადგინა ისიც, თუ რამდენჯერ უნდა მოხდეს მოსწავლეების შემაჯამებელი შეფასება წლის განმავლობაში კლასებისა და საგნების მითითებით.

სახელმწიფომ ისიც დაადგინა, რომ მოსწავლეების შეფასებისას და, შესაბამისად, სწავლების დროსაც თანაბარი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სამინაო, საკლასო და შემაჯამებელ დავალებებს ნებისმიერ ასაკსა და საგანში.

სახელმწიფომვე განსაზღვრა 60%-იანი, სავალდებულო, ე.წ. ბირთვი პროგრამაც, რის გამოც სახელმძღვანელოებისა და სასწავლო პროცესის შინაარსის სტანდარტიზაცია მოხდა. ანუ, შეიზღუდა შინაარსზე არჩევანი. მაგალითად, წინა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ზოგიერთი უნარისა და დამოკიდებულების განვითარებისთვის სახელმწიფო იძლეოდა მხოლოდ რეკომენდაციებს, მასწავლებლები, მოსწავ-

ები ინდივიდუალური სახე.

ამ ცვლილებების დასაბუთება არაერთხელ მოვისმინეთ მედიის მეშვეობით. მინისტრისა და სხვა პასუხისმგებელი პირების არგუმენტით, ეს სახლები შეამცირებს გაურკვევლობასა და მშობლების გაღიზიანებას, გამოიწვევს მასწავლებლების მეტ მობილიზებას, გააადვილებს გამოცდების ტესტების შედგენის პროცესს, შექმნის მეტ გარანტიასა და მეტ ინტერესს სწავლების მიმართ.

სინამდვილეში კი, ეს ისევე ქარხნული მოდელის საფუძველზე აზროვნების ნიმუშია, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, არ ითვალისწინებს იმას, თუ რა ვიცი ადამიანების სწავლის უნარის შესახებ. არ ითვალისწინებს არც, ზოგადად, განვითარების ფსიქოლოგიას, როგორ ხდება პასუხისმგებლიანი საზოგადოების ჩამოყალიბება და სხვა.

განათლების მეცნიერებამ ბოლო 100 წლის განმავლობაში, და განსაკუთრებით კი

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, არაერთხელ დაამტკიცა ის, რომ სტანდარტული პროცესებისგან განათლებაში მხოლოდ სტანდარტულად მოსალოდნელ შეცდომებს ვიღებთ, მაგრამ არა მინცდამინც სტანდარტულ ეფექტურობას. მოსწავლე სწავლობს იმას, რაც შინაგანად აინტერესებს; რაც მისი წინასწარი ცოდნის ზედნაშენია; სწავლობს მაშინ, როდესაც მასწავლებელი და ის ერთად განსაზღვრავენ არა მხოლოდ სწავლის შინაარსს, არამედ სწავლის ინსტრუმენტებსაც, გარემოს და მეთოდებს; როდესაც მოსწავლის შეფასება სასწავლო მიზნების შესაბამისია; და, რა თქმა უნდა, როდესაც მიზნები გარედან თავს მოხვეული არ არის.

იქნებ, ეს ცვლილებები მხოლოდ ტექნიკური ხასიათისაა და სულაც არ აღნიშნავს მისი შემმუშავებლების რწმენას ქარხნულ მოდელში?

სამწუხაროდ, ინდუსტრიული მეტაფო-

რის მიხედვით აზროვნების ნიმუშების პოვნა ეროვნული სასწავლო გეგმის ახალ რედაქციაში მრავლად შეიძლება. აი, კიდევ ერთი თვალსაჩინოება:

2010-11 წლის რედაქცია გვეუბნება, რომ განმსაზღვრელი შეფასება „ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საერთო ნორმასთან მიმართებით...“ წინა წლის რედაქციაში კი წერია, რომ განმსაზღვრელია შეფასება, როცა ის „განსაზღვრავს მოსწავლის მიღწევის დონეს დასახულ მიზნებთან მიმართებით“. ერთი შეხედვით, უწყინარი განსხვავებაა. ამ დროს ახალი, შესწორებული ვარიანტი სწორედაც, რომ იმ პარადიგმის ფარგლებშია დაწერილი, რომელშიც გარეგნული ნორმები და არა მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები განსაზღვრავს წარმატებას.

ამგვარად, სწავლა შინაგან მოთხოვნილებებთან დაკავშირებული შედეგი და პროცესი კი არ არის, არამედ გარეგნულად დაწე-

სებული თამაშის ნაწილი ხდება.

ამ თამაშს კი ქარხნობანა ჰქვია. მასწავლებელი თავს მოაჩვენებს, თითქოს, უხარია, რომ პასუხისმგებლობები არ აქვს, მოსწავლე თავს მოაჩვენებს, ვითომ რალაციის სწავლა სურს, დირექცია თითქოს პროდუქტს შეამონმებს, ხოლო სამინისტრო, საზოგადოებასთან ერთად, თითქოს, ყალიბს შექმნის.

ეს ყალიბი კი ყალიბია. ყავლგასული ქარხნები, რომელთა მოდელზეც დღეს განათლების სისტემა იგება, თავიანთ უკანასკნელ დღეებს ითვლიან. მათი ნახვა საქართველოში მოგზაურობის დროს, ახლად აგებული ტრასების გასწვრივ შეგიძლიათ: სანარმოების ნაცვლად ახლა დაუანგული ნანგრევებია დგას, რომლებიც თანამედროვე ეკონომიკისა და საზოგადოების საჭიროებებს ვეღარ აკმაყოფილებენ; რომელთაც აღარ ჰყავთ მფლობელი და – აღარც ჭირისუფალი. **■**



რადიო თავისუფლება

უსმინე...
უყურე...
იკითხე...

ახლა უკვე გაზეთიც!

radiotavisupleba.ge

„ისტორიული სიმართლის კომისია“

ისტორიის ბახვეთიციები

50-გვერდიანი დაიჯესტი ქართულ-
რუსული ურთიერთობების 200-წლიანი
ისტორიის შესახებ მზადების
პროცესშია. რა იქნება დოკუმენტის
მიზანი – მტრის ხატის შექმნა თუ
წარსულის რაციონალური გააზრება?

ნათია გულიაშვილი

ილუსტრაცია რუსულ პერიოდში

„დღეს ჩვენთვის, როგორც არასდროს, ამ ისტორიის შესწავლა აქტუალურია, ეს აუცილებელია ბრძოლის გასაგრძელებლად და მოვლენათა უარესი განვითარების თავიდან ასაცილებლად“,- აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა სიმბოლურ თარიღსა და ადგილას – 9 აპრილს, ოკუპაციის მუზეუმში.

4 თვის შემდეგ, პრეზიდენტმა ისტო-

რიული სიმართლის სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ დებულებას მოაწერა ხელი. აღნიშნა, რომ საქართველოს საბოლოო გათავისუფლებისთვის აუცილებელია წარსული მოვლენების ზუსტი შეფასება. კომისიის მთავარი ამოცანა კი ასე ჩამოაყალიბა:

„საფუძვლიან სამეცნიერო-ისტორიულ კვლევა-ძიებაზე დამყარებული დასკვნა-

რეპორტის მომზადება, რომელიც სრულად აღწერს საქართველოს მიერ ცარისტული და საბჭოთა რუსეთის ოკუპაციის პერიოდში გადატანილი ისტორიული ძალადობის ფაქტებს.“

კომისიის შექმნის ინიციატივა, მართალია, პრეზიდენტს ეკუთვნის, თუმცა იდეაზე საავტორო უფლებას კენტიის უნივერსიტეტის დოქტორანტი, პოლი-



ტოლოგი ვასილ რუხაძე ფლობს, რომელიც 11 წელია, შტატებში ცხოვრობს.

2010 წლის იანვარში „ნიუსვიკი“ გამოქვეყნდა მისი ვრცელი სტატია „კოლექტიური მენსიერება – ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების სა-მსახურში“, რომელშიც იგი ხაზს უსვამდა მსგავსი კომისიის შექმნის აუცილებელობას – რუსული ოკუპაციის გაანალიზების

და ქართველი ერის კოლექტიური მენსიერების ჩამოყალიბებისთვის.

რუხაძის ეს სტატია მოგვიანებით ქართულად ითარგმნა და გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნდა. 9 აპრილს ოკუპაციის მუზეუმში პრეზიდენტმა ვასილ რუხაძე კომისიის თავმჯდომარედ დაასახელა.

თავდაპირველი გეგმის მიხედვით, კომისიაში ისტორიკოსები, სოციოლო-

გები, ფსიქოლოგები და პოლიტოლოგები უნდა შესულიყვნენ. მათ 4 თვეში უნდა წარმოედგინათ ფუნდამენტური ნაშრომი, რომელსაც „ჩვენი მომავალი თაობების გარდა, მსოფლიო საზოგადოებასაც რამდენიმე ენაზე თარგმნილს“ მიაწვდიდნენ.

თუმცა, კომისიის აღმასრულებელ მდივანთან, თორნიკე შარაშენიძესთან საუბრისას გაირკვა, რომ „ფუნდამენტური ნაშრომი“ სინამდვილეში 50-გვერდიანი, პოპულარული ენით დაწერილი მოხსენება იქნება, რომლის შედგენასაც სოციოლოგების, ფსიქოლოგების და სხვა სპეციალისტების ნაცვლად, 5-6 კონსულტანტი-ისტორიკოსის მუშაობა ჰყოფნის.

შარაშენიძის თქმით, კომისიის თითოეულ წევრს ქართულ და რუსულ არქივებში მუშაობის გამოცდილება აქვს, „მთელი ცხოვრებაა, ამ თემებზე წერენ“ და ამიტომ 4 თვეში მოხსენების დაწერა მათთვის სირთულეს არ წარმოადგენს.

„ჩვენი მოვალეობა ამ ეტაპზე არა არქივებში, არამედ წიგნებზე, პუბლიკაციებზე, მონოგრაფიებზე მუშაობაა, რომელთა ავტორებმა, თავის მხრივ, სწორედ არქივებზე დაყრდნობით დაწერეს ნაშრომები. ჩვენ კი ამ ყველაფერს ვკითხულობთ და 40-50 გვერდამდე ვაჯერებთ. კონკრეტული ფაქტები უნდა შევკრიბოთ და არა შორისდებულები და ბრტყელ-ბრტყელი ფრაზები“, -- ამბობს ისტორიკოსი გოჩა საითიძე, რომელიც ისტორიული სიმართლის დამდგენი კომისიის ერთ-ერთი კონსულტანტია. მასთან ერთად, საბოლოო მოხსენებისთვის, 200 წლის ისტორიიდან 10-10 გვერდს სიმონ მასხარაშვილი, დოდო ჭუმბურიძე, დიმიტრი შველიძე და ბონდო კუპატაძე წერენ.

მე-19 საუკუნის რუსეთის დასახასიათებლად ისტორიკოსები საბჭოთა პერიოდის ნაშრომების ნაწილს დაეყრდნობიან, რადგან, როგორც თვითონ ამბობენ, კომუნისტურ ეპოქაში გამოქვეყნებულ შეხედულებებს ცარისტული რუსეთის ბოროტების შესახებ სრულად ეთანხმებიან. საბჭოთა ეპოქის დამუშავებისას კი მხოლოდ 90-იანი წლების შემდეგ დაწერილ ნაშრომებს გაითვალისწინებენ.

პოლიტიკოსთა ნაწილმა ამ კომისიის შექმნა უკვე შეაფასა, როგორც ხელისუ-

ფლების მცდელობა - რუსეთის აგრესია დოკუმენტურად აღწეროს, რათა ორი წლის წინანდელ ომზე პასუხისმგებლობა მოიხსნას.

კომისიის თავმჯდომარის, ვასილ რუხაძის პუბლიკაციებიდან ჩანს, რომ 200-წლიანი ისტორიის შესწავლა და ამ გზით კოლექტიური მემორიალის ჩამოყალიბება, მისთვის მნიშვნელოვანია არა იმდენად ფაქტების რაციონალური გააზრებისთვის, რამდენადაც მტრის ხატის შესაქმნელად. ის გამუდმებით უსვამს ხაზს რუსეთის მიერ ჩადენილ დანაშაულებებს, მაგრამ არსად ახსენებს საქართველოს სისუსტეებსა და შეცდომებს.

ავგისტოს ომის შემდეგ დაწერილ ერთ-ერთ წერილში რუხაძე ხელისუფლებას სამხედრო სტრატეგიის გადაწყობას ურჩევს და პარტიზანული ომის უპირატესობაზე წერს. კოლექტიური მემორიალის უკეთ ჩამოყალიბების მიზნით კი, სამომავლოდ სასაფლაოების მოწყობას, გლოვის დღეების დანესებასა და მემორიალების აღმართვას მიიჩნევს საჭიროდ.

ამგვარი სიმბოლოებით გატაცება საქართველოს პრეზიდენტსაც ახასიათებს. მან ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც ხომ სიმბოლოურად შეარჩია თარიღიცა და ადგილიც - სიმართლის დამდგენი კომისიის პრეზენტაციისთვის მეტი პომპეზურობა რომ მიენიჭებინა, ლონისიძეობა ოკუპაციის მუზეუმში, 9 აპრილს გამართა.

„მონუმენტები კოლექტიური ინდოქტრინაციისა და პოლიტიკური პროპაგანდის საკმაოდ ნაცადი ინსტრუმენტებია, რომლის ყველაზე ხანგრძლივი და ეფექტური გამოცდილება უახლეს ისტორიაში სწორედ საბჭოთა კავშირმა დაუტოვა კაცობრიობას“, - აცხადებს ფილოსოფოსი გიორგი მაისურაძე.

საქვგოა, რომ სიმბოლოები საზოგადოებას იმ მიზნის მიღწევაში ეხმარებოდეს, რაზეც თავად პრეზიდენტი საუბრობს - „წარსულის მოვლენების ზუსტი შეფასება“, „საქართველოს საბოლოო გათავისუფლება“.

„ქართველი საზოგადოება დარჩენილია „ოკუპაციის მუზეუმის“ ამარა,

რომელიც ევროპული ანალოგიური დანესებულებებისაგან განსხვავებით, მოქალაქეთა უმრავლესობისთვის მხოლოდ კეთილმონყობილი შენობაა, სადაც საბჭოეთის ამსახველი მასალებია გამოფენილი. მუზეუმიდან გამოსული მოქალაქე იშვიათად დაფიქრდება, თუ რა კავშირია თანამედროვე საქართველოში მიმდინარე პროცესებსა და ცოტა ხნის წინ ნანახ გამოფენას შორის, ჩვენს ცხოვრებასა და ხელისუფლების ქმედებებს შორის“, - აღნიშნავს ფილოსოფოსი ლელა გაფრინდაშვილი.

პრეზიდენტის ინიციატივით, სიმართლის დამდგენ კომისიას უფლება აქვს, იურიდიული შეფასებაც მოამზადოს, არა მხოლოდ გასული 2 საუკუნის, არამედ უკანასკნელი წლების მოვლენების შესახებაც. ეს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილ დებულებაშიც საგანგებოა აღნიშნული.

მსგავსი ფუნქცია ეკისრება ერთი წლის წინ, რუსეთში შექმნილ „ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ მებრძოლ კომისიასაც“. რუსულ ვარიანტში, ამ კომისიას იმის უფლება აქვს, პასუხისგებაში მისცეს ადამიანი, თუ მისი დამოკიდებულება ამა თუ იმ ისტორიული ფაქტისადმი, მათი აზრის სანინაალმდეგო იქნება.

თუმცა თორნიკე შარაშენიძე ამბობს, რომ პრეზიდენტთან მათ ავგისტოს ომის შესახებ სამართლებრივი დოკუმენტის შექმნაზე არასოდეს უსაუბრიათ. ამ პერიოდს თავიანთ ისტორიულ დაიჯესტში არც შეეხებიან და თხრობას 1991 წლით დაასრულებენ.

„რომ შემოეთავაზებინათ უახლესი ისტორიის შეფასება, ალბათ, უარს ვიტყვოდი. რთულია, გვერდიდან დაინახო იმ პერიოდის მოვლენები, რომელშიც ჩვენ თვითონ ვცხოვრობთ“, - ამბობს გოჩა საითიძე.

„ამ ეტაპზე ჩვენი ერთადერთი მოვალეობა წერაა. თუმცა, არ არის გამორიცხული, სამომავლოდ ამ კომისიამ სამართლებრივ შეფასებებზეც იმუშაოს“, - დასძინს კომისიის წევრი, დიმიტრი შველიძე.

მანამდე დღის წესრიგში რუსული ოკუპაციის შესახებ სასწავლო სახელ-

მძღვანელოს შედგენა დგას. ამ წიგნის მომზადებას სიმართლის დამდგენი კომისიის კონსულტანტი, ისტორიკოსი დოდო ჭუმბურიძე ხელმძღვანელობს. ერთ-ერთ ინტერნეტ-გამოცემასთან ინტერვიუში, ჭუმბურიძე აღნიშნავდა, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ომებთან დაკავშირებით სახელმძღვანელოზე მომუშავე გუნდს საკმარისი სამეცნიერო მასალა აქვს, რის გამოც მათთვის არც ავგისტოს მოვლენების შეფასებაა რთული და არც მიკერძოების საფრთხე არსებობს.

„დამერწმუნება ყველა, ვინც მსოფლიო ისტორია იცის, რომ ყველა ქვეყანა შევიდოდა ჯარით იმ რეგიონში, სადაც იმას გააკეთებდნენ, რასაც აკეთებდნენ კოკოთი და ბალაფში. განა რა გავაკეთეთ ისეთი? გვინდოდა კონსტიტუციური სამართლიანობის აღდგენა. ამიტომ ვწერ ამ წიგნს, მიმაჩნია, რომ არაფერს ვამახინჯებ“, - აღნიშნავს დოდო ჭუმბურიძე.

თუმცა, გოჩა საითიძე მიიჩნევს, რომ კომისიის საბოლოო ანგარიშზე დაყრდნობით სახელმძღვანელოს დაწერა, შეუძლებელია, თუნდაც იმიტომ, რომ კომისია მხოლოდ პოლიტიკური ურთიერთობების, უშუალოდ რუსეთის მხრიდან ოკუპაციის მცდელობების ჩვენებაზეა ორიენტირებული და არა, ვთქვათ, კულტურული ურთიერთობების აღწერაზე, რომელთა შორის დადებითი ფაქტებიც მოიძებნება და რომლის გარეშე სახელმძღვანელო ვერ შედგება.

გამოდის, რომ ისტორიული სიმართლის სახელმწიფო კომისია, საკუთარ ნაშრომში უახლოეს წარსულს არ შეფასებს, თუმცა, ამავე დროს, კომისიის ერთ-ერთი კონსულტანტი მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის ამ პერიოდის შესახებ სახელმძღვანელოს მოამზადებს.

რუსულ-ქართულ ურთიერთობების შესახებ პოპულარული ენით დაწერილ სიმართლეს კომისია წლის ბოლოს შემოგვთავაზებს. ისტორიკოსების ნაშუქეერებს კი, დებულების მიხედვით, საბოლოო მოხსენების ფორმა კომისიის თავმჯდომარემ - იდეის ავტორმა, ვასილ რუხაძემ უნდა მისცეს. □

ბედიკაჰნანა - ხეხეხი უფლის სახელით



უპასუხოდ დარჩენილი კითხვები

ნინია კაკაბაძე

ბათუმიდან თბილისისკენ გზა მანქანით ყველას გამოგივლიათ და წარმოუდგენელია, არ შეგეინიშნათ ნეონით განათებული ჯვრები მთელ ტრასაზე, რომელიც უკანასკნელი მგზავრობისას დავთვალე და 42 იყო. არ გამოვრიცხავ, რომ რამდენიმე გამომჩნა.

კითხვა: - ვინ დგამს ამ ჯვრებს? რატომ დგას ისინი გზაზე? რისი აღმნიშვნელია? რა ფუნქციას ასრულებს? ვისთვის დგას?

ბათუმი-თბილისის გზაზე, თუკი საქსთან სწრაფმავალი მძღოლია, გან-


გოჭი. ეს ყველაფერი საქართველოს საპატრიარქოს მადლიანი წვრილი ბიზნესია.

და ვისაც მეგობარი „მამაო“ არ გყავთ, ხომ არ იცით, რა ჯდება კურთხევის ცერემონიალი?

ქართულ მედია სივრცეში არსებობს სახელისუფლო, სახელმწიფო, ნაციონალური, კერძო, დამოუკიდებელი თუ დამოკიდებული ტელე და რადიო არხები. ე.წ. ოპოზიციურად განწყობილ მედია საშუალებებში, უკვე ქართული ბიზნესის კულტურად იქცა,

მის განთავსებაზე უარს იტყვის? საინტერესოა!

არის ასეთი საქველმოქმედო ფონდი „იანანა“, რომელსაც პაატა ბურჭულაძე ხელმძღვანელობს. ის ერთადერთი იყო, რომელიც უსახლკარო ოჯახებს ასახლებდა და მიუსაფარ ბავშვებს მშობლებთან აბრუნებდა. მისი არსებობის პერიოდში „იანანამ“ 60 ოჯახი დაასახლა და 800 ბავშვი დააბრუნა მშობლებთან. „გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია“ – თქვა საქველმოქმედო



საკუთრებით მაშინ, ავტომანქანების უკანალზე მიმაგრებულ ბოლნურ ჯვრებსაც შენიშნავთ – ეს ვიცით, მანქანა ნაკურთხია. მანქანის პატრონმა კურთხევაში ფული გადაიხადა. ეს ე.წ. ტექდათვალიერების ალტერნატივაა. ასეთს საცხოვრებელი სახლის კარებზეც შენიშნავთ, ანუ სახლიც ნაკურთხია და ამაშიც ფულია გადახდილი. ბუნებრივია, მეგობარი მღვდლები, მეგობარ ოჯახებს ფულს არ ართმევენ და მხოლოდ საზეიმო ვახშმით კმაყოფილდებიან. პირში ბოლოკვარჭობილი გოჭი სუფრაზეა, მარხვის დროს კი – სოიოსგან დამზადებული სამარხვო

რომ რეკლამას არავინ დებს – სახელმწიფოსი გვეშინია. მაგრამ არის ინსტანცია, ვისიც ყველას ეშინია და მისი რეკლამა ყველა დამოუკიდებელ თუ დამოკიდებულ ტელე-რადიო მედიაში ტრიალებს. „შემონირეთ ნმინ-და ტაძრის მშენებლობას! ანგარიშის ნომერია:“ გალობისა და ზარების ფონზე, ყველა ხელსაწყო, რაც დენში ერთდება, ამისკენ მოგვიწოდებს. ბუნებრივია, ეს რეკლამა, პრაქტიკულად, ყველგან უფასოდ თავსდება.

ნეტავ, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე რადიო ან ტელევიზია

აქციაზე პაატა ბურჭულაძემ და ახალი სამონასტრო კომპლექსისთვის მშენებლობის დასაწყებად საქველმოქმედო კონცერტი გამართა. კონცერტზე შემოსული ზარებით 300 ათასამდე ლარი შემოვიდა. ფულს წირავდნენ კერძო პირები, კომპანიები, კორპორაციები, სკოლები და ა.შ.

ამ ანგარიშის პაროლი ხომ არ იცით ვინმემ?

ის, რომ საქართველოს ყველა კუთხეში, თბილისის თითქმის ყველა ქუჩაზე, მაღაზიაში, რესტორანში თუ სხვა

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ე.წ. საქველმოქმედო ყულაბა დევს და ახალი მონასტრის შემონიშნულობას ითხოვს ჩვენგან და ის, რომ ყველა ტელე-რადიო ეთერიდან ამისკენ მოგვინოდებენ – ამას უკვე შევეგუეთ. ჩვენ ვიცით, როგორ ითხოვს და იღებს ფულს საპატრიარქო (ასევე 28 მილიონს სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ყოველწლიურად), მაგრამ არ ვიცით, რაში იხარჯება ეს ფული. აი, მაგალითად, ახლაც მახათას მთაზე ახალი მონასტერი ქართველი ბიზნესმენების, ქართული ბიზნესის, კერძო პირების ხარჯზე აშენდება. არავინ სვამს კითხვას – რა საჭიროა? მოგვასხენეს, რომ ამ ახალ მონასტრო კომპლექსში ნარკოტიკზე დამოკიდებულთა პირების სარეაბილიტაციო ცენტრიც იქნება და უსახლკარო ბავშვთა თავშესაფარიც.

რატომ უნდა აშენდეს ახალი, თუკი შეიძლება უკვე არსებულის და სავალალო მდგომარეობაში მყოფი ცენტრების თუ სახლების რეკონსტრუქცია?

25 სექტემბერს, საღამოს 10 საათიდან 3 საათის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა და „რუსთავი 2“-ის მაყურებელი საყოველთაო ტელე-რეკეტის მომსწრე იყო. ღვთით კურთხეულ-

კი გამოცურა, ჯერ ათონის მთაზე დაიწყო ბინა, შემდეგ კი საქართველოში, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში. ახლა სწორედ ამ ხატისთვის უნდა ავაგოთ ახალი სამონასტრო კომპლექსი.

კითხვა: ნეტავ, რატომ არ შეიძლება, უკვე არსებულში რომ დავაბრძანოთ?

კონცერტამდე ერთი დღით ადრე მსოფლიო ბანი პაატა ბურჭულაძე „რუსთავი 2“-ში დილის გადაცემას სტუმრობდა, სადაც წარმოადგინა ორგანიზაციების ანკეტა, რის მიხედვითაც ყველა მათგანმა უნდა (რასაკვირველია საკუთარი ნებით) მოითხოვოს ფულის გადარიცხვა ანგარიშზე: 000666000. რეკეტის ახალი ტექნოლოგიებიც ავითვისეთ. საპატრიარქოში უკვე კარგი, კვალიფიციური ბიზნესმენებიც გაჩნდნენ.

და ნეტა, ვინც ამ ანკეტის შევსებას არ მოინდომებს, ამ საყოველთაო მადლის გაცემის კონიუნქტურის პირობებში – მას რა ელის?

მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მშენებლობისადმი მიძღვნილი ტელემართონი უპრეცედენტო იყო, ასეთი აქტიურობა და ამდენი შემოსული თანხა ამ საქველმოქმედო ფონდს არ ახსოვს. აქამდე

სახელმწიფოს მიერ გახარჯული ნებისმიერი თეთრი საზოგადოების მიერ გაკონტროლებული უნდა იყოს. ასევე დიდია უკმაყოფილება, მათ შორის ჩემიც, ხელისუფლების მიერ სხვადასხვა მედია საშუალებების კონტროლის მიმართ. მაგრამ არავინ საუბრობს და არავინ სვამს კითხვას, რამდენიმე გამონაკლისის გარდა – რამდენად დიდია ქართული ეკლესიის ცენზურა და კონტროლი მედიაზე? არც ერთი დამოუკიდებელი თუ დამოკიდებული არხი არ არის კრიტიკული ქართული ეკლესიის მიმართ. არც ერთი კრიტიკული სიუჟეტი არ მზადდება მათ საქმიანობაზე თუ ბიზნესზე. სად ისმენთ განსხვავებულ აზრს საქართველოს პატრიარქზე, საპატრიარქოზე თუ ქართულ ეკლესიაზე? ფეისბუქში? მადლობა უფალს!

ახლა უკლებლივ ყველა სატელევიზიო და რადიო არხი, ალბათ, ბექდური მედიაც ჩაერთვება ახალი სამონასტრო კომპლექსის მშენებლობაში მახათას მთაზე. თავი დავანებოთ უბრალოდ გაჭირვებულებს, სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი სოციალური ფენა, რომელმაც სახლიდან ცარიელი და გაფუჭებული მაცივარი გადააგდო იმისათვის, რომ სახელმწიფოს ის ლატაკად ეცნო, მას ეკლესია ივერიის ღვთისმშობლის ხატის სავანეს აუშენებს, სადაც მივა და სეფისკვერს შეჭამს კვირაში ერთხელ. რა მნიშვნელობა აქვს ვისი სახელით გარეკეტებენ? საგადასახადო სახელმწიფოს სახელით თუ ეკლესია ღვთის სახელით?

ამაზე პასუხს, ალბათ, გადაცემა „პროფილი“ გაგვცემს და ყველაფერი მაშინ ითქმება საბოლოოდ, როდესაც „პროფილის“ წამყვანს შუბლზე წმინდა ჯვარი გამოეხსება.

P.S. ფონდი „იავნანას“ საქველმოქმედო კონცერტს, ჩანანერის სახით ინტერნეტში, ინტერნეტ გვერდზე „myvideo.ge“-ზე ვუყურე. მაშინ, როდესაც ქართულმა სიყალბემ და ფარისევლობამ კულმინაციას მიაღწია, ეს დაახლოებით 2 საათში მოხდა, მყვიდრო.გე-ს სენსორი თავისით გადაახტა დროს და „Sex and the City“-ზე დაჯდა. მაშინ დავიჯერე, რომ ღმერთი მართლაც არსებობს! 📺

■ ახლა უკლებლივ ყველა სატელევიზიო და რადიო არხი, ალბათ, ბექდური მედიაც ჩაერთვება ახალი სამონასტრო კომპლექსის მშენებლობაში მახათას მთაზე.

მა „რუსთავი 2“-მა ამისათვის ოქროს ცხენი, ჯილდოც კი მიიღო, რადგან ასე პროფესიონალურად დაეხმარა ქართულ ეკლესიას ფულის შეგროვებაში. არხის და საქველმოქმედო კონცერტის წამყვანებმა მათა ასათიანმა და ნინო არაზაშვილმა მოგვითხრეს ამბავი ავაზაკთა შესახებ, რომელნიც ივერიის ღვთისმშობლის ხატის მოსაპარად თუ გასანადგურებლად მივიდნენ, ამ დროს როგორ წამოუვიდა ხატს სისხლი, შემდეგ როგორ შეცურა ზღვაში და გააპო ტალღები. არავინ დახმარებია, ყველაფერი თვითონ ქნა. 200 წლის შემდეგ

ფულს კონკრეტული ადამიანებისთვის კრებდნენ, ახლა სამონასტრო კომპლექსისთვის. ეს პატრიარქის ინიციატივაა, რომელმაც, სავარაუდოდ, ბურჭულაძეს უთხრა: „შვილო პაატა, შემიგროვე ფული მახათას მთისთვის. უფალი დაგლოცავს!“

რამე სხვა ვერსია გაქვთ?

დღეს ბევრს ლაპარაკობენ სახელმწიფოს პრეზიდენტის, სხვადასხვა ფონდებიდან თუ პირდაპირ ბიუჯეტიდან გახარჯული თანხების შესახებ. იქნება ეს სოფო ნიჟარაძის ბენეფისი თუ კრის დე ბურგის. ბუნებრივია,

თეატროთეატრი

თბილისის სახითაშოხისო თეატრალური ფესვიანი
- ხბონ საშუნო დისტანსიუნა დახლოებებით



დავით ბუხრიკიძე

შთამბეჭდავი ოპტიმიზმი, ფერადი ფეიერვერკები და წითელ ხალიჩაზე ვალსის მოცეკვავე თეატრის ვარსკვლავები – ასეთი იყო თბილისის მეორე საერთაშორისო ფესტივალის დასაწყისი. უკვე ვიხილეთ პირველი პრემიერები, მოთელილი ნამუშევრებიც და ცოტა უსიამოვნო ამბებიც შევიტყვეთ: შთამაგონებელი პიარით აღჭურვილი და მრავალგზის ნახალისებული მარჯანიშვილის თეატრი სპექტაკლ „დეკამერონისთვის“ სამწუხაროდ, მზად არ აღმოჩნდა. ლევან წულაძის მიერ ბოკაჩოს ნოველების მიხედვით დადგმული სპექტაკლი, რომელიც ქართული „შოუკეისის“ მთავარ გასაღებად უნდა ქცეულიყო, ჩაიშალა.

ერთგვარი კომპენსაციის სახით, პუბლიკამ მარჯანიშვილის თეატრის სხვენზე 30 სექტემბერს თემურ ჩხეიძის სპექტაკლის პრემიერა იხილა. „ბრმა მხედველი“ („მოლი სუონი“) – ასე ვთქვათ, ორმაგი სახელწოდებით დადგა ფსიქოლოგიური თეატრის ოსტატმარეჟისორმა ინგლისელი დრამატურგის, ბრაიან ფრილის პიესა. დღევანდელ ქაოტურ რიტმში მცხოვრები პუბლიკისათვის ეს საკმაოდ რთული მოსაწელებელია, მით უმეტეს, როცა თვალშისაცემია ვრცელი მონოლოგები და უმოქმედობით დატვირთული, მაგრამ მრავალმნიშვნელოვანი პაუზები.

რალაცით ეს ჩეხოვის დრამატურგიასთან ანალოგიის ცდუნებას ბაღებს და ცოტათი მასთან გააპერებასაც ნიშნავს. იქაც ხომ ვრცელი და მეტყვევლი პაუზების ველია და „წყალქვეშა



სცენა სპექტაკლიდან „ჰამლეტი“



სცენა სპექტაკლიდან „ორი ბატონის მსახური“

დინებებით“ სახვე სვლები იგულისხმება. თემურ ჩხეიძე სწორედ იმგვარ სიტყვიერ ქსოვილს და ოდნავ შენელებულ რიტმს ირჩევს, რაც აუცილებელია მსახიობზე მსხვილი ხედით დაკვირვებისთვის. ამგვარი ტიპის მსახიობებთან მუშაობას იგი მიჩვეულიცაა.

სამწუხაროდ, ბერგმანისათვის დამახასიათებელი ეს „კინემატოგრაფიული იმპულსები“, რაღაც მომენტში, რეჟისორის სანინალმდეგოდ იწყებს ამოქმედებას. ნატიფი ფსიქოლოგიზმით აღბეჭდილი სცენები და დახვეწილი მიზანსცენები გბეზრდებთა, ხოლო სცენოგრაფია კარგა ხნით დავინწყებულ, მტვერნაყრილ და ლამაზ ავეჯს ემსგავსება.

ვენური სკამები, პიუპიტრები, რკინის საწოლი, სოფიტებით განათებული პორტრეტები, კედელ-სარკები, რომელშიც პერსონაჟთა მშვიდი სიშმაგე აირეკლება – ეს ყველაფერი 70-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩხეიძის სპექტაკლებში თითქოს ბევრჯერ გვინახავს. დამლელი ერთფეროვნების სურნელს გამოსცემს რეჟისურაც და სპექტაკლიც. არადა, მსახიობებიც კარგად თამაშობენ (მოლი – ნანი ჩიქვინიძე, ფრენკი – ალექო მახაროშვილი, ექიმი რაისი – გოგა პიპინაშვილი) რეჟისურაც ზუსტია და გასაგები, ხოლო მხატვარ გოგი ალექსი-მესხიშვილის ნამუშევარი – შესანიშნავი ნიუანსებით სახვე.

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრში დაგვიმღიო „სირანო დე ბერჟერაკის“ პრემიერა, რაც ორგანიზატორთა გაანგარიშებით, ფესტივალის მოვლენად უნდა ქვეულიყო, სამწუხარო გაუგებრობის გამო ასევე ჩაიშალა. თუ მთარულ ხმებსა და პრესაში გამოჩენილ მცირეოდენ ინფორმაციას დავეუფერებთ, მორიგი ქართული „მოუ კეისის“ ჩაშლა ზურა ყიფშიძის „ვარსკვლავური დაავადების“ ბრალია, რომელმაც რეჟისორის დიქტატი ვერ აიტანა, რაც სხვათა შორის, აბსურდულად გამოიყურება. ორიოდ დღის წინ, თავისსავე განცხადებაში დავით დოიაშვილს „ბრწყინვალე რეჟისორად“ მოიხსენიებს.

ასეა თუ ისე, მორიგი საპრემიერო „ჩავარდნა,“ გარკვეულწილად, ლახავს

თბილისის თეატრალური ფესტივალის საერთაშორისო იმიჯს, რომელიც ჯერ ხეირიანად არც დაწყებულა.

თუ ქართული პროგრამის გარკვეულ და დროებით „თერაპიულ“ წარმატებაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, ეს უპირველეს ყოვლისა, რეგიონულ თეატრებს ეხება. მათი მონაწილეობა ფესტივალში და გადამდები ენერგია თუ ენთუზიაზმი, მართლაც, დასაფასებელია. მაგალითად, მკაფიო კონცეფტუალური ნახაზით დადგმული და ოდნავ დამლელი სპექტაკლი „რომეო და ჯულიეტა“ (ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, რეჟისორი გიორგი სინარულიძე); ან თელავის, ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გოგი ჩაკვეტაძის მიერ დადგმული – თამაზ ჭილაძის პიესა „მშვიდობით ლომებო“. უცხოური ჰუმანიტარული ორგანიზაციების დახმარება და კონცერტი მოხუცებულთა თავშესაფარში წარუშლელი სევდისა და აუტანელი მარტოობის კვალს ტოვებს მაყურებელზე.

უნდა აღინიშნოს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი „მანანისა და კომმის პუდინგი კონიაკითა და რომით“, რომელიც გამრჯე დრამატურგის, ირაკლი სამსონაძისა და არანაკლებ ნაყოფიერი რეჟისორის, გიორგი თავაძის ერთობლივი, სხარტი, ირონიული და ცხადად პოსტმოდერნისტული ნამუშევარია. თეატრალურ შექმნებათ ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის თეატრში დადგმული „პილონი“ (ჯონ სტეინბეკის „ტორტილა ფლეთის“ მიხედვით, ვარიაციები – რეზო კლდიაშვილი, რეჟისურა – ირაკლი გოგია) გორის ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრში დადგმულ მკვეთრად პოლიტიკურ „ცხელ აგვისტოს“ შეადარონ.

სტუმრების დიდი ინტერესი გამოიწვია სპექტაკლმა „გვავართ ჩვენ ახლა ლტოლვილებს?!“, რომელიც ბრიტანელმა რეჟისორმა-ქალმა ალექი ბლაითმა რუსთაველის თეატრში დადგა. ეს არის 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ, ლტოლვილთა დასახლებაში მონათხრობი ამბების შეულამაზე-

ბელი ასახვა სცენურ სივრცეში, ანუ ვერბატიმის ჟანრში (რეალური და შეულამაზებელი დოკუმენტური ტექსტების აკინძვა) დადგმული პირველი სპექტაკლი. ხალხური სიმღერებისა და რუსთაველის თეატრის მსახიობების – მარინა ჯანაშიას, თემიკო ჭიჭინაძის, ქეთევან სვანიძისა და ლამა ოყროშიძის მონაწილეობით.

წარმოდგენამ, რომელიც რუსთაველის თეატრის, ლონდონის ნაციონალური თეატრისა და ბრიტანეთის საბჭოს ერთობლივი პროექტია, დიდი მონონება დაიმსახურა ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც რამდენიმე პრესტიჟული ჯილდო აიღო. არა მგონია, პერსპექტივაში ჯილდოსა და აღიარების გარეშე დარჩეს რეჟისორ ბესო კუპრეიშვილის ახალი სპექტაკლი „ჩემი ჰამლეტიც“, რომლის პრემიერა ასევე ქართული პროგრამის ფარგლებში გაიმართება (მარჯანიშვილის თეატრში, სხვენზე). „თითების თეატრის“ წარმატებულმა ავტორმა მრავალტანჯული „ჰამლეტის“ ისტორიას ორიგინალური და ირონიული სუნთქვა შესძინა. მარჯანიშვილის სხვენზე „ასულ“ მაყურებელს საშუალება ექნება, ახლომხედველი დამლაგებელი ქალის (მსახიობი ქეთი ცხაკაია) სათვალთ შეხედოს დაინიელი პრინციის ყოფიერების ასატან სიმძიმეს... და თუ საჭიროა „თეატროთერაპიის“ კურსის გავლის შემდეგ, შეუმსუბუქოს ეს ტვირთი.

ვიდრე ფესტივალზე ქართული პროგრამის დასასრული მოაწევს, გირჩევთ, არ გამოტოვოთ რეზო გაბრიაძის გენიალური თოჯინური სპექტაკლი „სტალინგრადის ბრძოლა“ (არადა, რა უხერხულად ჟღერს ფილოსოფიური სიღრმის მქონე წარმოდგენის მიმართ ეს ჟანრული იარლიყი!). იგი თითქმის ექვსი წლის განმავლობაში არ დადგმულა და იმედია, წლებანდელი ფესტივალთა განახლებულ სივრცეებს დაიბრუნებს. ომი ხომ არც საბჭოთა მებრძოლებს, არც გერმანელებს და არც... ჭიანჭველებს დაინდობს. ეს რეზო გაბრიაძის მარტივად გასაგები და პოეტურად ამაღლებული ფილოსოფიაა. **■**

ფიქები მხვჩის ჰიხას



ლაშა ბულაძე



დამეთანხმეთ, ყველაფერი რიგზე იქნებოდა, საქართველოში რომ ბევრი ადამიანი კითხულობდეს წიგნს...

ყოველ შემთხვევაში, ამდენს არავინ იყვირებდა „ბუკინისტების“ მტკვრის პირას გასახლების გამო!

დავსვათ შეკითხვა: რატომ ყვირის ეს ხალხი (მკითხველები, წიგნების გამყიდველები, გამომცემლები)?

პირადად მე, მაგალითად, ის არ მესიამოვნა, იმავე ადგილას რომ ვერ მივიდოდი წიგნების შეთვალეობა-შეძენისთვის, სადაც 10 წელიწადზე მეტია დავდივარ, და არც ის მომეწონა, კონკრეტული ადგილის შეჩვევა-შეყვარებისთვის რომ გაკიცხეს ზოგ-ზოგიერთებმა ჩემნაირები.

ნუ, ჰა, გადავჩვევი, ბატონო, რახან ასეთი ამბავია – რახან ქვეყნის განვითარება-გაბრწყინებისათვის ასე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მელიქიშვილის ქუჩიდან წიგნების დახლების გაქრობა! კრინტსაც

ალარ დავძრავ, რაკი ასე აყენებენ საკითხს: გინდათ წიგნები მელიქიშვილზე? მაშინ დაემშვიდობეთ თბილისის გაპარიზების იდეას! იკმარეთ თქვენი გუამი, ზედ არ შემოგვხედავს ევროკავშირი...

მოკლედ, რა გაენყობა, შევეჩვევი ახალ ადგილს (მეც მინდა პარიზში!), თან აგერ მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, ამხ. მ. გონაშვილმაც მოიწონა იქაურობა – გაზაფხულზეც კი იქნება და შემოდგომაზეცო...

სანაპირო მე არ შემაშინებს! ზოგჯერ ისეთ ადგილებში დავდივარ წიგნების სანახავად, დედა-ენის ძეგლის მიდამოები მართლაც პარიზის გულად მოგჩვენებთ, ქ-ნო მაყვალა...

დავაკონკრეტოთ შეკითხვა. რატომ ბრაზობს მკითხველი?

პასუხი: ბრაზობს იმიტომ, რომ ისინი, ვინც იქ, მელიქიშვილზე იდგნენ და „ბუკინისტებად“ მოიხსენიებოდნენ, რეალურად, ჩვეულებრივი, ახალი წიგნებით მოვაჭრეები გახლდნენ (ცხადია, ზოგს ძველი წიგნებიც ჰქონდა, მაგრამ ძირითადად მაინც რუსეთიდან ჩამოტანილ ახალ გამოცემებს ყიდდა ეს ხალხი), ახლა კი გაქრნენ და ჯერაც არ გამოჩენილან მტკვრის პირას... მკითხველი კი ღელავს, რადგან მიუხედავად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა – ჯერაც იმიტომ რჩება აქტიურ მკითხველად, რომ მრავალგვარ რუსულ გამოცემას ყველაზე ხშირად (და სისტემატურად) სწორედ ამათთან იძენდა... მხოლოდ არსებული წიგნის მალაზიების ამარა რომ დარჩე (მგონი, სულ ექვსი ცალია თბილისში, აქედან ორიც – კაფე), საუკეთესო ვარიანტში, წელიწადში ორჯერ მოგინევს

ახალმიღებული „პარტის“ შეთვალეობა, ხოლო რუსულ-ქართული ომის მერე, თუ არ ვცდები, მხოლოდ ერთხელ ჩამოიტანეს შედარებით საინტერესო წიგნები.

ნუ, რა ვქნათ, ჩვენი რა ბრალია, თუკი ყველაზე მეტი მომხმარებელი მაინც რუსულ თარგმანებს ჰყავს თბილისში? მართალია, პუტინი სისხლისმსმელია და არც მედვედევი გამოდგა დიდი ლიბერალი, მაგრამ წიგნებს კი მაინც მაგრა და ბევრს ბეჭდავენ რუსეთში. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ მხოლოდ ეს მალაზიები რომ შეგრჩეს და მათთან ერთად კი მხოლოდ ქართული წიგნები, უკანასკნელ უწიგნურად აღესრულები.

რაც შეეხება წიგნებს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და სხვა ენაზე: ბევრს კი ვლაპარაკობთ, რუსული ენა დაგავინწყდა და ყველა ინგლისურად ავმეტყველდითო, მაგრამ დასავლურ ენებზე გამოცემული წიგნები, სამწუხაროდ, კვლავაც დეკორატიულ ფუნქციას ასრულებენ მალაზიებში – წიგნის მალაზია „პარნასში“, მაგალითად, წლებია სამუზეუმო ექსპონატებით წარმოადგენენ რამდენიმე მშვენიერ ინგლისურ და გერმანულენოვან წიგნს (ამ ექსპონატთაგან ერთ-ერთი – ჰაინერ მიულერის პიესები – დიდი ხვენწა-მუდარის მერე წავგლიჯე მალაზიის დირექტორ, ბ-ნ გ. დარსალიას. როგორც ექვთიმე თაყაიშვილი ქართულ განძს, ისიც მასსავით ბეჯითად და სათუთად უფრთხილდება თავის „უცხოურ“ წიგნებს).

სასიამოვნო გარემოა, მაგრამ მწირი არჩევანია ინგლისური წიგნის მალაზია prospero's books-შიც. აქ, ძირითადად,

იკითხეთ ლიბერალის
განახლებულ პორტალზე
www.liberali.ge



ზურა ჯიჟყარიანის ალომი ნობელის პრემია კაპალებს

ძირითადად ბაბუა „არფანეტი“ სამხედროებთან მუშაობდა საბჭოთა კავშირთან შესაძლო ომის თემებზე და საერთოდ არ ფიქრობდა პაციფიზმზე. პირველი „არფანეტი“ 1969 წელს Honeywell DP-516-ზე დააყენეს. ჩვენი კოლექტიური გონის – „ვიკიპედიის“ ცნობით, მაშინ კომპიუტერს 24კბ ოპერატიული მეხსიერება ჰქონდა, ანუ ძალიან ცოტა

გიორგი ცხადაიას ალომი გუშის ქუჩის ამაგვი ბრძალვება

საქართველოში, გავლენიან პოლიტიკურ წრეებში ბუში დანარჩენი მსოფლიოსგან რადიკალურად განსხვავებულად აღიქმება. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისი სახელი თბილისის იმ ქუჩას ჰქვია, რომლითაც საქართველოში ჩამოსული უცხოელი სტუმრები აეროპორტიდან თბილისში შემოდიან...

სიანლე ფორუმი ლიბერალის პორტალზე

თქვენი მოსაზრება:

- » სამართლიანია თუ არა პარკირების ტარიფის გაზრდა?
- » რა არის კიბერდანაშაული?
- » მზად ხართ, გახდეთ ნაციონალისტი?

კავკასიურ ომებზე დაწერილი ლიტერატურა, ტურგენევის „მუმუს“ ინგლისური თარგმანები, ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა“, ვადაგასული „ალი და ნინო“ და მსგავსი წიგნები გვხვდება. შედარებით თანამედროვე ლიტერატურული ტექსტი (1989 წელსაა დაწერილი!), რომელიც ამ კობტად მონყობილ მალაზიაში მოვიძიე, ფამუკის „მე ნითელი მქვია“ იყო. და, ჰა, კიდევ ეს საშინელი ვამპირული საგა...

ამას დავუმატოთ დიუმას ცენტრიც, თავისი თარგმანებით და მორჩა, ნიგნის საძიებელ რუკაზე ბოლო წერტილი გვექნება მონიშნული.

თუმცა განა იმას ვამბობ, ლიტერატურულ კაფე-მალაზიათა მფლობელების არ მესმის-მეთქი, მესმის, როგორ არა! იმიტომაც არ ჩამოაქვთ ხშირად ბევრ-ბევრი ახალი წიგნი, რომ მათი მყიდველ-მკითხველი არ მოიძიება საქართველოში. აბსოლუტურად ვეთანხმები მწერ-კავშ-თავმჯდომარეს, ქ-ნ მ. გონაშვილს – დაიხ, ყველა ვერ იქნება

„კურიერში“ – აქ გაზაფხულზეც კაია და შემოდგომაზეცო...

მკითხველი კი იმიტომ არ გვყავს ბევრი, რომ საქართველოში კითხვა არ უყვართ (ან არ იციან), კითხვა კი იმიტომ არ იციან (და არ უყვართ), რომ სკოლაა ცუდი (და მშობლების დროსაც ასეთი იყო – წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ მაინც ეყვარებოდათ კითხვა), სკოლა კი ცუდი იმის გამოა, რომ რალაც მოურჩენელი სჭირს ჩვენს განათლებას და კულტურას (როგორც სისტემას), მოურჩენელი კი იმიტომ-აა, რომ საფუძვლიანად არ ვმკურნალობთ, საფუძვლიანად კი იმიტომ არ ვმკურნალობთ, რომ რეალურად თავად ვართ სამკურნალოები, ჩვენ თვითონ კი იმიტომ ვართ სამკურნალოები, რომ პლანეტა სსრკ-ს მაცხოვრებლები ვიყავით, პლანეტა სსრკ-ში კი იმიტომ ვცხოვრობდით, რომ ნოე ჟორდანიას ბოლო წუთამდე ფიქრობდა – ლენინი არ მომატყუებდაო და მერე კაი ჩიტიც დაიჭირა, ასე კი იმიტომ

მართალია, პუტინი სისხლისმსმელია და არც მედვედევი გამოდგა დიდი ლიბერალი, მაგრამ წიგნებს კი მაინც მაგრა და ბევრს ბეჭდავენ რუსეთში.

დიდი ექვთიმე! მართლაც განძად ხომ არ დადებ ყველაფერს!

მაგრამ შეკითხვა მაქვს: მაშ, წიგნის გარემოვაჭრები როგორღა ყიდიან (უფრო სწორად, ყიდდენ) ახალშემოსულ ინტელექტ-საქონელს? თუ ამათ ცოტაც ჰყოფნიდათ? შეიძლება. არ ვიცი. სად მალაზიის ფლობის ხარჯები და სად ქუჩის ერთ-ორ კვადრატულზე დგომა! ამაზე პასუხი არა მაქვს. ჩემზე ჭკვიანებმა უნდა ახსნან.

მოკლედ, მაინც იქ მივედით, სადაც დასაწყისში ვიყავით: არც მკითხველი გვყავს და არც წიგნის მყიდველი.

ესენი რომ ბლომად გვყავდეს, წიგნის მალაზიებიც უხვად გვექნებოდა და მტკვრის პირასაც, არა მხოლოდ გუამსუამის, არამედ როგორც ევროკავშირის წევრები, ისე ჩავიდოდით. რა, ტყუილად კი არ ითქვა რუსთავი 2-ის

ფიქრობდა, რომ, ლენინის არ იყოს, თვითონაც მარქსისტი გახლდათ, მარქსიზმმა კი ტვინი აურია ევროპელს, უპირველეს ყოვლისა – გერმანელ ინტელექტუალს, გერმანელ ინტელექტუალებს კი იმიტომ აერიათ ტვინი, რომ სრულ ანაქრონიზმად მიიჩნია ევროპული მონარქია, ევროპულ მონარქიას კი ზოგ-ზოგიერთები უკვე 1789 წლიდან თვლიდნენ ანაქრონიზმად, ანაქრონიზმი კი მაშინ იქცევა ნამდვილ ანაქრონიზმად, როცა ცნობისმოყვარე მკითხველს „ბუკინისტს“ არ შეატოვებ...

ყველაფერი კი იმიტომ-აა ასე, რომ ჩემს კრიტიკულ წერილს ბევრი ადრესატი ჰყავს, კონკრეტული კი – არც ერთი. საჩივრელი, როგორც ხედავთ, ბლომად მაქვს (თუნდაც ზემოთ ჩამოთვლილ საკითხთა გამო), მაგრამ, აბა, ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარია. ☒

ქართული საფეხბურთო კლუბების წლიური ბიუჯეტები

"შეზღვევის აზნაუხთა" - ქალაქის ციხე

ქართული საფეხბურთო კლუბების წლიური ბიუჯეტები

დავით მშვილდაძე

„ლიბერალმა“ საქართველოს უმაღლესი ლიგის საფეხბურთო კლუბების წლიური ბიუჯეტების დაზუსტება სცადა. აღმოჩნდა, რომ კლუბების უმრავლესობა ბიუჯეტს ძველებურად აღარ მალავს. კლუბების ხელმძღვანელების მიერ დაგეგმილი ბიუჯეტები სეზონის მსვლელობისას შესაძლოა შეიცვალოს, ვინაიდან რამდენიმე კლუბს მეპატრონის და სპონსორის საკითხი ბოლომდე მოგვარებული არ აქვს.

რუსთაველი „ოლიმპიკი“ 1.500.000 ლარი



„ოლიმპს“ კომპანია „ქართული ფოლადი“ აფინანსებს. კლუბის პრეზიდენტმა ზურაბ ჯაფარიძემ კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა სეზონის დაწყებამდე ნათქვამი, რომ „ოლიმპის“ 2010/11 წლების სეზონის ბიუჯეტი მილიონნახევარი ლარია. ამ თანხით აფინანსებენ ძირითად გუნდს, დუბლ-შემადგენლობას, ასაკობრივ კლუბებს, საჭირო ხარჯებს და ა.შ.

„ზეესტაფონი“ 7.162.200 ლარი



„ზეესტაფონის“ პრეზიდენტმა ილია კოკაია ბიუჯეტი დეტალურად გაგვიმხილა. ბიუჯეტი ორი ნაწილისგან შედგება: საინვესტიციო ხარჯები 2010/11 წლების სეზონში 2 მილიონი დოლარია, რადგან იწყებენ ბაზის მშენებლობას და დაასრულებენ სტადიონის რეკონსტრუქციას. თავად კლუბ „ზეესტაფონისთვის“ დამტკიცებული ბიუჯეტი 1,8 მილიონი დოლარია, სტადიონის ხარჯი 92000 დოლარი, კლუბის ადმინისტრაციული ხარჯები კი, 87000 დოლარი.

ანუ 3.979.000 დოლარი, რაც ლარებში 7.162.200 ლარია – „ზეესტაფონი“ ფინანსურად ყველაზე წელგამართული კლუბია.

„ზეესტაფონი“ ცნობილი უკრაინელი ბიზნესმენის, იგორ კოლომოიციკის მძლავრი ჯგუფის პარტნიორია, რომელიც ოთხ უკრაინულ საფეხბურთო კლუბს ფლობს – კიევის „დინამოს“, დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“, კიევის „არსენალს“ და მარიუპოლის „ილიჩივეცს“.

თბილისის „დინამო“ (თბ) 800.000 ლარი



„დინამო“ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს ეკუთვნის, რომელიც „დინამოს“ აღარ აფინანსებს. ამდენად, კლუბის ბიუჯეტი მენეჯმენტის ეფექტურობაზე დამოკიდებული: ევროპის ლიგის სამ ეტაპზე მონაწილეობისთვის, უფა „დინამოს“ 270 ათას ევროს ჩაურიცხავს, გრაცის „შტურმთან“ მატჩის რეპორტაჟისთვის სატელევიზიო სააგენტო – 22 ათასი ევროს.

გარდა ამისა, გურამ კაშიას ჰოლანდიურ არნემის „ვიტესში“ გაშვებისთვის, თბილისელებს საკომპენსაციოდ 100 ათასი ევროც დაერიცხათ. სამივე შემოსავლის ჯამი 392 ათასი ევროა, მიმდინარე კურსით (1 ევრო = 2.4194 ლარი), თითქმის მილიონი ლარი.

თუმცა, კლუბში 800.000 ლარი დაგვისახელეს და თან დაგვიკონკრეტეს, რომ ეს მხოლოდ მთავარი გუნდის ხარჯია – ამაში არ იგულისხმება ბაზის შენახვის, სტადიონების ქირაობისა და სხვა მიმართულებით დასახარჯავი თანხა. მოკლედ, „დინამოს“ ბიუჯეტი 800 ათას ლარზე მეტია.

თბილისის „ვიტ ჯორჯია“ 2.200.000 ლარი



„ვიტ ჯორჯიას“ ოფიციალური ვებ-გვერდისთვის 13 ივლისს მიცემული ინტერვიუში, კლუბის პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ შემოსავლებზე ისაუბრა: „შვეიცარიულ ტელესააგენტო „სპორტ 5“-თან გაფორმებული კონტრაქტით, 2 წლის განმავლობაში ევროტურნირებზე საშინაო მატჩების ტელეტრანსლაციის უფლება ამ კომპანიას ხელსაყრელი პირობებით გადაეცემა. ევროლიგაზე თამაშისთვის თანხას უფასვანაც მივიღებთ. კლუბის ბიუჯეტი კორპორატიული დაფინანსებითაც შეივსება. დამდეგი სეზონისთვის „ვიტ ჯორჯიას“ ბიუჯეტი უნინდელზე ნაკლები ნამდვილად არ იქნება.“

კლუბში არაოფიციალურად გვითხრეს – სეზონში ხელფას-პრემიებზე, შეკრებების, მცხეთის სტადიონის, ასევე ასაკობრივ გუნდებზე გათვალისწინებული ხარჯი 2,2 მილიონ ლარს შეადგენს.

ბოლნისის „სიონი“ 1.000.000 ლარი



ბოლნისის გამგეობის ბალანსზე მყოფი ბოლნისის „სიონის“ მეპატრონე მალე „მადნეული“ გახდება. კომპანია ბოლნისურ კლუბს უკვე ეხმარება. ეს „სიონის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარემ, „მადნეულის“ წარმომადგენელმა გიორგი არევაძემ გვითხრა: „სავარაუდოდ, კლუბის ბიუჯეტი მილიონი ლარი იქნება. ბუნებრივია, კლუბის საჭიროებიდან გამომდინარე, ეს თანხა ოდნავ მეტი, ან ნაკლებიც შეიძლება იყოს, მაგრამ დასახელებული ციფრი მნიშვნელოვნად არ შეიცვლება.“

ფოთის „კოლხეთი“ 900.000 ლარი

ფოთის „კოლხეთის“ პრეზიდენტი თემურ ბარქაია: „კლუბი ფოთის პორტსა და ფოთში დაფუძნებულ ექვს კომპანიას უნდა დაეფინანსებინა. ამის იმედად, ნლიური ბიუჯეტი 900 ათასი ლარით განვსაზღვრეთ. თუმცა, ჯერ სპონსორი „კოლხეთშიც“ არ გამოჩენილა და დანტერესებულ კომპანიებთან მოლაპარაკებები დღემდე გრძელდება – მათ ბიუჯეტის შემცირება სურთ და შესაძლოა, ასეც მოხდეს“.

ამიტომ „კოლხეთის“ ბიუჯეტად ვასახელებთ 900.000 ლარს მინუსით.

„სამტრედია“ 500.000 ლარი



კლუბის პრეზიდენტმა ზაზა ადეიშვილმა გასული სეზონის ბიუჯეტი გაამხილა – 380 ათასი ლარით, პატარა იმერული ქალაქი უმაღლესი ლიგის „კონკია“. სპონსორის მისვლის იმედად, სეზონის დაწყებამდე 500.000 ლარიანი ბიუჯეტის შედგენას აპირებდნენ. სამწუხაროდ, ნელს „კონკია“ უბიუჯეტოდ დარჩა. „სამტრედიას“ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებაზე უარი უთხრეს, სპონსორიც არ ჩანს და გუნდი უფულოდ დარჩა.

კლუბს პირველი თანხა სეზონის დაწყებიდან მხოლოდ მეშვიდე ტურში ჩაურიცხეს – კომპანია „ბილიანი“ „სამტრედიას“ აგვისტოს 20.000-ლარიანი დავალიანება გაუსტუმრა. ამდენად, კლუბში უჭირთ იმის თქმა, რამხელა ბიუჯეტი ექნებათ. ვითარებიდან გამომდინარე, „სამტრედია“ უმაღლესი ლიგის ერთადერთი კლუბია, რომლის ბიუჯეტზე, ლაპარაკიც ძალიან რთულია.

ზუგდიდის „გაია“ 1.200.000 ლარი



სეზონის დასაწყისში ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ზუგდიდის „გაიას“ „სოკარი“, „ჯეოსელი“ და „ჯიემ-სი ჯგუფი“ უპატრონებენ.

„ჯერ კლუბში ახალი მეპატრონეები არ მოსულან. თუმცა, წინასწარი მოლაპარაკებების საფუძველზე, კლუბის ბიუჯეტი 1,2 მილიონი ლარით განვსაზღვრეთ“, – გვი-

თხრა „გაიას“ დირექტორმა რევაზ პერტაიამ.

ცხინვალის „სპარტაკი“ 1.000.000 ლარი

„სპარტაკს“ სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია აფინანსებს. კლუბის ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა სერგო გაბელიამ გასულ სეზონში „ლელოსთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ „სპარტაკის“ ბიუჯეტი 1,3 მილიონი ლარი იქნებოდა. როგორც კლუბში გვითხრეს, მიმდინარე სეზონში კლუბის ბიუჯეტი ოდნავ შემცირდა და მილიონი ლარი გახდა.

ქუთაისის „ტორპედო“ 2.000.000 ლარი

ქუთაისის „ტორპედო“ „ვისოლმა“ 2010 წლის ივლისში შეიძინა. „ტორპედოს“ ბიუჯეტზე ინფორმაცია „ვისოლის“ 7 აგვისტოს პრეს-რელიზში ამოვიკითხეთ.

„გუნდის ახალი მფლობელი „ტორპედოს“ განვითარებისათვის ყოველწლიურად 2 მილიონამდე ლარის ინვესტიციას გეგმავს“, – ამბობს „ვისოლის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, „ტორპედოს“ პრეზიდენტი ლევან ფხაკაძე.

ჩვენს მიერ დადგენილი ბიუჯეტების მიხედვით, კლუბები შემდეგნაირად განლაგდნენ:

	ხაზი	ბიუჯეტი (ლარი)
1	„ზეესტაფონი“	7.162.200
2	„ვიტ ჯორჯია“	2.200.000
3	„ტორპედო“	2.000.000
4	„ოლიმპი“	1.500.000
5	„გაია“	1.200.000
6-7	„სიონი“, „სპარტაკი“	1.000.000
8	„კოლხეთი“	900.000
9	„დინამო“ (თბ)	800.000
10	„სამტრედია“	500.000
	სულ	18.262.200

ფეხბურთელებს ყველაზე მაღალი ხელფასები „ზეესტაფონსა“ და ქუთაისის „ტორპედოში“ აქვთ – საშუალოდ 1000-

დან 2000 ლარამდე. „ვისოლმა“ „ტორპედოში“ ახალი მწვრთნელი და ფეხბურთელები მიიყვანა. ერთ-ერთმა ახალწვეულმა „ტორპედოელმა“, გვითხრა, რომ კონტრაქტის საფასურად „ვისოლმა“ თბილისში ბინა შეუძინა. გუნდმა თბილისის „ვიტ ჯორჯიადან“ თავდასხმელი ვახტანგ კვარაცხელია 100 ათას დოლარად შეიძინა. ამხელა საკონტრაქტო თანხას საქართველოში მხოლოდ „ზეესტაფონი“ იხდის. ამ უკანასკნელმა გასულ სეზონში თორნიკე აფციაური აზერბაიჯანული „გაბალადან“ 120 ათას დოლარად გამოისყიდა.

შემდეგ მოდის „ოლიმპი“, რომელსაც მიჰყვებიან „ვიტ ჯორჯია“ და „დინამო“. „დინამოს“ საინტერესო სახელფასო პოლიტიკა გააჩნია, მცირეხელფასიანი (300, 400, 500 ლარი) ფეხბურთელების გვერდით, ზოგიერთი საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას იღებს – მაგალითად, გურამ კამიას „დინამოში“ ხელფასად ბოლოს 1500 დოლარი დაუნიშნეს. ყველაზე მოკრძალებული ხელფასები „სამტრედიაშია“ – 500, 600, მაქსიმუმ 800 ლარი.

ჩვენი მაღალი ხელფასები ევროპულთან ახლოსაც ვერ მივა – მაგალითად, ავსტრიის ბუნდესლიგის აუტსაიდერი „ალტახი“ – „ვიტ-ჯორჯიელ“ ლექსო კვარაცხელიას 4000 ევროს სთავაზობდა. „France Football“ მონაცემებით, მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელის, „ბარსელონას“ ფორვარდ ლიონელ მესის ნლიური შემოსავალი 33 მილიონი ევროა, ანუ ჩვენი კლუბების ჯამურ მაჩვენებელზე ოთხჯერ მეტი.

„ჩელსის“ ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელები ფრენკ ლამპარდი და ჯონ ტერი, კვირაში 121 ათას გირვანქას იღებენ, ანუ თვეში დაახლოებით 1.370.000 ლარს, იმაზე მეტს, რასაც ჩვენი კლუბების უმეტესობა ნლიურად ხარჯავს.

ბელარუსის ჩემპიონ ბორისოვოს „ბატეს“ ნლიური ბიუჯეტი 6 მილიონი ევროა, ანუ 8.17172 დოლარი, ყველა ქართული კლუბის ბიუჯეტების ჯამზე ცოტათი ნაკლები.

ამდენად, ინვესტიციის გარეშე, ქართული ფეხბურთის გამოცოცხლება და ევროპულ დონეზე გასვლა წარმოუდგენელია.

ნახეთ ნიბნები!



გიო ახვლედიანი

წინა კვირას რომ აზერბაიჯანელი ყმაწვილის არაზ აბდულაევის ევერტონში გადასვლის ამბავს მოგახსენებდით და პრემიერლიგაში მოთამაშე ქართველებიც გაიხსენე, ზურაბ ხიზანიშვილი, ჩვენებურად კი – ხიზანა, არ მისხენებია.

უფრო კი იმიტომ, რომ ვიცოდი, უქმეებზე გადავეყრებოდი და ვიფიქრე, ერთი ტკბილი საუბრის შემდეგ მისი ამბავი უკეთ მეცოდინება-მეთქი.

ეგრეც მოხდა. ამ სექტემბერში, როგორც იქნა, მოგვარდა მისი საქმე და სეზონის ბოლომდე ლონდონის ახლო, რედინგში ითამაშებს, ბლექბერნმა ის სიხარულით გაანათხოვრა, რახანლა მენეჯერ სემ ალარდაისს საერთოდ გადაფიქრებული ჰქონდა ხიზანას ძირითადში გამოყვანა. ეგრეც უთქვამს – ბოლოს და ბოლოს, მე სხვანაირი ფეხბურთელები მჭირდებაო. ჰოდა, გაზაფხულზე ნიუკასლში სამთვინი ყოფნის შემდეგ, ხიზანა უკვე კარგად მოეწყო რედინგში, ოჯახობითაც იქ გადავიდა და ფანობამ ავანსად სიმღერაც კი გამოუთქვა, თუმცა კი ვერ მხოლოდ პირველი მატჩი ითამაშა და იქაც, ბედს რას უზამ, მეორე ყვითლით გააძევეს, მაგრამ გაძევება უსამართლო იყო. ეს ყველა ტელეარხმა დაადასტურა, თუმცა კი, რაღა ეშველებოდა.

საერთოდ, ფეხბურთელებთან ლაპარაკი, ერთი დიდად საინტერესო რამ არის. განსაკუთრებით ისეთ ფეხბურთელებთან, რომლებსაც ფიქრს, ნიჭს და ზრდილობას დაატყობ და იმასაც მიუხვდები, რომ უფეხბურთოდაც გაიტანდნენ ცხოვრებას. ხიზანაც ასეთია და ამაში მისი უცხოური გამოცდილებაც გვარიანად გამოსადეგია.

ჩვენი ფეხბურთელებისა ყოველთვის ის მენანება, რომ წიგნებს არ წერენ. ეს განსაკუთრებით ინგლისში დაგენანება ხოლმე კაცს, სადაც ფეხბურთელთა წიგნები მთელი ცალკე ჟანრია და თუკი მოთამაშე გემოს გაუგებს ამ საქმეს, მერე იმის გაჩერება ძნელია. ცხადია, ფეხბურთელები თავად არ წერენ თავიანთ წიგნებს, არამედ ცნობილი ჟურნალისტების დახმარებით, მაგრამ ვისაც ფეხბურთი უყვარს, იმისთვის ასეთი წიგნები დიდი საჩუქარია.

ძველად ჩვენთანაც იწერებოდა ასეთი წიგნები, ოლონდ, პატარ-პატარა და იშვიათად, დინამოს უცხოური ტურნეების შესახებ, ანდა სხვა ამბებზე და საინტერესო საკითხავიც იყო, ახალ დროში კი მხოლოდ შოთამ დაწერა. შოთას მეტი ვინ მოაბამდა თავს.

ჰოდა, ხიზანას რომ ვუსმენდი, კიდევ ერთხელ გამასხენდა ეს ამბავი.

ფეხბურთელების ცხოვრება დიდი თავგადასავალია და ეს თავგადასავალი სრულიად შეუმჩნეველი რჩება მაცურებლისთვის. თუ

საგაზეთო ამბებს არ ჩავთვლით, აბა, რა ვიცით ფეხბურთელე-ბისა? ჰოდა, ყოველთვის მაგარია, როცა ისინი მინდორსგარეთა საფეხბურთო ისტორიებს ყვებიან.

აბა ნახეთ, როგორია, როცა თვრამეტი წლისას არსენალში ისინჯები და გაზეთები წერენ, არსენ ვენგერმა ტონი ადამსის მრავალწლიანი შემცვლელი იპოვნაო, თვით ვენგერი კი უკვე ნომრინ მისიურს გაძღვეს, ყველაფერი გადაწყვეტილია, თითქოს მოგვარებული, საკლუბო სასადილოში დენის ბერკამში გუბუნება, გვერდით მომიჯვექი, დიდხანს მოგვიწევს ერთად თამაშიო და უცებ, შენი ქართული კლუბი ისეთ თანხას ითხოვს ამ ზღაპრული ისტორიის სანაცვლოდ, როგორც არსენალს არასდროს გადაუხდია შენი ასაკის ბიჭში. ჰოდა, საქმეც ჩაიშლება და მერე იფიქრებ, რომ აღარასდროს ითამაშებ, იმიტომ, რომ ასე ახლოს იყავი რაღაც დიდებულთან და მხოლოდ მამაშენის, ძველი დინამოელი ვარსკვლავის რჩევა დაგაბრუნებს მინდორზე ცხრა თვის შემდეგ – ფეხბურთში უარესებიც ხდებაო.

მე ახლაც მჯერა, რომ ის არსენალის ამბავი რომ არ ჩაშლილიყო, ხიზანას კარიერა სულ სხვანაირი იქნებოდა, სად არსენ ვენგერის ხელში რომ მოხვდები და სად პატარა კლუბ დანდიდან რომ დაიწყებ, ნელ-ნელა და ხელახლა.

ეს ათი წლის წინანდელი ისტორია ნამდვილად ღირს იმად, რომ წიგნში მოხვდეს. და ასეთი კიდევ რამდენია და რა სასარგებლოა, მათი შეტყობა ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის, გულშემატკივრის ხარბ თვალს რომ თავი დავანებოთ.

ხიზანა კი აგრძელებს, ეგრეც უნდა, მგონი სკამზე ჯდომის წლები საბოლოოდ მოიტოვა უკან. ჰოდა, კარგია.

მე კი შევძახებდი: ფეხბურთელებო, წერეთ წიგნები! **ლ**



ზურაბ ხიზანიშვილი

ხონსუმეხედი ბუცისხევის სუბხა (სახეხანომ სოხანებით შებანინი ტაქსტი)



კახა თოლორდავა

ტარიფების დამრტყმელი დაწვევა საუკეთესო საშუალებაა ფალა-რათის სანინალმდეგოდ. დრო შენს ხელშია. მიზანიც ძალიან ახლოსაა. მოითხოვე დღეს და მიიღე უფრო მეტი. ასეა. შეეჩვიე მოგებას. სრულყოფილება ხომ შენი ცხოვრების დევიზია! განთავისუფლდი ზედმეტისაგან და ებრძოლე სიბნელეს შენი ოჯახის მალაზიაში. ან აფთიაქში. რა მნიშვნელობა აქვს სად, მაინც ხომ ყველაფერი კავშირშია. თუ მეთანხმები, გადაფხიკე და მოიგე ელიტარული სახლი ვაკეში. შენ ხომ ამ სახლზე ოცნებობდი? შენ ხომ ელოდი? მაშ, ნუ აყოვნებ, გამოიყენე შენი შანსი. ახლა ხომ შენი დროა. შეძენა, შენება, რემონტი! შეძენა შენება, რემონტი! ასაშენებელი კიდევ ბევრია. რა მოხდა? არ ხარ მზად მოულოდნელისათვის? მაშ დააგროვე რაც შეიძლება მეტი ვაშლი და ჩაერთე დრაივში. ჰო, იცეკვე და იყავი ბედნიერი! ჰო, იყავი ყოველდღე გრილად! ჰო, იყავი ყოველდღე მხნედ! ჩვენ შენ გვერდით ვართ. ოპტიკა „ნუციკო“ გაირდება ცხოვრებას სათვალის გარეშე. საგანგებო სიტუაციის სამსახური „ალიგატორი“ უსაფრთხოებას, ხოლო ფსიქოტროპული აფთიაქი „ლაზარე“ – ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს. ხომ გითხარი, ჩვენ შენთან ვართ! კარგი, დროებით შეეშვი საქმეს, დავლიოთ ყავა და დავაყოლოთ ექსტრა-რბილი არაყი. ახლა უკვე ჟოლოს გემოთი. მერე კი ვიფიქროთ გონივრულ სესხზე, რომელიც გადაფარავს ყველა სხვა ბანკის დავალიანებას. არც ამას მოელოდი? დიახ, მწვანე შუქი შენს ანაბარს. თქვენ ხარჯავთ, ჩვენ გჩუქნით. აი, ფასების საიდუმლო. აი, ხელმისაწვდომი ფასების და მშვიდი დეპოზიტების ზეიმი! ვით-იბი ისე იცხოვრებ! მოდი ჩავკიდოთ ერთმანეთს ხელები. ჩვენ ხომ ერთმანეთი გვიყვარს? ჩვენ ხომ ერთმანეთს ვაძლიერებთ? ჩვენ ხომ ერთად ვართ! ყველგან, ყველგან შენთან ერთად. მოდი, ისევე შევისვენოთ. „ნატახტარის“ ლიმონათი გინდა? არა? აბა, რა გინდა? გინდა, გეცვას IKKS-ი? კი ბატონო, წამო შოკ-შოფში. კიდევ რა გინდა? სრულყოფილი სხეულის ფორმულა? რატომაც არა? სილამაზის სალონი „რომიო“ თქვენს განკარგულებაშია. მომენტალური ლიფტინგი მონიფული სახის კანისთვის? რა პრობლემაა?! **exchange** თუ **sexchange**? შენ ოღონდ ისურვე! ყველაფერთან ერთად 24-საათიანი დატენიანება ახალგაზრდა კანისთვის გარანტირებული გაქვს! ამის შემდეგ კი, თუ შენი ცხოვრება ისევე მშვენიერია, როგორც ჩვენი, მაშინ გინვეთ სასუბროდ ნინო კასრაძესთან, ნამდვილ ჩემპიონთან ტკივილის მოხსნაში. არ დაგავინყდეს, ეს ყველაფერი დღესვე მოითხოვე, მერე კი, რახან ასე გასურს, ვისაუბროთ ლაზერულ ეპილატაზე კაფე-ბარ „რეროში.“ ძალიან მომწონს იქ; ნამდვილად სანდო და უსაფრთხო არჩევანია. მხო-



ლოდ მათთვის, ვისაც ცხოვრება ნყურია. თანაც დააკვირდი, ჩვენ ვსაუბრობთ, სხვები ლაპარაკობენ. ეს მნიშვნელოვანია. ჰო, დამავინყდა მეთქვა: არავითარი დაფარული გადასახადები, მხოლოდ გამჭვირვალე ურთიერთობა, მხოლოდ არომატული სიამოვნება, მხოლოდ და მხოლოდ ცხოვრების მაქსიმალური გემო და სრულყოფილი შთაბეჭდილება! ჩვენ ავირჩიეთ, ახლა შენ აირჩიე, ახლა შენ გადაწყვიტე, მაგრამ უფრთხილდი ანგელოსს! იცოდი? ის უკვე საქართველოშია. მას ხომ არაფერი გაეგება ცხოვრების ტონების შეხამების ტექნოლოგიებისა?! განიქარვე! განიქარვე! განიქარვე! ნუ დაივინყებ, ამ დროს შენ მშრალი და ბედნიერი ხარ, რამდენჯერაც არ უნდა დაეცე. თანაც, ელასტიური კიდევები შეაჩერებს გაფონვას. იყავი გამორჩეული და შეიგრძენი სამი განზომილება. ეს მოგცემს მეტ დროს ცხოვრებისათვის. თითქმის ერთი თვე დამუხტვის გარეშე გაძლებ. თითქმის ერთი თვე! გახსოვდეს, როდესაც გტკივა! ჩაიფიქრე, ითამაშე, მოიგე. ამ დროს პოპკორნი უფასოა. ჩაიფიქრე, ითამაშე, მოიგე! მხოლოდ ამ დროს თუ მოახერხებ, განიცადო იდეალური კომფორტი! აი რა მიყვარს! თამაში დიდებისათვის. ეს და სიმინდის ტკბილი ბურბუშულა, ტკბილი როგორც ბავშვობა. ბავშვობა ხომ ყველაზე გემრიელი დაცვაა კარიესისაგან? დაუვინყარი კოცნისთვის. ნუ გემინია, ეს ყველაფერი არ იწვევს მიჩვევას. ნუ გემინია, ყველაფერი ეს ბუნების შთაგონებაა, გამოცდილი და კლინიკურად დამტკიცებული. ნუ გემინია, ყველაფერი კარგად იქნება. შენზე ზრუნავენ ხელმისაწვდომ ფასად!



თელავი, ყვარალი, ლაგოდეხი
გორი, ქარალი, ხაშური
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია
ურაკი, ქოგულეთი, ბათუმი
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 105.5
FM 103.0
FM 104.5
FM 101.0
FM 101.9



WWW.LIBERALI.GE

